C M Y K

საერთო საქმე

№52 (181) ● 14-16.XII, 2011 წელი ● გამოდის ოთხშაბათს და შაბათს ● www.saertogazeti.net; E-mail: saertogazeti@yahoo.com ● ფასი 1 ლარი

რედაქტორის სვეტი

„ქართული ოცნება“ დაფუძნდა!

„ქართული ოცნება“ ოფიციალურად დაფუძნდა, როგორც ორგანიზაცია, თორემ რაც საქართველო არსებობს, ქართველი კაცი სულ ოცნებობს... ოცნებობს...

ქართველს ოცნება უფრო უყვარს, ვიდრე შრომა და გარჯა და, აი, მოვიდა ადამიანი, რომელმაც განაცხადა, მე ვარ ის კაცი, რომელიც აუხდენელი ოცნებების ასრულებასა და ახდენაში დაგეხმარებით, ოღონდ ამისთვის თითოეული თქვენგანის თავდადება და ხელის გამოღებაა საჭიროო.

თვითონ ამ კაცის პირადი ცხოვრებაა თვალსაჩინო მაგალითი იმისა, რომ თუ მოინდომებ, თუ ოცნებას შრომას მიაშველებ, ყველანაირი ოცნება შეიძლება აისრულო.

„ქართული ოცნება“ დაფუძნდა, ახლა ამ ოცნების საქმედ ქცევაა საჭირო, ეს კი, როგორც ვთქვით, ძალიან დიდ შრომას და ჯაფას მოითხოვს.

ისევ და ისევ ჩვენი ქართული ხასიათიდან გამომდინარე, ზოგიერთებს ოცნების ასრულება ერთ საათში, ერთ დღეში, ჰა და ჰა, ერთ კვირაში უნდათ – გამოვიდეთ ყველანი გარეთ და ეს მავნე ხელისუფლება ერთბაშად დავამთავროთო, – იძახიან.

ოცი წელია ჩვენ ქუჩაში ვართ, ოცი წელია გადაბმული მიტინგები გვაქვს, მაგრამ დამთავრებით ვერაფერი დავამთავრეთ, რადგან მიტინგი არ არის ის ადგილი, სადაც თვისობრივად ახალი ქვეყნის აღმშენებლობის დაწყებაა შესაძლებელი.

* * *

„ქართული ოცნების“ პრეზენტაციაზე ბევრი ხალხი იყო, ამ ბევრ ხალხში კი ასევე ძალიან ბევრი იყო ე.წ. ცნობადი სახეები.

ვისურვებდი, რომ ამ პრეზენტაციაზე ამ ადამიანებთან ერთად უფრო მეტი ახალი სახე ყოფილიყო ანუ ისინი, ვისაც მოუხმობლებს ვუწოდებთ.

მოუხმობლები ისინი არიან, რომლებისთვისაც არცერთ ხელისუფლებას, დაწყებული შევარდნაძით და დამთავრებული სააკაშვილით, არ მოუხმია და არ დაუძახნია, რადგან ეს ადამიანები თავიანთი ინტელექტით, წესიერებით, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობით ვერ ჯდებოდნენ იმ ჩარჩოებში და იმ სტანდარტულ ნორმებში, რის მიხედვითაც ხელისუფლება არჩევდა ხოლმე კადრებს...

ამიტომაც არის აუცილებელი დროულად მოვუხმოთ მოუხმობლებს.

საქართველოს ძალიან დიდი ინტელექტუალური რესურსი და რეზერვი გააჩნია.

უპირველეს ყოვლისა, ამ რეზერვის ამოქმედებაა აუცილებელი, რომ ერთ დიდ ძალად შეიკრას ის ეროვნული ენერგია, რომელსაც ეს ხელისუფლება მიზანმიმართულად აზშობს და თრგუნავს.

მოუხმობლებს მოუხმეთ, ბატონო ბიძინა, მოუხმობლებს მოუხმეთ, თორემ ბევრჯერ მოხმობილებს მოხმობა რაში სჭირდებათ?

* * *

– ჩვენი თავი ჩვენადავე გვეყუდნეს! – აი, ყველა ოცნებათაგან უმთავრესი და უპირველესი ოცნება ქართველი კაცისა, რომლის აღსრულებაც ვერა და ვერ მოხერხდა.

ვითომ დამოუკიდებელი, ვითომ თავისუფალი და სუვერენული ქვეყანა ვართ, მაგრამ საკუთარ მხრებზე საკუთარი თავის დადგმას მაინც ვერ მოვახერხეთ – ხან ევროპელი გვადგამს ამ თავს, ხან ამერიკელი, ხან, რუსი, ამ გაწამაწიაში კი, შეიძლება, ეს თავი საერთოდ დავკარგოთ...

პირადად ჩემი, ერთი რიგითი ქართველის ოცნება ისაა, რომ ამ თავმოუბმელ, ამ უთავო მხედრების ქვეყანას, ბოლოსდაბოლოს, თავი დაედგას, რადგან ამის გარეშე არაფერი გამოვა.

ვახტანგ ხარჩილავა

ქალბატონებო და ბატონებო!

დღეს ყოველი თქვენგანი მონაწილეა ქართველი ერის მომავალი გამარჯვებებისა. ჩვენი ერის იღბალმა ინება საქართველოში ბრწყინვალე მოღვაწის, ბატონ ბიძინა ივანიშვილის მოვლინება. ჩემი ღრმა რწმენით, სახელდობრ მისი წინამძღოლობით მოხდება საქართველოს ხსნა უბირი თანამედროვეობისაგან და იმ ვითარების ჩამოყალიბება, როგორიც ღმერთსა და ადამიანურ გონიერებას განუზრახავს.

პატიებას გთხოვთ, რომ ოთხმოცდაათი წლის ავადმყოფი მოხუცი ვარ და ვერ ვინაწილებ ჩვენი ერის სიხარულს ჩვენი პირველი ოფიციალური თავყრილობის გამო.

დარწმუნებული ვარ, ჩვენი ერის ეს მოძრაობა გაიმარჯვებს და მსოფლიო დაინახავს, რისი შემძლეა ქართველი ერი ბატონ ბიძინა ივანიშვილის ხელმძღვანელობით.

ქართველებო, ხელიდან არ გაუშვათ ღმრთივ ბოძებული შესაძლებლობა, ნაოცნებარი მომავლისათვის ბრძოლაში ისტორიული ახალი გამარჯვებისა!

ჩვენთან არს ღმერთი!

ჯაბუა ამირეჯიბი - ბერი დავითი

თბილისი, 11.12.2011

ბიძინა ივანიშვილის პრესსამსახურის განცხადება

ბერა ივანიშვილი არასდროს ყოფილა სოციალურ ქსელ „odnoklassnik“ -ში გაწევრიანებული. შესაბამისად, მასალა, რომელიც დღეს გაზეთ „ალია“-ში გავრცელდა, არის სიცრუე და ემსახურება ბერა ივანიშვილის სახელის დისკრიმინაციას. ბერა ივანიშვილი დიდ პატივს სცემს ვაჟა-ფშაველას შემოქმედებას და ის მისი ერთ-ერთი საყვარელი პოეტია. კიდევ ერთხელ გვინდა განვაცხადოთ, რომ მასალაში მოყვანილი ფაქტები არის სრული სიცრუე და ეს არის იმ შავი პიარკამპანიის გაგრძელება, რომელიც ივანიშვილების ოჯახზე ბოლო პერიოდში ხორციელდება.

აქვე გვინდა ყველა მედიასაშუალებას მივმართოთ თხოვნით, ნებისმიერი ინფორმაციის გადასამოწმებლად, დაუკავშირდეთ ბერა ივანიშვილის მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერს, ქეთი მგელაძეს 790102824

საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნების“ ოფისი 12 დეკემბრიდან მუშაობას შეუდგა. საზოგადოებრივი მოძრაობის ოფისი განთავსებულია ერეკლე მეორის მოედანზე, ანტონ კათალიკოსის ქუჩა № 3/36 –ში. მოქალაქეებს, რომელთაც სურვილი აქვთ დარეგისტრირდნენ საზოგადოებრივი მოძრაობის მხარდამჭერებად, დღეიდან შეეძლებათ „ქართული ოცნების“ ოფისში 10.00 საათიდან 18.00 საათამდე გაიარონ რეგისტრაცია.

საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნების“ დაფუძნების შემდგომ, ბიძინა ივანიშვილის მრჩეველთა საბჭოს წევრები გადანაწილდნენ მოძრაობის სხვადასხვა სტრუქტურაში.

საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნების“ ცენტრალური ოფისი ფუნქციონირებს ყოველდღე 10.00-18.00-საათამდე და ახდენს მოქალაქეთა მხარდამჭერად რეგისტაციას შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, ერეკლე მეორის მოედანი №3.

უახლოეს პერიოდში გაიხსნება “ქართული ოცნების” თბილისისა და რეგიონული ოფისები, რომელთა მისამართებს გაცნობებთ დამატებით.

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97
რეგისტრაციის №202375349

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი.

რატომ ალანძღვინა „მაესტრომ" ბიძინა ივანიშვილი ქალვა ნათელაშვილს „ქართული ოცნების" პრეზენტაციამდე ორი დღით ადრე?

გალავანზე ერასტის გადაძრომის შემდეგ „მაესტროს" „რამსები" აერია და ეს დამოუკიდებელი, ეს პატიოსანი, ეს მიუკერძოებელი, ეს წესიერი ტელეკომპანია რაღაც სხვა ხმაზე ამღერდა.

ამ უცნაური მეტამორფოზის ერთ-ერთი მთავარი პასაჟი „მაესტროს" ღია ეთერში შალვა ნათელაშვილის მოწვევა გახლდათ.

ბატონმა შალვამ, რომელსაც მანამდე ბოიკოტი ჰქონდა გამოცხადებული ბიძინიზმში ეჭვმიტანილი „მაესტროსთვის" რატომღაც უცებ მოხსნა საინფორმაციო ბლოკადა და საკუთარი ფეხით ეახლა თეა სიჭინავას.

— რატომ გამოგვიცხადეთ ბოიკოტი, ბატონო შალვა, რატომ არ მოდიოდითო, — ჰკითხა მშვენიერმა თეამ ბ-ნ შალვას.

— როდის დამიძახეთ, რომ მოვსულიყავი? — კითხვას კითხვა შეაგება მთავარმა ლეიბორისტმა.

— ჩემს თვალწინ, ჩემი თანდასწრებით, რამდენჯერმე დაგირეკათ ეკა ბერიძემ, თქვენ კი არ მოდიოდითო — არ დათმო პოზიციები თეამ.

ცოტა ხანში ბ-ნ შალვამ ცილისწამებებით, უსაფუძვლო ბრალდებებით და, უბრალოდ, ზიზღით და სიძულვილით სავსე გუდას მოხსნა პირი და ღია ეთერში პირდაპირ ივანიშვილის თავზე დააპირქვავა.

— ნუ შვრებით ამას, არ ხართ ბოლომდე მართალიო, — სუსტ წინააღმდეგობას უწევდა მომხიბლავი თეა სტუმარს, მაგრამ ის უკვე ისე იყო შეჭრილი როლში, რომ მისი შეჩერება შეუძლებელი იყო.

როგორც გაირკვა, ბიძინა ივანიშვილი იმიტომ შემოიყვანეს თურმე ამერიკელებმა ქართულ პოლიტიკაში, რომ ამით შალვა ნათელაშვილის შესაძლო გაპრეზიდენტება აღეკვეთათ.

გადაცემაში იმ საიდუმლოსაც აეხადა ფარდა, რომ თურმე მსოფლიო პოლიტიკის ლიდერები ერთად, შეთანხმებულად მუშაობენ ნათელაშვილის ჩასაძირად და დასაბლოკად.

მოკლედ რომ ვთქვათ, ნათელაშვილმა ბიძინა ივანიშვილის უხამსი ლანძღვა-გინებით გული ივჯერა და ბედნიერი წავიდა სახლში.

ნათელაშვილს რა უნდა ჰკითხო ან რა უნდა მოჰკითხო, მაგრამ „მაესტროს" ხელმძღვანელობას გვინდა ვკითხოთ: რატომ ალანძღვინეთ ნათელაშვილს ბიძინა ივანიშვილი „ქართული ოცნების" დაფუძნებამდე ორი დღით ადრე და ამით ვის წისქვილზე დაასხით წყალი?

— არა, ჩვენ რატომ ვალანძღვინეთ, თვითონ ლანძღავდა, ბატონო და ჩვენ რა გვექნა? ჩვენთან ხომ სიტყვის თავისუფლებაა და ყველას აქვს უფლება, გამოთქვას საკუთარი აზრი გვიპასუხებენ, ალბათ, მიუკერძოებელი და ობიექტური ტელეკომპანიის მესვეურები.

— კი, მაგრამ, რატომ მოიწვიეთ გადაცემაში მხოლოდ ბ-ნ შალვა და რატომ არ დაუსვით მას ოპონენტი, რომელიც მის ბრალდებებს საკადრის პასუხს გასცემდა? გადაცემის ფორმატი ხომ ამას მოითხოვდა?

— დიახ, მაგრამ ნათელაშვილმა მოითხოვა, რომ მარტო მჯდარიყო ეთერში — სავარაუდოდ, ასეთი იქნება, ალბათ, მაესტროელების პასუხი.

საინტერესოა, როდის აქეთ დადის „მაესტრო" ნათელაშვილის ჭკუაზე და როდის აქეთ ასრულებს მის ულტიმატუმებს?

ვის გაუგორა მაესტრომ კოჭი ამ გადაცემით — შალვა ნათელაშვილს თუ ხელისუფლებას და კერძოდ, უშუალოდ, მიხეილ სააკაშვილს?

— ივანიშვილის პარალელურად სააკაშვილსაც ხომ ლანძღავდა ნათელაშვილი? განა ეს ხელისუფლების წისქვილზე წყლის დასხმას ნიშნავს? — შემოგვედავება „მაესტრო".

ძვირფასო და პატივცემულო „მაესტრო", ეგ საკენკი თქვენ იმ გულუბრყვილო ბებიებს და ბაბუებს დაუყარეთ, რომლებსაც თავიანთი შინაგანი წესიერების გამო ჯერ კიდევ სჯერათ, რომ ეგ თქვენი არხი მართლაც დამოუკიდებელია, ხოლო თავდაც ათას გალავანზე გადამხტარი ღლონტი რაღაცით უკეთესია კიწმარიშვილზე.

სააკაშვილისთვის აბსოლუტურად სულერთია, შეაქებ თუ შეაგინებ, მთავარია, მისი ოპონენტები ლანძღო და თავსლაფი დაასხა.

შავი პიარისთვის დამახასიათებელი და კარგად აპრობირებული ეს მეთოდი გამოიყენა „მაესტრომ" ივანიშვილის წინააღმდეგ — ნათელაშვილს ივანიშვილი ათათხვინა და ამით სააკაშვილს გული ისე მოფხანა, რომ შეიძლება „მაესტროს" ყველა მიმართულებით მწვანე შუქი აენთოს.

ვირეშმაკობა ჰქვია ამას, თუმცა „მაესტროს" ხელმძღვანელები, ალბათ, უფრო ლამაზ სახელს — ობიექტურობას და მიუკერძოებლობას ეძახიან.

***P.S.** — შალვა რამიშვილმა იკითხა: ვინ უფრო მაგარი „ტელევიზიონშჩიკია" — ღლონტი თუ კიწმარიშვილი?*

არც ერთი და არც მეორე — მიხეილ სააკაშვილია, გენაცვალე, ყველაზე მაგარი „ტელევიზიონშჩიკი", ხოლო დანარჩენები — ღლონტები, არველაძეები, კიწმარიშვილები, ჭანტურიები, აქუბარდიები — მისი ასისტენები არიან...

თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი.

„ოცნებაო, რემო, ქვეყნო...“

„ოცნებაო, რემო, ქვეყნო...“

ადამიანები, რომლებიც სხვადასხვაგვარად გამოხატავდნენ თავიანთ გულისნადებს, მთლიანობაში ერთ აზრს ქმნიდნენ იმის შესახებ, რატომ მივიდნენ 11 დეკემბერს ფილარმონიასთან, რისი იმედი აქვთ, რა სურთ, როგორ ესახებათ მომავალი.

ზურაბ ორდენიძე: – აქ იმიტომ მოვედი, რომ მხარს ვუჭერ ბიძინა ივანიშვილს. მე

პენსიონერი კაცი ვარ, ეკონომიურად მიჭირს. გადასახადს ძლივს ვიხდი, ყველაფერი გაძვირებულია, მიჭირს ცხოვრება და ამ კაცის იმედი მაქვს, რომ დაგვიბრუნებს სიცოცხლის სიყვარულს. ეს იმედი ამან გამიჩინა, ამ სიკეთემ, რაც აქ ჩაიწერა, ამ კაცის გეგმამ, აქ ამან მომიყვანა, ამ კაცის დაბადებულმა იმედმა.

ლიანა ბერიძე: – მიუტანენ ენას იმ აყლაყუდას, მაგრამ მე მაინც ჩემსას ვიტყვი, გადმოგვხედოს ერთი, იმ თავის რამდენიღაც მილიონიანი თვითმფრინავიდან, ჩვენთვის მოპარული ფულით რომ იყიდა და ზემოდან დაათვალიეროს, ყვითელი ავტობუსებით მოგვიყვანა ივანიშვილმა თუ მწვანეთი. ვერც ის და ვერც მისი ბატისტვინა ბანდა ვერ მიხვდება, რომ ჩვენ უფასო ქართული ოცნებით მოვედით, არ დაგვჭირვებია აქ ყურით მოთრევა და ოცმეთაურების თავზე დაყენება, რომ ჩუმად სახლებში არ გავიპაროთ.

ანზორ აბაშანდაძე: – აქ იმიტომ მოვედი, რომ საქართველოში ძალიან ცუდი მდგომარეობაა და კიდევ უარესობისკენ მიდის ამ ხელისუფლების გამო, რომელიც ხალხს ყურადღებას არ აქცევს. გამოჩნდა



ადამიანი, რომელსაც რეალურად შეუძლია ამ მდგომარეობის შეცვლა. აქ არავითარი კერპთაყვანისმცემლობა არ არის, როგორც უნდათ რომ დახატონ ნაციონალებმა, სრულიად უსაფუძვლოდ და უსინდისოდ. აქ არის რეალობა, – ამ ერთ ადამიანს აქვს იმხელა რესურსი, რომ შეუძლია შეცვალოს დღეს არსებული მდგომარეობა და ეს არის ძალიან მისაღები.

ნათელა ჟღენტი: – ბევრია შესაცვლელი, ძალიან ბევრი რამ. ყოველდღე რაღაც უცნაურს ვუყურებთ, თუნდაც პრესის გამავრცელებელ ჯიხურებთან დაკავშირებით. ორი შვილი მყავს და სიმართლე გითხრათ, ორივე წასულია საზღვარგარეთ. ორივე უმაღლესდამთავრებულია, ინგლისუ-

რიც იციან და კომპიუტერიც, მაგრამ არა სამსახური, არა პერსპექტივა და ვართ ასე დარჩენილები მე და ჩემი მეუღლე, ერთმანეთს ვუყურებთ პენსიონერები. მომავალი შვილებისაა, მაგრამ ვერ აიწყეს აქ ცხოვრება. იმედით ვარ და ნამდვილად არ მინდა რომ შევცდეთ. იქნებ ვცდები კიდეც, მაგრამ ყოველთვის სჯობს, რომ რაღაც შეიცვალოს.

ეპატერინე ალექსაია: – ძალიან დიდი იმედი მაქვს ქართული ოცნების შექმნისა. ვთვლი, რომ ქართველმა საზო-

გადოებამ გაიღვიძა და ძალიან მალე მივაღწევთ დასახულ მიზანს, აგვიხდება ქართული ოცნება, რომელსაც გულით ვატარებთ, – ხალხის განწყობაა ასეთი და ვიცი, რაც ხალხის ნებაა, ის ყოველთვის ახდება.

ქეთევან გორდელაძე: – აქ იმიტომ ვართ, რომ გამოვუცხადოთ ბიძინა ივანიშვილს ჩვენი მხარდაჭერა იმ მომავალი ხელისუფლებისადმი, რომელიც ძალიან სჭირდება დღეს ქართულ რეალობას, რომელიც, ვფიქრობ, რომ გარდაუვალია, აუცილებლად შეიცვლება ეს ხელისუფლება. ჯერჯერობით რა კურსითაც მოდის ბატონი ბიძინა ივანიშვილი, მისაღებია. ჩვენ ვიცით მისი წარსული, მისი ნაკეთები საქმეები და ვიცით მისი შეხედულება და მსოფლმხედველობა, მეტ-ნაკლებად, რა თქმა უნდა და მომხრე ვართ ამისი. იმიტომ მოვედი დღეს აქ, რომ მყარად დავაფიქსირო ჩემი პოზიცია და არა მხოლოდ მე, ოთხ ოჯახს წარმოვადგენ და ალბათ, მთელ საქართველოსაც, შემიძლია თამამად ვთქვა.

ეთერ დევიძე: – მან იმდენი რამე გააკეთა საქართველოსთვის, რომ იმსახურებს ყველაფერს კარგს და რაც მთავარია, ნდობას. გარდა იმისა, რომ სამება ააშენა, თუკი რამე გაკეთებულა საქართველოში, მისი გაკეთებულია, მისი წვლილია ყველაფერში. რა ვიცი, მისი იმედი გვაქვს. მე, პირადად, მინდა, რომ ბიძინა გახდეს პრეზიდენტი.

მარინა სამხარაძე: – კარგი ცხოვრების იმედი მაქვს, ლამაზი ცხოვრების და ეს იმედი გამიჩინა ბიძინამ, ბიძინას გამოჩენამ და საერთოდ, ბიძინას აღმოჩენამ. ქართველმა ხალხმა აღმოვაჩინეთ ეს კაცი თავისი

ადამიანობით, თავისი ჰუმანურობით, პატრიოტიზმით, კაცთმოყვარეობით. ეს არის კაცი, რომელსაც ადამიანები უყვარს.

ავთანდილ მიქიაშვილი: – აშკარაა, რომ საინტერესო ცვლილებების სუნი ტრიალებს და მაქვს სურვილი, რომ ჩემი პატარა, მოკრძალებული აზრი დავაფიქსირო ჩემი აქ ყოფნით. იმედი მაქვს სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისა და იმის, რომ ადამიანი, როგორც პიროვნება, დაფასებული იქნება ყველას მიერ.

მედეა მასხულია: – იცით, რა, მე ვოცნებობ, რომ საქართველოში მოვიდეს ისეთი მთავრობა, რომელიც დავით აღმაშენებლის ძეგლს არ გადაიტანს ქალაქის შუაგულიდან ქალაქის გასასვლელში და მის ადგილზე არ დადგამს ველოსიპედის ძეგლს; რომელიც აჭარას და ბათუმს არ აკადრებს იმას, რომ „შლოპანცების“ და კვერცხების ძეგლი დაუდგას და დაჭეჭყილი ბოთლის. ისეთ

მთავრობაზე ვოცნებობ, რომელსაც ეყოლება ისეთი სარდალი, რომელიც დაჭრილებს, მომაკვდავებს, გაუბედურებულ ხალხს არ მიატოვებს და მიწაზე ფორთვით არ გამოიქცევა. მე ასეთ საქართველოზე ვოცნებობ და მგონია, „ქართული ოცნება“ თავისი არსით, განახორციელებს იმ ოცნებას, რომელსაც პირადად ჩემი ოცნება უკავშირდება, აი, ამიტომ მოვედი აქ.

მანანა (მასწავლებელი): – რას გეტყვით, იცით, ამ „მუზასთან“ ვზივარ ამდენი ხანია ფეხმოუცვლელად და რატომ, არავინ დამინახოს აქ რომ ვარ, თორემ რაღაც 150 ლარიანი სამსახური მაქვს და იმასაც დავკარგავ-თქო და ჩემი დირექტორი არ დავინახე ცოლთან ერთად? – ისიც აქ მოსულა. ქართული ოცნების კარზე ვართ მიმდგარი და ნაბიჯის გადადგმაღა გვაკლია, რომ ვიხილოთ საოცრება, გაბრწყინებული საქართველო. ქართული ოცნება ნატო-ს კარები არაა, წიხლებს რომ ურტყამს სააკაშვილის ბანდა და უფრო ძლიერად რაზავენ შიგნიდან, მართლა აქ არ შემოგვიცვივდნენ ეს პრეზიდენტიანად გიჟები, ქურდები და მათხოვრებიო. აი, რა სახელი დაგვიგდო ამ მანიაკმა შიზოფრენიკმა საზღვარგარეთ. სკოლაში რომ მივდივარ, ასე მგონია, დამნაშავე ვარ. რა ვქნა, იმ ლაწირაკი გოგო-ბიჭების დანახვაზე, მანდატურები რომ ჰქვიათ და სინამდვილეში ბოქაულები არიან, საშინელი ალერგია მაქვს, ნევროზი დამმართეს. ბატონი ბიძინას გარდა, მე სხვა იმედი არ მეგულება. თითქოს ვიღაცები გამოჩდნენ, მაგრამ არ გაანძრევინეს ხელი. განა იმათ ვაუკაცობას ვუწუნებ, არა, ამ ბანდასთან შეჭიდებას სხვანაირი ხედვა უნდა და ეს ხედვა დავინახე ბატონ ბიძინაში, ამიტომ გამიჩნდა დიდი იმედი. ხომ ხედავთ, ისინიც კი გააჩუმა, ის მყეფარი ე.წ ოპოზიცია გაისუსნენ. მათი პატრონი დაფრთხა და ისინი ვეღარც წკავწკავებენ. სულ რომ ვერაფერი გააკეთოს, ამ ქართული იმედის მოცემისთვის, რომელსაც ქართული ოცნება ჰქვია, გაუმარჯოს ბიძინა ივანიშვილს! ბოლო-ბოლო სიზმარს მაინც ვნახავ ქართულად და უშიშრად, ინგლისურის სავალდებულო ცოდნა მომშორდება.

ანი მღებრიშვილი: – იმედი იმის მაქვს, რომ რაღაც გაუმჯობესდება, რაღაც შეიცვლება უკეთესობისკენ. რასაც ახლა ვხედავთ, ეს ყველაფერი არ მომწონს. რა იქნება მომავალში, არ ვიცი, იმიტომ, რომ ყველა პარტია ყველაფერს გვპირდება და საოცარი ლოზუნგები აქვთ ამასთანავე, მაგრამ რაც არის, ამას ხომ ვხე-

დავთ და არ მომწონს, იქნებ უკეთესი იყოს, მაგრამ თუ არ სცადე, ხომ ვერ გაიგებ. ამ შემთხვევაში ცდის გამო არ ვარ, იმედი მაქვს. რომ ვუკვირდები ამ კაცს, ბიძინა ივანიშვილს, ძალიან ბევრი პლიუსები აქვს და კიდევ ერთი ძალიან დიდი პლიუსი ის აქვს, რომ თავისი

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი



აქვს იმდენი, არ მგონია კიდევ ხალხისა შეჭამოს.

ვასო მაისურაძე: – დღეს ერთის აზრით, ერთის ფიქრით და ოდესღაც, ბავშვობიდანვე დაწყებული ნაოცნებარის განხორციელების იმედი ჩასახა ბატონი ბიძინას მოსვლამ პოლიტიკაში, ამიტომ, ყველა ის უარყოფითი თვისება, რაც ადამიანშია დაგროვილი, უნდა უარჰყოს. ერთ რამესაც გეტყვით, ცხონებული ჯანსულ ღვინჯილია ამბობდა დავით აღმაშენებელზე, რომ მეფობის დღიდანვე დავითმა იერიში მიიტანა არა ცუდი თვისებების მქონე ადამიანზე, არამედ ადამიანში არსებულ ცუდ თვისებებზე. ბატონი

ბიძინას ფენომენი არის შესაძლებლობა, საკუთარ სულში ჩაიხედოს ადამიანმა და დაინახოს, ღმერთი ისევ იქ არის თუ გაფრენილა სადღაც.

მარიამ გელაშვილი: – ძლივს დავდივარ, ავარიაში მოვყევი, სახესაც იმიტომ ვმალავ, მაგრამ მაინც მოვაღწიე აქამდე, მინდა ჩემი თვალით დავინახო კაცი, რომელიც, ასე მგონია, მხსნელად მოევლინა მომაკვდავ საქართველოს. ერი გულადი, პურადი, სტუმართმოყვარეო, ვმღეროდით და რა გვიქნა ამ ცხირმოუხოცავმა ამერიკამ. დიახ, ამერიკა ჰქვია ამ მთელ ქურდებით და მკვლელებით შექმნილ საქართველოს მთავრობას. ეს ქართული მთავრობა კი არა, ჩიკაგოს მთავრობაა, ორი საუკუნის წინანდელი ჩიკაგოს მძარველების ბანდის მთავრობა. ამათი გაურკვეველი წარმოშობის გვარები რაში მაინტერესებს, ამ ორი საუკუნით ჩამორჩენილი ძალად ამერიკელებისა. მე მზე მაქვს ქართული, მთვარე და ვარსკვლავები, სული მაქვს ქართული და ავიხდენთ ქართულ ოცნებას, აი, ამიტომ მოვედი აქ და ვიჯდები აქ, სანამ არ გამოვა ბატონი ბიძინა და ჩემი თვალით არ დავინახავ.

ანზორ თოთაძე: – ძალიან მოკლედ გიპასუხებთ თქვენს დასმულ კითხვებზე გალაკტიონის ლექსით:

„ოცნებაო, ჩემო, ძველო,
ვართ ღამეთა მთეველი,
კიდევ ბევრი სადღეგრძელო
დაგვრჩა დაულეველი“.

დარწმუნებული ვარ, ის სადღეგრძელო, რომელიც დაგვრჩა დაულეველი, შესანიშნავად გაართმევს თავს ბატონი ბიძინა ივანიშვილი და ქართული ოცნებაც საბოლოოდ ასრულდება. კი, ბატონო, მთელი საქართველო ვახ-

ტანგურად დაიწყებს სმას, როცა ეს ასრულდება.

ნოდარ მგალობლიშვილი, მსახიობი: მგონია, საქართველოში მაცხოვრებელ ყველა ეროვნების ადამიანს დიდი იმედი აქვს მომავლის. ხვალინდელი

დღე გათენდა, მგონი. გათენდა და ახლა ჩვენი სინათლეა საჭირო. ყველამ თავისი სიტყვა უნდა თქვას. მივიდეთ საარჩევნო ყუთთან და ჩავაგდოთ ბიულეტენი. ნუ ვიტყვით: რა მნიშვნელობა აქვს ჩემს ხმას, მაინც არაფერი გამოვა. არაა ასე. მიდი არჩევნებზე და ხმა მიეცი იმას, ვისაც გინდა. ოღონდ მერე უნდა დავიცვათ ჩვენი არჩევანი. რა გითხრათ? იმედიანი დღეა დღეს!

პაატა პოლუაშვილი: მე მინდა გავიხსენო ჯორჯ ვაშინგტონი, რომელიც კონსტიტუციის მიღების შემდეგ ასეთ რამეს წერდა: როდესაც კონსტიტუციაზე ვმუშაობდით, თავმჯდომარის უკან, არსებულ სარკმელში ვერ ვარჩევდით მზის სხივს, ამომავალი იყო თუ ჩამავალი, მაგრამ როდესაც კონსტიტუცია მივიღეთ, მიუხედავად იმისა, რომ ეს კონსტიტუცია არ გამოვიდა ისეთი, როგორიც მინდოდა, მაგრამ მთა-

ვარი ისაა, რომ იყო კონსენსუსის შედეგი და მივხვდი, რომ მზის სხივი, რომელიც ჩანდა თავმჯდომარის უკან სარკმელში, ამომავალი მზის სხივი იყოო.

მე დავინახე დღეს ამომავალი მზის სხივი და ქართული ოცნების განხორციელების გზა. მაგრამ ამას სჭირდება ერთძალად გაერთიანება. ჩვენი დემოკრატია ჩვენი დასაცავია, ამიტომ ხმამაღლა უნდა გამოვაცხადოთ პროტესტი, ჩვენ უნდა შევქმნათ მართულთა მმართველობა, სადაც თვით ჩვენ ვიქნებით მმართველები. ყოველივე ამის განხორციელება მოხდება არა მხოლოდ უფლებების, არამედ მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის ჰარმონიზაციით. დღეს ძალიან ხშირად ლაპარაკობენ უფლებებზე და ავიწყდებათ მოვალეობები.

ბიძინა ივანიშვილის გამოსვლა იყო არაჩვეულებრივი, ძალიან კარგი პროგრამული გამოსვლა, რასაც ვერ ვიტყვი ქალბატონი გელაშვილის გამოსვლაზე.

ერთი თხოვნა მაქვს ივანიშვილთან და მის მრჩეველებთან – აუცილებლად უნდა შეხვდნენ ეროვნული მოძრაობის პატრიარქთან ნოდარ ნათაძესთან, ასევე თამარ ჩხეიძესთან, მამუკა გიორგაძესთან, რომლებიც დღეს მე აქ არ დამინახავს. მათთან შეხვედრა, ვფიქრობ, აუცილებელია.

ავთანდილ იმნაძე, ეროვნული მოძრაობის ვეტერანი: დღევანდელი დღე 22 წლის წინანდელ ამბებს მაგონებს. ზუსტად ამ დარბაზში ჩატარდა მაშინ შეკრება. მე ვიყავი მაშინ იმ ღონისძიების ორგანიზატორი და იმედი, შემართება, ერთსულოვნება დაახლოებით ისეთივე იყო, როგორიც დღესაა. სამწუხაროდ, ის იმედი ჩაგვიქრა, მაგრამ დღეს იმედი მაქვს, ისეთი კაცი გამოგვიგზავნა ღმერთმა, რომ ახლა უკვე ყველაფერი გადაწყვეტილია.

მაშინ, 22 წლის წინათაც იყო ასეთი შემართება, მაგრამ, სამწუხაროდ, ჭკუა არ გვეყო, უჭკუოდ მოვიქეცით. იმდენი შეცდომა დავუშვით გამოუცდელობის გამო, რომ გამიჭირდება ყველა მათგანის ჩამოთვლა. ახლა ყველა ერთად ვართ – ძველებიც, გამოცდილი ხალხიც და სხვებიც და შეგვიძლია გავითვალისწინოთ, რაც მოხდა ადრე, რომ აღარ მოხდეს.

დღეს იმდენად გამოკვეთილი ფიგურაა ბიძინა ივანიშვილი, რომ მას ვინმემ ე.წ. ქიშპობა დაუწყოს, ეს გამორიცხულია. სააკაშვილი ვერ შეძლებს, გახდეს მისი საპირწონე, ის უკვე ჩამოწერილია, მე თუ მკითხავთ. იგი დღეს, ალბათ, თვალს ადევნებდა ამ ამბებს ფილარმონიაში და ალბათ, დალეწა რეზიდენციაში ყველაფერი.

დავით ფაცაცია: არაჩვეულებრივი განწყობა მაქვს დღეს ასეთ შეკრებას რომ ვხედავთ. მნიშვნელოვანია, რომ ქართული ოცნება ასრულდეს და ეს 2012 წელს მოხდება. ზნეობა, სამართლიანობა, ერთმანეთის პატივისცემა უნდა იყოს პირველ რიგში და მერე ვაკეთოთ სხვა უფრო ღრეღბული-ეკონომიკური, პოლიტიკური, ტერიტორიული პრობლემები და ა.შ.

მე ვიყავი ახლახან გამოჩენილი მინდია გულუას პარტიის გვერდით, მაგრამ გავემიჯნე მათ. ახლა არ მინდა ამაზე ლაპარაკი. ჩემთვის აბსოლუტურად მიუღებელია 7 ოქტომბერს ბიძინა ივანიშვილის განცხადების მერე ამ ადამიანის წინააღმდეგ წასვლა. თუ არ მიეხმარები, ხელი მაინც არ უნდა შეუშალო. ბოლო წლების განმავლობაში არავის გაუკეთებია საქართველოსთვის იმდენი, რამდენიც ბიძინა ივანიშვილმა გააკეთა. მნიშვნელოვანია ის, რომ ჩვენ მოქალაქეებს მოგვეცეს საშუალება მივიღოთ მონაწილეობა ყველა-

ფერ ამაში. უნდა მოხდეს ახალგაზრდული ორგანიზაციების გაერთიანება, ამ ყველაფერს ჩვენ ორგანიზებას გავუკეთებთ. უნდა დავიწყოთ უნივერსიტეტით.

ჩვენ შევხვდით ბატონ ბიძინას, ის უაღრესად უშუალო და უბრალო ადამიანია, განათლებული კაცია და რაც მთავარია, ის არის ღირსებაზე ორიენტირებული, რაც ნიშნავს, რომ დღეიდან ადამიანის ღირსებაზე აიგება ყველაფერი.

წინააღმდეგობები, ალბათ, იქნება, მაგრამ ჩვენ ვართ უმრავლესობაში, ხალხი არის უმრავლესობაში. ახლა მთავარია, ამ ძალების გაერთიანება და მერე ვერაფერი ვეღარ შეგვაფერხებს. რა კანონიც არ უნდა მიიღონ, რა სარჩელებიც არ უნდა წერონ, როგორადაც არ უნდა შეცვალონ კონსტიტუცია და ვისაც არ უნდა ჩამოგვართვან მოქალაქეობა, დაწყებულ პროცესებს ვეღარ შეაჩერებენ.

როცა ხალხი უპირისპირდება გარკვეულ ჯგუფს, წინ ვეღარაფერი დაუდგება.

2012 წლის არჩევნებზე მოხდება სრული გარდატეხა საქართველოს ცხოვრებაში.

კობა არაბული: ბევრჯერ დაიწყო ცვლილებების პროცესი, მაგრამ დრო არ იყო მაშინ. ახლა საფუძველი არსებობს, რომ პროცესები სწორად განვითარდება და



თუ ლიდერი ფსიქოლოგიურად, ზნეობრივად დახვეწილია, პროცესები უფრო დინამიურად განვითარდება. „რასაცა გასცემ შენია, რაც არა– დაკარგულიაო“, რომ გაიხსენა ივანიშვილმა „მაესტროში“ გამოსვლისას, ეს შემთხვევით არ უხსენებია. აბა, ათქმევინე, ვთქვათ, სომეხს – „რასაცა გასცემ შენია“... ვერ დაარწმუნებ და ვერც ათქმევინებ ამ სიტყვებს. „გაცემა“ გულისხმობს ზნეობრივი ძალების, შინაგანი ენერგიის გადაცემას ადამიანებისთვის. აქ მხოლოდ მატერიალურ გადაცემაზე არაა ლაპარაკი. ეს შესანიშნავად ესმის ბიძინა ივანიშვილს. ზნეობა უპირველესი კატეგორიაა და ეს იქნება, რომ დაუპირისპირდება მტერს.

ერმა დაინახა, რომ მოვიდა სულიერებით სავსე ადამიანი, აქვს სულიერი მარაგები, აგებდა ტაძრებს, დიდი ზნეობრივი ზემოქმედების შედეგად ხდება ადამიანების მიზიდვა. შეიძლება, ბიძინა საერთოდ არაფერს ჰპირდებოდეს ადამიანებს, მაგრამ მისი მაინც სჯერათ.

მაგრამ მნიშვნელოვანია, როგორ განვითარდება პროცესები რეგიონებში. ყოველი თემი, კუთხე მთავარია. ჩვენი ერი მოდის თემებიდან, ისტორიული კუთხეებიდან და აქ უნდა მოხდეს კონსოლიდაცია. თემის, კუთხის რჩეული ადამიანები უნდა მიიწვიოს საბჭოში და უწყვეტი კავშირები იქონიოს მათთან. იქ ძალადობს ნაცმოძრაობა, ხალხი დათრგუნული ჰყავთ, მათი რწმენის შემობრუნებაა საჭირო.

მე გავწევრიანდი მხარდამჭერთა სიაში. დიდი იმედი მაქვს მომავლის.

თუმცა მიმაჩნია, რომ მის ირგვლივ არსებული კრიტიკული მასა არაა საკმარისი „ქართული ოცნება“ განფინონ მთლიანი ერის სივრცეზე. ვიმედოვნებ, რომ გარემოცვას გაიძლიერებს.

დიმა ჯაიანი, მსახიობი: ხომ ხედავთ, რაც ხდება. ყველა ადამიანს უნდა მიეცეს საშუალება ნორმალურად იცხოვროს. არ იყოს დაჭერები, დაშინება, ტერორი. როცა ამდენი ტყეილია ქვეყანაში, ამდენი საძაგლობა, არის გაფანტვა დღეს, ერთ დღეში შეუძლებელი იყო, მაგრამ ბიძინა ივანიშვილმა მოახერხა ხალხის შეკრება და იმედის გაჩენა მათ გულებში.

ბატონმა ბიძინამ თქვა, რომ ადამიანი უნდა იყოს თავისუფალი, არ უნდა ისმინებოდეს ეს ჩემი ტელეფონი, არ უნდა სცემდნენ ადამიანებს ქუჩაში, არ უნდა ისჯებოდეს ის, ვისაც განსხვავებული აზრი აქვს. მე, დიმა ჯაიანს, გამაჩნია განსხვავებული აზრი,

ამისთვის გამომაგდეს თეატრიდან.

დღევანდელი დღით აბსოლუტურად კმაყოფილი ვარ. ყველაფერი იყო უბრალოდ, პომპეზურობის გარეშე. აქ არ იყო ფარსი, რასაც ვხედავთ ყოველდღე ხელისუფლებისგან.

ირანდა კალანდაძე
მაია ჭელიძე

diax, Svi I i dedam unda gazardos, adamiani_samSobl om...

„საერთო გაზეთის“ სტუმარია ფსიქოლოგი ია ახვლედიანი:

–ბიძინა ივანიშვილი არის თავმდაბალი ადამიანი, რომელიც ცდილობს თავისი შეხედულების მიხედვით განკარგოს საკუთარი კაპიტალი, თანაც ისე, რომ ხმამაღლა ამ თემაზე არ ისაუბროს.

ეს მსოფლმხედველობაა, რაც პიროვნებას ცხოვრების მანძილზე უყალიბდება. შემდეგ უკვე კარგად ჩამოყალიბებული კატეგორიებით ცხოვრობს, ან ცდილოს, რომ იცხოვროს. აქ ვლინდება მისი მისწრაფება-იყოს თავმდაბალი და მოკრძალებული.

ქართველებში მეცენატობა ყოველთვის ფასობდა და ამ პიროვნებებს უდიდეს პატივს სცემდნენ. ასე რომ, ივანიშვილს მორალური დივიდენდიც აქვს.

ამას გარდა, წლების განმავლობაში ეხმარებოდა საზოგადოებას და ეს სეგმენტი, რა თქმა უნდა, ივანიშვილს დაუჭერს მხარს. ასე რომ, უკვე ცნობადი სახე და უშურველი ქველმოქმედია. თუმცა მეორე მხარეა-როგორც პოლიტიკოსს, ისე არ იცნობენ. აი, ეს მორალური დივიდენდი კი იმოქმედებს დადებითად, თუმცა რა ნაბიჯებს გადადგამს პოლიტიკოსის ამპლუაში, უკვე სხვა საკითხია და ამის შეფასებას დრო სჭირდება.

ისიც ფაქტია, საზოგადოებამ პოლიტიკაში ივანიშვილის მოსვლით გარკვეული ძალა დაინახა, ანუ ვისაც შეიძლება ნდობა გამოუცხადონ და საკუთარი არჩევანი რეალურად შესთავაზონ. მანამდე იმდენად მრავალფეროვანი იყო ოპოზიციური სპექტრი, რომ საზოგადობა ცოტა არ იყოს გაუგებრობაში ჩავარდა. და აი, გამოჩნდა პიროვნება, რომელსაც შეუძლია ხელისუფლების ალტერნატივა გახდეს. შიშის სინდრომი კი არ მოიხსნა, არამედ გამოჩნდა ფიგურა, ვის მიმართაც საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს ნდობა გააჩნია და ამასთანავე იზიარებს მის შეხედულებებს. ხოლო მისი პოტენციური მხარდაჭერების სეგმენტი მნიშვნელოვანია, რადგან საკმაოდ მრავალრიცხოვანია. ხოლო თუ ის ნაწილია, რაც საკმაოდ ანგარიშგასაწევი ძალა გახდება არჩევნების დროს, მაშინ გამოდის, რომ სხვა პოლიტიკური ძალებისათვის საკმაოდ კონკურენტუნარიანი იქნება.

– ია, საზოგადოება ნელ-ნელა ეიფორიიდან გამოდის, ივანიშვილი კი რადიკალურ მიდგომებს არ ითხოვს, არამედ რუტინულ არჩევნებს გვპირდება, ეს არჩეული სტრატეგია მეცენატის რეიტინგზე როგორ აისახება?

– თუ ისეთი საზოგადოება გვინდა შევქმნათ, რომელიც რაციონალურ გადაწყვეტილებებს დაეყრდნობა და არა ემოციებს, რაც თავისთავად პოლიტიკური ცხოვრებისთვისაც საკმაოდ მნიშვნელოვანია, მაშინ ეს ტენდენცია მხოლოდ მისასალმებელია.

კონკრეტულ პერსონებს კი არ უნდა მივცეთ ხმა, არამედ მხარი დავუჭიროთ იმ გეგმებს, შემოთავაზებებს და წინადადებებს, რაც პოლიტიკოსების წარმოდგენაში საზოგადოებას უკეთ ცხოვრების შესაძლებლობებს მისცემს. გადაწყვეტილების მიღება ქუჩაში არ უნდა ხდებოდეს. ყველაზე მისაღები გზა, სადაც თითოეული ინდივიდუალურად იღებს საკუთარ გადაწყვეტილებას რაციონალურად და წინასწარ გააზრებულად- ვის, რატომ, რისთვის ემხრობა... აი, ამისთვის ყველაზე საუკეთესო გზა არჩევნებია. მეორე მხრივ, საზოგადოებაში შესაძლოა არჩევნების სამართლიანად ჩატარების იმედი არ დარჩა. თუმცა ეს იმედი საზოგადოებამ ერთ ან თუნდაც ორ ადამიანს კი არ უნდა მიანდოს და იმით ისულდგმულოს, არამედ თავად უნდა იყოს აქტიური მონაწილე.

თავად უნდა გააკეთოს რაციონალური არჩევანი, თუ გვინდა სამოქალაქო საზოგადოების შექმნა, რომელიც დაფუძნებულია სწორედ ამ რაციონალურ გადაწყვეტილებაზე.

რაც შეეხება ემოციურ ფონს – ჩვენმა საზოგადოებამ უკვე საკმაოდ ბევრი ეტაპი გაიარა ბოლო 21 წლის განმავლობაში და მიხვდა, რომ მხოლოდ ემოციები არ არის განმსაზღვრელი დადებითი შედეგებისა.

– რა თქმა უნდა, ის მორალური კატეგორიები, რაც პოლიტიკაში მოსვლისთანავე წარმოჩინდა მნიშვნელოვან დივიდენდებს მოუტანს. თუმცა რამდენად შეძლებს იმოქმედოს ამომრჩეველზე და საკმაოდ მნიშვნელოვანი არმია შექმნას, ამას დრო გვაჩვენებს. ისიც ფაქტია, საზოგადოებას მის გულწრფელობაში ეჭვი არ ეპარება, ყოველ შემთხვევაში მნიშვნელოვან ნაწილს სჯერა: ის გზა, რაც მეცენატმა განვლო მისი მსოფლმხეველობით იყო განპირობებული და არავითარ შემთხვევაში მერკანტილური შეხედულებებით. ფაქტია, მან ქართველების საზღვარგარეთ სასწავლებლად გაგზავნა დაფინანსა, წლების განმავლობაში დებდა კაპიტალს ქართული ხელოვნების აღორძინებაში და ა.შ. და ა.შ. თუ როგორ მოახერხებს უკვე პოლიტიკოსი ივანიშვილი თავის წარმოჩენას, ესეც მის სტრატეგიაზეა დამოკიდებული. რამდენადაც ვიცი, ქველმოქმედებაზე დროებით უარი თქვა, რომ ეს ხალხის მოსყიდვაში არ ჩათვლოდა.

– ბოლო დროს ხშირად გაიგონებდით: აი, ფინალამდე მივედით...ამათ ცოტა დრო დარჩათ, ამ რეჟიმს მალე დავსრულებთ და ა.შ. და ა.შ. როგორც ფსიქოლოგი, ამ განწყობებს რა ახსნას მოუძებნით?

– ეს განწყობა არის ილუზია. ფინალი ეს არ არის მოცემულობის ადექვატური შეფასება, რადგან რაც არ დაწყებულა, იმის დასასრულს, როცა წინასწარ ხედავ... ეს არის, შენ რაც გინდა ის უკვე დაიჯერე და უკვე რეალობად მიიღე. ამ დროს წინ საკმაოდ დიდი და ბევრი რამ არის გასაკეთებელი. ელემენტარულად, წინ არჩევნებია და საკმაოდ არის დრო იქამდე, რომ წინ და წინ ვთქვათ, აი, ჩვენ გავიმარჯვეთო.

თუმცა შესაძლოა, გამარჯვებაში გულისხმობენ, რომ აი, გამოჩნდა ვიღაც, გაჩნდა ალტერნატიული შეთავაზება, რომელსაც განსხვავებული მოსაზრება გააჩნია საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრების შესახებ და თამამადაც შეუძლია თქვას, რომ განსხვავებულად ფიქრობს საზოგადოების მოწყობას.

მსგავსი მოწოდებები აქამდეც შეიძლებოდა გაგვეგო, მაგრამ ხალხი სერიოზულად არ აღიქვამდა, რადგან პოლიტიკოსები ვერ ახერხებდნენ საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის დარწმუნებას და შესაბამისად, ხალხს მათი იმედიც არ ჰქონდა.

თავის მხრივ, ხელისუფლებამ დაინახა კონკურენტუნარიანი ძალა და უკვე დაიწყო კიდეც წინასაარჩევნო კამპანია. ასე რომ, ხელისუფლება ივანიშვილის გამოჩენამ გამოაფხიზლა, ესეც თავისთავად მნიშვნელოვანი ფაქტია.

– არსებობს ერთგვარი ფსიქოლოგიური მოსაზრება, რომ ივანიშვილის გამოჩენამ ხელისუფლება მართლაც ერთ გუნდად შეკრა და შეაკავშირა, ასეთი ერთიანი მოქმედება ხელისუფლებისა, ალბათ, დამეთანხმებით, კარგა ხანი არ გვინახავს...ასეც რომ იყოს, რამდენად უშველის რეჟიმს ეს ფაცაფუცი?

– რა თქმა უნდა, კონკურენცია თავისთავად ქმნის გაერთიანების საშუალებას, საერთო მიზნის ირგვლივ ხდება შეკავშირება. უფრო მყარ ერთობას ქმნიან იმ პერსონის გარშემო, ვინც ალტერნატივად დაინახეს. ასე რომ, ამ მოცემულობაში რასაკვირველია, უფრო მყარი ერთობისთვის განეწყობიან. ეს ბუნებრივი გადარჩენის პრინციპია. ამგვარ ვერსიას არსებობის უფლება აქვს.

– ისიც მსჯელობის საგნად იქცა, რატომ დადო ივანიშვილმა ფსონი „რესპუბლიკელებსა“ და ალასანიას პარტია „თავისუფალ დემოკრატებზე“, როცა ეროვნულობაზე აპელირებს და საზოგადოებას „ქართული ოცნების“ ასრულებას ჰპირდება?

– მარტივად ვიტყვი, რადგან სხვა ახსნა, ჩემი აზრით. არც უნდა ჰქონდეს: შესაძლოა, ამ პარტიებს საკმაოდ არგუმენტირებული შეხედულებები გააჩნდათ და გააჩნიათ კიდეც ქვეყნის უკეთ მოწყობაზე. აი, ივანიშვილმა უკეთ წარმოაჩინა მათი მიზნები და შეხედულებები. ფაქტია, საერთო შეხების წერტილები გამოიკვეთა, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ერთობა ვერ შედგებოდა.

შესაძლოა, ხელისუფლების ცვლილება ვერ მოხდეს და ვერც უმრავლესობაში მოვიდნენ გარკვეული მიზეზებისდა გამო, მაგრამ რაღაც ჯგუფი ხომ მაინც გაჩნდება პარლამენტში, რომელიც სახელისუფლებო ძალას სერიოზულ ოპონირებას გაუწევს, ისევე როგორც, თუ ეს ჯგუფი ხელისუფლებას შეცვლის და სათავეში მოგვევლინება, მათაც ეყოლებათ სერიოზული ოპონენტები, რასაკვირველია, მაშინ უკვე ოპოზიციის სახით, რომლებიც არ მისცემენ მოდუნების საშუალებას. აი, ეს არის ჯანსაღი პოლიტიკური პროცესი.

– ია„„მაესტროში“ ეკა ბერიძესთან ინტერვიუს დროს, ივანიშვილმა კარგ ფსიქოლოგად წარმოაჩინა თავი. ისაუბრა მნიშვნელოვან კატეგორიებზე-ინტელექტისა და ფსიქიკის ჰარმონიულობაზე, რაც შედეგისათვის აუცილებელი პირობაა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მხოლოდ ინტელექტით ვერაფერს განვაწყობთო.... განვითარებად ქვეყნებში ფსიქიურ პრობლემებთან ბრძოლის აუცილებლობაზეც. ასევე შეეხო ბუნებრივ და ჯანსაღ ფსიქოლოგიურ მშობიარობას. ისაუბრა დედის ფაქტორზეც-დედამ შვილი ოთხ წლამდე მაინც თავად უნდა გაზარდოსო, რაც იდენტიფიკაციის აუცილობელ პირობად მიიჩნია, რა აზრი დაგრჩათ ასეთ სიღრმისეულ მსჯელობებზე?–

– კარგია, როცა პიროვნება ამა თუ იმ სფეროსადმი ამჟღავნებს ინტერესს. თუმცა საკმაოდ სიღრმისეული პრობლემები წამოსწია და ამის მოგვარებას დიდი დრო და რესურსები დასჭირდება.

ფაქტია, კაპიტალიზმის პირობებში სტრესული გარემო იჩენს თავს და თვითდამკვიდრებაც საკმაოდ ჭირს, ასევე ისიც ფაქტია, რომ შვილი დედამ უნდა გაზარდოს. ოღონდ, სამწუხაროდ, ამავე სტრესულ გარემოში ვერავის უბრძანებ, რომ გინდა თუ არა, ისე მოიქეცი, როგორც ჯერ არსო.

ეს ფსიქიკური პრობლემებიც, რასაკვირველია, სტრესული ფონის შედეგია, თუმცა კაპიტალიზმი ხომ მხოლოდ ჩვენი პროლემა არ არის? კომუნიზმსა და სოციალიზმში თვითგადარჩენის პრობლემა არ დგას, მაგრამ მაშინ უძრაობის ხანა იყო. ასე ადვილად და ხელაღებით ვერ გადავჭრით ხსენებულ პრობლემებს. თანაც ისევ დედობის თემას მინდა დავუბრუნდო, ზოგს არ აქვს გათავისებული დედობის არსი, განა იმიტომ, რომ არ უნდა, არამედ რიგი შინაგანი ფაქტორების გამო, ამ ფაქტორების გარკვევა კი საკმაოდ რთულია. ისიც მართალია, პიროვნების ჩამოყალიბება ხუთ წლამდე ხდება. ასე რომ, პრობლემები რეალურია, თუმცა მათ დასაძლევად სხვადასხვა გზები უნდა მოიძებნოს, რაც იოლი არ იქნება.

ისიც სწორად არის მიგნებული- ფსიქოლოგმა პრობლემის შედეგს კი არ უნდა ებრძოლოს, არამედ მიზეზი გამოიკვლიოს, ვეთანხმები ბიძინა ივანიშვილის ამ მოსაზრებასაც.

ნათია ნოდია

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

ქართული ოცნება

ეპილოგი

rac ar unda gerqvas, Seni sisxlia wiTeli,
rac ar unda gecvas, Senc daibade SiSveli,
da Tu gamiWirda, miTxari, vin miSvelis?!
an saerTod ar viqnebi, an viqnebi pirveli.

xandaxan vibnevi, pasuxebs gTxov,
rogor avaSeno is, rasac ver daangrevs dro?
mogmarTav SenobiT, viyurebi maRla,
mxolod Sen ici vin var marTla.

siyvaruls vnaxav, did ojaxs Sevqmni,
movivli msoflios, istorias Sevcvli,
bolos getyvi, `qarTuli ocneba~ avixdine,
davibade cremlebSi, wasvlis win gaviRime.

dekemberi 1994, aq var,
gamarjoba cxovrebas, movedi,
me-7 palata me-4 sarTuli,
davibade parizSi Tavidan fexebamde qarTuli.

naxe ras gavs, qarTvelia, TeTria,
modi davcinoT, mTel skolaSi erTia,
gegoneT susti, SegSliaT,
qarTul ocnebas ver xedavT, is CemSia.

viyavi marto, aravin ar mgavda,
yvela cdilobda, veravin mCagravda,
Cemi mizani gegona sizmari,
mivaRwev, moval da getyvi, xom giTxari...

da Tu CvenTan xar, bolomde darCi,
gaxsovdes vin xar, ar itiro xalxSi,
male yvela iamayebs CveniT... gpirdebi...
qarTul ocnebas vWirdebiT!

dro midis, dee... aRar var bavSvi,
qveyana mengreva, rogor vijde saxlSi,
male yvela iamayebs CveniT... gpirdebi...
qarTul ocnebas vWirdebiT!

aravin meloda, aravis jeroda,
viSrome, vibrZole, SevZeli uTqvenodac,
me gTvlidi megobrad, Sen iTvlidi fuls,
yvela mcnobs, aravin icnobs Cems guls.
ggonia, udardelad vizrdebodi,
ggonia, Cems adgilas, yvelaze bednieri iqnebodi,
ggonia, Tavs vTvli varskvlavad, caSi var...
ggonia, niu-iorkSic saxlSi var.

ggonia, ar minaxavs tkivili da sicive,
8 agvistos mec SensaviT vitire...
mec SensaviT metkina,
mec maqvs grZnoba,
mec myavs mtrebi,
mec vici Zmoba.

SeuZlebels SevZlebT!!!

Cveni axalgazrduli frTa,
mTel qveyanas vaCvenoT gza,
bolos vTqvaT, `qarTuli ocneba~ avixdineT,
davibade cremlebSi, wasvlis win gaviRime...

da Tu CvenTan xar, bolomde darCi,
gaxsovdes vin xar, ar itiro xalxSi,
male yvela iamayebs CveniT... gpirdebi...
qarTul ocnebs vWirdebiT!

dro midis, dee... aRar var bavSvi,
qveyana mengreva, rogor vijde saxlSi,
male yvela iamayebs CveniT... gpirdebi...
qarTul ocnebas vWirdebiT!

gavixseneT, rogor movediT am qveynad,
gvixaroda, gviyvarda da viyaviT erTad,
vuyurebdiT cas da vexebodiT varskvlavs,
bednier bavSvobas araferi kargavs.

gavixseneT, rogor mivaRwieT miznebs,
rogor, veferebodiT Cveni Svilebis Svilebs,
gavixseneT, rogor ar gvindoda wasvla,
ar vicodiT, ra gveloda, aq maRla...

ehh ,SeiZleba, dRes ver mxedav, magram icodeT,
rom aq var da yovelTvis Sens gverdze viqnebi.
`qarTuli ocneba~...

male yvela iamayebs CveniT... gpirdebi...
qarTul ocnebas vWirdebiT!
dro midis dee... aRar var bavSvi,
qveyana mengreva, rogor vijde saxlSi,
male yvela iamayebs CveniT... gpirdebi...
qarTul ocnebas vWirdebiT!!!

ბრავო, ბერა! შენ ღრმა გრძნობები და სიყვარულით გადავსებული გული გაქვს. ახლა ასეთი გულების გაერთიანება ჭირდება ჩვენს სამშობლოს და სულ მალე გავიმარჯვებთ!

ნამდვილად გულის ამაჩუყებელი და ამავე დროს იმედის მომცემი სიტყვებით სავსე სიმღერაა. ღმერთმა არ მოგიშალოს იმედიანი განწყობა და ქართული ოცნების ასრულება მთელ საქართველოსთან ერთად უკეთილშობილესო ადამიანო.

„ქართულ ოცნებას ვჭირდებიიიით“... მე ბოლომდე ვარ და ვიქნები ქართული ოცნების გვერდით.მე არ მეშინიაა, არა!!! და გთხოვთ თავი არ დავზოგოთ ქართული ოცნებისათვის...შიში ხომ ლაჩრების საქმეა,ჩვენ კი ქართველები ვართ და ლაჩრობა არ გვიხდება!!! ქართულ ოცნებას ვჭირდებიიიით ხალხო!!!

პაწაწაა ცოტნეეე, იცით კლიპის ყურებისას პირველად ცრემლი სწორედ ამ პაწაწას დანახვაზე წამომივიდა... ღმერთო, ასეთი საყვარლები, ასეთი უმანკოები როგორ ხართ მთელი ოჯახი.. ღმერთმა დაგლოცოოოთ, მიყვარხაااااართ ძალიან.

ბერა! შენ ყველა ქართველის გული გაათბე,თავი უსაზღვროდ შეგვაყვარე და ოცნება გვასწავლე.დიდი მადლობა ამისთვის.

ბერა, სულ ვამბობ და კიდე გავიმეორებ ძალიან კარგი შვილი ხარ... ამ კლიპმა ამატირა... მე მჯერა რო მართლა ძალიან გიყვართ საქართველო და შეძლებთ მის გადარჩენას...უფალი გფარავდეთ...

ბერა, ძალიან ძალიან საყვარელი ხარ და რა საყვარელი პატარა ძამიკო გყავს!!! ქართული ოცნების მიზანიც კარგად ჩანს ამ კლიპში: დახურული ბნელი სივრციდან გაღწევა სხადასხვა თაობასთან ერთად!!! ასეთი პატარა ბერა და ასეთი დიდი გულით, ორიგინალური გარეგნობით და საღი აზროვნებით!!! “კარგი შვილების გამზრდელი.

Cven geLaTidan jaWvebSebmuLni CamovediT fexiT TbilisSi, magram ramdenicar undaviaroT jaWvebiT daborkilebiT, xalxi Tuar aRsdgaRirsebis dasabruneblad, araferi gamova...

გვესაუბრება მწერალი
მერაბ შათირიშვილი.

—ბატონო მერაბ, „ქართული ოცნების„ პრეზენტაციაზე დაგინახეთ. რა შთაბეჭდილება დაგრჩათ?

— დიახ, გახლდით „ქართული ოცნების“ პრეზენტაციაზე და უნდა გითხრათ, კარგი იქნება თუ იქ გაჟღერებული იდეები საქმედ იქცევა. რაც შეეხება პერსპექტივებს — ამაზე, მართალი გითხრათ, არ ყოფილა საუბარი. მე ვფიქრობდი, რომ საუბარი იქნებოდა მომავლის პერსპექტივებზე, დასახულ ამოცანებზე, მაგრამ სამწუხაროდ, ასეთი რამ არ მომისმენია. არავის ეგონოს, რომ არ ვემხრობოდე ამ საზოგადოების შექმნას, პირიქით, სულით და გულით მივესალმები, მაგრამ ის ხალხი, ის ადამიანები, ვინც 11 დეკემბერს ფილარმონიაში ვიხილეთ, სხვა შეკრებებზეც გვინახავს.

— რა ხდება, თქვენი აზრით, უკმარისობის გრძნობა რატომ გაუჩნდა ზოგიერთს „ქართული ოცნების“ პრეზენტაციის შემდეგ?

— მინდა გითხრათ, რომ ერთი წუთითაც არ მეპარება ეჭვი სამშობლოს მიმართ ბიძინა ივანიშვილის უანგარო სიყვარულში, მაგრამ მას არ იცნობდა ხალხი, არ ჩნდებოდა საზოგადოებაში და ეს შეხვედრა, შეიძლება მისთვის იყო რაღაც ახალი, თორემ ჩვენთვის, საზოგადოების უბრალო წარმომადგენლებისთვის, ყოველივე ეს ჩვეულებრივი ამბავი იყო და ამაში აბსოლუტურად არ ყოფილა არაფერი სენსაციური. ჩვენ ბევრჯერ შეკრებილვართ, ბევრჯერ მოგვისმენია საინტერესო საუბრები მომავალზე, დაგვიკრავს ტაში, აღვფრთოვანებულვართ და მერე სახლში წავსულვართ კუდამოძუებულნი.

— ეი. თქვენ განსხვავება სხვა დღეებთან შედარებით ვერ შეამჩნიეთ? მე, პირადად, რამდენიმე ქალბატონს თვალზე ცრემლიც დავუნახე...

— თქვენ იცით, რომ მე პირდაპირი საუბარი მიყვარს და როცა საქმე ჩემი ქვეყნის მომავალს ეხება კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ახალი არაფერი მომხდარა 11 დეკემბერს. ეს ხალხი არაერთხელ მინახავს სხვადასხვა შეკრებების დროს. ემოციებითა და ვიშვიშით არაფერი გაკეთდება. ამ ხელისუფლებას არ უნდა დავუპირისპირდეთ მისივე მსგავსი პიარებითა და დრამატიზებული შეკრებებით — ფალსიფიცირებული არაფერი ვარგა, ხოლო მარტო ბიძინა ივანიშვილის პერსონა და დადებითი ბიოგრაფია ქვეყნის პრობლემას ვერ გადაჭრის — ბიძინა ივანიშვილი ჯანსაღი საზოგადოების გარეშე ფონს ვერ გავა და საქართველოსაც არაფერს წაადგება.

— ბატონო მერაბ, იმ ადამიანებს, რომლებიც ადრე სხვა შეკრებებზე გინახავთ, „ქართული ოცნების“ პრეზენტაციაზე მოსვლის უფლებას არ უტოვებთ?

— გასაგებია, რომ ამ ადამიანებს ვერავინ აუვლის გვერდს, გასაგებია, რომ იმ ადამიანების იქ ყოფნა რამდენადმე აუცილებელიც იყო, მაგრამ უნდა ითქვას, ის ხალხი გუშინ, დიახ, გუშინ და არა გუშინწინ მიხეილ სააკაშვილის გვერდით იდგნენ, მათ მხარს უმშვენებდნენ და ახლა ივანიშვილს უკრავენ ტაშს. ეს ორმაგი სტანდარტია და ამან დაღუპა ჩვენი ქვეყანა. მაგრამ კარგია, რომ ეს კითხვა დამისვით. უპრიანი იქნებოდა ის ადამიანები, ვინც ადრე სააკაშვილთან იყვნენ და მერე გაემიჯნენ, ერთმანეთის გვერდით დამდგარიყვნენ ივანიშვილის გამოჩენამდე, აი, მაშინ ექნებოდა მათ იქ ყოფნას ფასი...

ამ ორმაგმა თამაშმა მოგვითავა ხელი. ვითომდა დემოკრატები ვართ, ლოიალურები განსხვავებული შეხედულებების მიმართ. ახლა მე ფაქტებს დაგისახელებთ და დასკვნები თვითონ გააკეთეთ. მე, მერაბ შათირიშვილი ყოველთვის ვამბობ სიმართლეს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მე ვარ მხარე — ამას მხოლოდ ხელისუფლება თვლის ასე.

ნახეთ, რა ხდება ე.წ. ოპოზიციურ ტელეარხებზე —„მაესტროსა“ და „კავკასიაზე“. დებატებში იწვევენ ხელისუფლებიდან ვინმეს და მის პირდაპირ სვამენ ოპოზიციის წარმომადგენელს და ლაპარაკობენ ბიძინა ივანიშვილზე უარყოფით და დადებით კონტექსტში — ვითომდა ამ ობიექტურ ტელევიზიებში. მაგრამ რა ხდება სახელისუფლებო ტელეარხებზე? იქ, ფაქტობრივად, არ აჭაჭანებენ ოპოზიციურ აზრს, ქართული საზოგადოების არავითარ განსხვავებულ მოსაზრებას. ოპოზიციურ არხებზე არის ვითომდა დემოკრატიული პოზიცია და სინამდვილეში წყლის ნაყვაა ყველაფერი. როგორ შეიძლება დებატებში ვიღაც ნაციონალ ნასარიძეს საპოლემიკოდ დაუსვა დიზაინერი ბაკურაძე და ამ უკანასკნელმა ივანიშვილის იმიჯი დაიცვას? ეს ხომ მომბეზრებელი და ღიმილის მომგვრელია, მსუბუქად რომ ვთქვათ?

ამიტომ ვამბობ, რომ 11 დეკემბერს ასეთი ტიპის სტრატეგიაზე უნდა ყოფილიყო მსჯელობა და საზოგადოებას ერთხელ და სამუდამოდ განესაზღვრა, რა არის ობიექტურობა და რა არის წამგებიანი ვითომდა დემოკრატიულობა. და არავითარ შემთხვევაში არ უნდა ხდებოდეს ასე: ბიძინა ივანიშვილი ამბობდეს —„მაესტროს“ დავეხმარები ობიექტური ინფორმაციის გავრცელებაშიო და ამ დროს „მაესტრო“ ავრცელებდეს ივანიშვილის საწინააღმდეგო შეხედულებებს და ასმენინებდეს ხალხს ივანიშვილის ვითომდა მაკომპრომეტირებელ არგუმენტებს.

რასაც „მაესტრო“ და „კავკასია“ აკეთებს, ეს არ არის ობიექტურობა. ეს არის ის, რაც აწყობს ხელისუფლებას — დაპირისპირება, კონფრონტაცია, ცრუ კომპრომეტირება. ჯარგონის ენაზე ამას „დვურუშნიკობა„ ჰქვია...

ამ დროს რას აკეთებს „იმედი“ და „რუსთავი-2“ ეს სახელისუფლებო ტელევიზიები — აშუქებენ 11 დეკემბრის მოვლენას ქილიკით, სარკაზმით და აცხადებენ, თითქოს ეს იყო ივანიშვილის ვაჟის — ბერას კონცერტი ფილარმონიაში. ასეთი ტიპის ინფორმაციები არ ახდენს გავლენას მოსახლეობაზე? ახდენს, რა თქმა უნდა, და ხელისუფლებისთვის შედეგიანადაც კი!.. ამით იმის თქმა მსურს, რომ გაზეთებმა და ყველა ოპოზიციურად განწყობილმა მედიასაშუალებამ უნდა ეცადოს წინა პლანზე წამოსწიოს ახალი სახეები, საზოგადოებისგან მივიწყებული წარმომადგენლები, ისინი, ვისაც არასდროს არ უთამაშია ორმაგ მოედანზე, არ მჯდარან სასაუბროდ მიხეილ სააკაშვილთან და ახლა არ აპირებენ ბატონ ბიძინასთან დაჯდომას.

— ბატონო მერაბ, ხელისუფლება კანონებით „გვეთამაშება“. ორშაბათს, სანამ ბიძინა ივანიშვილისა და მისი მეუღლისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევის საკითხის სასამართლო განხილვა იქნებოდა, პავლე კუბლაშვილმა მანამდე განაცხადა, საქართველოს მოქალაქეები ვინც არ არიან, მათ არც ჰქონიათ და არც ექნებათ არჩევნებში არათუ მონაწილეობის მიღების უფლება, არამედ წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობის საშუალებაც კიო.

— სასამართლო, ტელევიზიები, ძალაუფლება ამ ხელისუფლებისაა. ამ ხელისუფლების თავგასულობას უნდა დაუპირისპირდეს აქტიური პროტესტი. მე გესაუბრეთ თქვენ ჩემი მეგობრებისა და ჩემს პროტესტზე — ჩვენ გელათიდან ჯაჭვებშებმულნი ჩამოვედით ფეხით თბილისში. საზოგადოებამ თუ ხმა არ ამოიღო, ჩვენ რამდენაც უნდა ვიაროთ ჯაჭვებით და ბორკილებით, რამდენჯერაც არ უნდა შეიკრიბოს „ქართული ოცნება“, შედეგი არ დადგება. საზოგადოებამ უნდა გამოიჩინოს პრინციპულობა და მაშინ ვერც მოქალაქეობას ჩამოართმევენ ვინმეს და ვერც ბუზს აუფრენენ ტყუილუბრალოდ.

— ეი. რას გვთავაზობთ?

— ბიძინა ივანიშვილმა გვერდით ის ადამიანები უნდა დაიყენოს, რომლებიც არასოდეს გასვრილან, ასეთი ადამიანები ასიათასობითაა საქართველოში. ეს ის ხალხია, ვისაც პრინციპულად აქვს ხელი ჩაქნეული ამ ხელისუფლებაზეც და ოპოზიციაზეც.

თქვენმა რედაქტორმა მართებულად უწოდა ამ ადამიანებს „მოუხმობელნი“, დიახ, თუ არ მოხდა საქართველოში მოუხმობელთა მოხმობა, ჩვენს საქმეს არაფერი ეშველება. სოფლად, რაიონებში, ქუჩაში, უბნებში უნდა შევკრიბოთ ასეთი ადამიანები — ესენი არიან საზოგადოების, დაახლოებით, 40 პროცენტი. მაგათი შეკრებაა საჭირო. თუ ასე არ მოხდა, როგორი კრახითაც დაამთავრეს მოღვაწეობა სხვა „საზოგადოებრივმა“ ძალებმა, ისევე კრახით დაამთავრებს ეს მოძრაობაც. ხოლო ამ ადამიანთა მობრუნება ქვეყნის სასიკეთოდ ისევ და ისევ საზოგადოების წარმომადგენლებს ხელგვეწიფება და არა რომელიმე ოპოზიციური პარტიის წევრებს, რომლებმაც რეგიონებსა და რაიონებში სულ წაიხდინეს ავტორიტეტი და მოსახლეობის მიმართ აბსოლუტურად დაკარგეს ნდობის ფაქტორი.

— თქვენ თვითონ რა ინიციატივით გამოხვალთ?

— ჩემგან სიმართლის და ერთგულების გარდა არავის არაფერი სმენია. ჩემნაირი ადამიანები, კიდევ ვიტყვი, უამრავია საქართველოში. უნდა შევკრიბოთ ასეთი ადამიანები და ჩვენ შევძლებთ შეუძლებელს, რადგანაც ჩვენს უკან მხოლოდ ჩვენი სამშობლოა!..

მე ზემოთ თქვენი რედაქტორი ვახსენე და მინდა გითხრათ, რომ, „საერთო გაზეთი“ არის ერთ-ერთი სიმართლის მთქმელი გაზეთი და ის ნამდვილად უნდა იკითხოს მთელმა საქართველომ. ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ თქვენს გაზეთთან რაიმე პიროვნული ურთიერთობა მაკავშირებდეს, თქვენთან ერთადერთი კონტაქტი მაქვს, ინტერვიუს გაძლევთ იმიტომ, რომ ერთ-ერთ სიმართლის მღაღადებელ გამოცემად მიმაჩნიხართ. ასეთი პოზიცია რომ ჰქონდეს „მაესტროს“, „კავკასიას“, ან ზოგიერთ სხვა მედიაგამოცემას, ჩვენი საქმე უკეთესად იქნებოდა.

ხალხი უნდა მივიდეს ხალხთან და ხალხმა უნდა გადაარჩინოს ჩვენი ქვეყანა, ვინმეს თუ გარე ძალების იმედი აქვს და ყალბი იმედებით საზრდოობს, ამას ქართველი საზოგადოება ყოველთვის გაემიჯნება.

ქვეყანა ჩვენ უნდა ვიხსნათ!

ირანდა კალანდაძე

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

ონლაინ გამოკითხვაში რეჯეპ ტაიფ ერდოღანი ლიდერობს

ამერიკულ ჟურნალ "ტაიმის" ვებგვერდზე მიმდინარე ონლაინ გამოკითხვაში "2011 წლის ყველაზე გავლენიან პერსონად" საიტის მომხმარებელთა უმრავლესობა თურქეთის პრემიერ-მინისტრ რეჯეპ ტაიფ ერდოღანს ასახელებს.

ერდოღანს წლის პერსონის ნომინაციაში ხმა 120 ათასმა ადმიანმა მისცა. მეორე ადგილზე „ბარსელონას" არგენტინელი თავდამსხმელი ლეო მესი გავიდა (74 ათასი ხმით).

აღსანიშნავია, რომ გარდა ზემოხსენებული გამოკითხვისა, „ტაიმის" საიტზე საპირისპირო კითხვაც იყო დასმული" „2011 წლის უმთავრეს პერსონად ვის დასახელებას არ ისურვებდით?" ერდოღანმა ამ გამოკითხვაშიც პირველი ადგილი დაიკავა, მან ხმების 20 პროცენტი მიიღო.

ჟურნალის რედაქციის განცხადებით, 2011 წლის უმთავრესი პერსონის დასახელებისას მკითხველის აზრს გაითვალისწინებენ, თუმცა გადაწყვეტილებას დამოუკიდებლად მიიღებენ.

შეგახსენებთ, რომ „ტაიმის" რედაქცია წლის ყველაზე გავლენიან ადამიანს ყოველწლიურად აჯილდოვებს. შარშან ამ ნომინაციაში „ფეისბუკის" დამფუძნებელმა მარკ ცუკერბერგმა გაიმარჯვა.

„მედიანიუსი“

ramaz sayvareliZe:

Cven bevr Temaze sadRegrZeloebis kategoriebiT vazrovnebT

როგორია სინამდვილეში ქართველი ელექტორატი, რა ღირებულებებით აკეთებს არჩევანს საარჩევნო ყუთებთან და როდის უნდა ვისწავლოთ პარაგმატული არჩევანის გაკეთება? "საერთო გაზეთი" პოლიტოლოგსა და ფსიქოლოგ **რამაზ საყვარელიძეს** *ესაუბრა.*

-რა შეფასება შეიძლება მივცეთ დღევანდელ ქართულ ელექტორატს?

-ჯერჯერობით მიჭირს თქმა, იმიტომ რომ, ქართული ელექტორატი გზაგასაყარზე დგას. გარკვეული საქციელის ჩადენის შემდეგ, კრიტიკულ მომენტებში, ყალიბდება ხოლმე მისი, როგორც საზოგადოების, ასევე ცალკეული ადამიანების ხასიათი. საზოგადოების ხასიათიც, რაღაც პროცესში ჩართვის შემდეგაა ხოლმე გარკვეული. ახლა ჩვენ ამ პროცესის შუა წერტილში ვართ. მე ვამბობ კონკრეტულად, ბიძინა ივანიშვილისა და მიხილ სააკაშვილის პოლიტიკური დუელიდან გამომდინარე. ამ დუელის ბედ-იღბალი საზოგადოებამ უნდა გადაწყვიტოს. თვით საზოგადოებაშიც, ეს გადაწყვეტილება, გარკვეულ ემოციებს იწვევს, დუღს შიგნით ეს თემატიკა და როგორ ჩამოყალიბდება საზოგადოება ან თვით პროცესი, ამას ალბათ, უახლოეს მომავალში დავინახავთ.

-ექსპერტები, პოლიტიკოსები, ფსიქოლოგები ხშირად საუბრობენ იმაზე, რომ ბოლო ოცი წლის განმავლობაში ქართული საზოგადოება ერთ წრეზე ტრიალებს და მან ვერ შეძლო სამოქალაქო საზოგადოებად ჩამოყალიბება. რა შეცდომებს უშვებს ქართული ელექტორატი ამ წლების განმავლობაში?

-ამ ძალიან სერიოზულ კითხვაზე თავდაჯერებით პასუხის გაცემა ძნელია, მინდა მოვუბოდიშო მკითხველს, რადგან ინტერვიუს რეჟიმია, შევეცდები ჩემი პასუხი შემოგთავაზოთ, თუმცა სერიოზულ პასუხს სერიოზული კვლევა სჭირდება, რომლისთვისაც საქართველოში არასდროს არავის სცალია. მე არ ვიცი, რა შეიძლება დაერქვას ამ ფენომენს, თუმცა შევადაროთ ერთმანეთს მოვლენები და ერთად ვიფიქროთ. ერთი შეხედვით, შეიძლება ვთქვათ, რომ ბალტიისპირეთში იყო ევროპულ დემოკრატიულ საზოგადოებაში ცხოვრების ტრადიცია, რაც ჩვენთან არ იყო, ამიტომ იქ საზოგადოება უფრო მზად აღმოჩნდა დემოკრატიული არჩევნების, სტაბილური ცხოვრებისა და საზოგადოებისთვის. ასეთი ახსნა ხშირად კეთდება და მეც ხშირად გამიკეთებია. თუმცა, ამ ახსნას, ჩვენს სივრცეში ბოლო ხანებში მომხდარმა მოვლენებმა შეუყენა წყალი. დიდი დემოკრატიული ტრადიციები არ გააჩნდათ აფხაზებს და ოსებმაც სულ ახლახან დაადასტურეს, რომ საზოგადოება იბრძვის თავისი პრინციპებისა და ინტერესების გატარებისთვის, მიუხედავად ძლიერი ზეწოლისა. ჩვენ მუდმივად ვიმეორებთ იმას, რომ ამერიკას ვინც უნდა, საქართველოს ხელისუფლებაში იმას დანიშნავს. რა ზეგავლენაც აქვს რუსეთს აფხაზეთისა და ოსეთის საზოგადოებაზე, ამერიკის საქართველოზე ზეგავლენის შედარებით არც კი შეიძლება.

-გამოდის ისე, რომ აფხაზებს და ოსებს უფრო ჩამოყალიბებული სამოქალაქო საზოგადოება ჰქონიათ, ვიდრე ქართველებს. თქვენ პრინციპები ახსნეთ და აკლიათ ქართველებს პრინციპულობა?

-როგორც ჩანს, ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა სწორედ ეს არის.

-რამ განაპირობა ეს პრობლემა? ზოგიერთი ექსპერტი და ფსიქოლოგი, ამას საბჭოთა კავშირში, განსაკუთრებით ბოლო წლებში, ქართველების უპირატეს და გათამამებულ ყოფას და მდგომარეობას აბრალებს, რამდენად მართებულია ეს მოსაზრება?

-საკითხი შეიძლება უფრო რთულად იდგეს, ვიდრე პრინციპულობა-არაპრინციპლობა. ცნობილია, რომ იგივე აფხაზებმა, კიდვ უფრო დიდხანს იბრძოლეს რუსების წინააღმდეგ, როდესაც რუსული ჯარები შემოვიდა კავკასიაში. რუსებმა აიღეს სომხეთი, აზერბაიჯანი და ა.შ, თუმცა აფხაზური პრობლემა საკმაოდ საგრძნობი გახდა. ესეც სწორედ გარკვეული პრინციპულობაა. ქართველი იბრძვის, მაგრამ თუ შეატყო, რომ გამარჯვების ნაკლები შანსია, დათვი რომ მოგერევა ბაბაია დაუძახეო და სასწრაფოდ გადადის ბაბაიას დაძახებაზე. ეს არ არის მარტო გარეშე მტრისადმი დამოკიდებულება, ნებისმიერ სირთულეს, რასაც წააწყდება ქართველი, ცოტა ხანს ებრძვის, მაგრამ ცდილობს რომ ამ სირთულეს ან შემოსავალი უპოვოს, ან რიგში ურიგოდ გავიდეს და ალბათ, ამან გაგვათამამა საბჭოთა სინამდვილეში. შემოსავლები მაშინ ბევრი იყო, ბილიკების მოძებნაში ჩვენ ბადალი არ გვყავდა, თუ გვყავდა, ისიც მეორე კავკასიელი და საბჭოთა კავშირის ქართველები, სხვა ნაციონალურ უმცირესობებთან ერთად დაეპატრონენ. ეს რა თქმა უნდა გაგათამამებს და კომფორტულად იგრძნობ თავს ასეთ გარემოში.

-როგორი ტიპის პოლიტიკურ ლიდერს ირჩევდა ქართული საზოგადოება, ამ წლების განმავლობაში, ვისაც უნდა გაჰყოლოდა?

-რიტორიკულ ლიდერებზე იყო აქცენტი გაკეთებული. ზვიად გამსახურდია რიტორიკული ლიდერი იყო იმ მხრივ, რომ ამბობდა იმას, რაც საზოგადოებას სურდა. ედუარდ შევარდნაძე ძალიან არატიპიური ლიდერი გახლდათ, ფსიქოლოგიური დამოკიდებულება მისადმი,როგორც ლიდერისადმი, არც იყო ჩამოყალიბებული. იგი არ აირჩიეს როგორც საყვარელი და სასურველი, იგი კავშირების გამო აირჩიეს, რომელსაც საქართველოსთვის იქნება რაიმე ეშველა.მაშინ ქართულმა საზოგადოებამ პრაგმატული არჩევანი გააკეთა, დანარჩენ შემთხვევაში, ყველა არჩევანი, მოწონებაზე იყო დაფუძნებული. მოსწონდათ გამსახურდია, სააკაშვილი...ამ არჩევანს საზოგადოება მათი მოწოდებებიდან გამომდინარე აკეთებდა და არა იქიდან, რა რეალური პოტენციალი გააჩნდა მას, როგორც პოლიტიკოსს.

სადღეგრძელოების ლოღიკით ვაზროვნებთ. ხშირად, როდესაც პოლიტიკურ დებატებს ვუყურებთ, შევატყობთ, რომ მოპაექრე მხარეები, ერთმანეთს სადღეგრძელოებით ესაუბრებიან- როგორები ვართ, რა უნდა გავაკეთოთ ჩვენ, ამობრწყინდება თუ არა საქართველო-ფაქტიურად, სადღეგრძელოების კორიანტელია.მსჯელობის ამოცანას წარმოადგენს, ვინ უფრო სასიამოვნო რამეს იტყვის, ეს ორიენტაცია კი განვითარების პერსპექტივებს ახშობს. ჩვენ არ ვაძლევთ არც ერთმანეთს და არც საზოგადოებას გამოჯანმრთელების და პრაგმატულად აზროვნების, პრაგმატული არჩევანის გაკეთების საშუალებას.

ნუცა დავითაშვილი

jemal baRaSvili:

qveynisTvis `gigantur velosipedia~ prioritetuli?!

კომპოზიტორი და მუსიკოსი **ჯემალ ბაღაშვილი** *მიიჩნევს, რომ ქართული ოცნება სამართლიანი გზით უნდა განხორციელდეს და არა– რევოლუციით, რამაც არაბულ ქვეყნებშიც არ გაამართლა. სწორედ ამიტომ ჯემალ ბაღაშვილი ბიძინა ივანიშვილის ახლადდაფუძნებული საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნების" პრეზენტაციაზე ვიხილეთ.*

– თქვენ არ ჩანდით ქუჩის აქციებზე, თუმცა „ქართული ოცნების" დაფუძნებას თანაუგრძნობთ.

– სამართლიანი არჩევნების გზით უნდა მოხდეს გამარჯვებულის გამოვლენა და არამც და არამც რევოლუციით, რადგან ნებისმიერი რევოლუცია დამანგრეველია. ამიტომაც ვერ მხედავდით მე მსგავსი მოწოდების მქონე მი-

ტინგებზე, დღეს კი აქ ვარ, ფილარმონიაში. ნებისმიერი რევოლუცია მხოლოდ და მხოლოდ რეგრესს ნიშნავს. თუ გაიხსენებთ რუსეთის ისტორიას, როგორი იყო რუსეთში რევოლუციის შედეგი?! სხვათაშორის, რუსების, როგორც რევოლუციაში ყველაზე გამოცდილი ხალხის, დევიზი იყო „ì û ñòàðûé è èð ðàçðóø èì äî î ñí î âàí è ÿ, à çàòåì "... კაცო, თუ საფუძვლიანად დაანგრევ ძველ სამყაროს, მაშინ კიდეც უნდა იცოდე, რომ „çàòåì í å áèâàåò!" თუ ყველაფერს დაანგრევ და გააცამტვერებ, მერე რაღა შემდგომი პერიოდი უნდა იყოს?! არაფერიც არ იქნება! ჩვენ ეს ჩვენს ტყავზე უკვე გამოვცადეთ. იმედია, მეორეჯერ ასეთ შეცდომას აღარ დავუშვებთ და სწორედ ასეთი სამართლიანი არჩევნები გახდება საზოგადოებისთვისაც, ხელისუფლებისა და ოპოზიციისთვისაც ამოსავალი წერტილი.

– პირადად თქვენ თუ გაწევრიანდებით საზოგადოებრივ მოძრაობა „ქართულ ოცნებაში"?

– ეს დამოკიდებული იქნება იმ პროგრამაზე, რომელსაც ჩვენ მთლიანობაში ჯერ არ გავცნობივართ. ერთი წელი კიდევ წინ არის და გავეცნობით. უნდა ვისწავლოთ არა ემოციებით, არა მხოლოდ პიროვნული ქარიზმით, არამედ სწორედაც ამ პროგრამების მიხედვით ამა თუ იმ ლიდერის შეფასება. რა ხდება, რას გვთავაზობენ სინამდვილეში და რამდენად რეალურად არის ეს ყველაფერი დროში გაწელილი? ამასთან, აუცილებელია, თავად გვჯეროდეს არჩევნების მნიშვნელობის. სწორედ სამართლიანი არჩევნების პირობებში ჩატარდება პოლიტიკური შეჯიბრებითობა. თუ არჩევნების დროს მობრძანდებით, უკვე ზუსტად მოგახსენებთ ჩემს აზრს, როგორი იქნება ამ პროგრამის ჩემეული შეფასება. პირადად ჩემთვის უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ ოპოზიციური მოძრაობის დისკრედიტაციის პერიოდში საბოლოოდ გამოჩნდა რეალური და ძლიერი ოპოზიციური ძალა, ძლიერი ლიდერით, ბიძინა ივანიშვილის სახით. ძლიერი ლიდერი კი აუცილებელი პირობაა ნებისმიერ ქვეყანაში, არა მარტო ჩვენთან, არამედ ყველაზე განვითარებულ ქვეყანაშიც კი, რათა მაქსიმალურად ეფექტური გახდეს ხელისუფლების მუშაობა. თუ ხელისუფლებას საპირწონედ არ ჰყავს მსგავსი ძალა, ის ძალიან მალე მიეცემა თვითკმაყოფილებას, ძალიან მალე მოდუნდება და ხალხისთვის მცირედს დასჯერდება .

– წინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური ორპოლუსიანობა თქვენთვის მისაღებია? თუ აჯობებდა, მესამე ძალაც გამოჩენილიყო?

– მე ვთვლი, რომ ამ შემთხვევაში, დეფინიცია მოხდება; მესამე ძალაც შეიძლება გაჩნდეს და უფრო მეტიც. ამით მხოლოდ და მხოლოდ ქვეყანა მოიგებს. ოღონდ, ერთი პირობით, ჩვენც უნდა გავიზარდოთ, საზოგადოება უნდა გაიზარდოს და როგორმე რევოლუციის გზა დავივიწყოთ და პოლიტიკური შეგნებით ერთი საფეხურით მაინც უნდა ავმაღლდეთ. მთელი საქართველო უნდა ამაღლდეს. ერთხელ მაინც უნდა მივაღწიოთ მშვიდობიანი არჩევნებით ხელისუფლების გამოვლენას. სწორედ ამიტომ მომწონს ბატონი ბიძინას მოსაზრება, რომ მისთვის სამართლიანი არჩევნები ერთადერთი მისაღები ფორმაა.

– თქვენ ბრძანებთ, რევოლუცია დავიწყოთო. მაგრამ ქუჩის აქციების მომხრეები შეგეკამათებიან, სხვა ქვეყნებში რევოლუციამ შედეგი არ მოიტანა? ვგულისხმობ ეგვიპტეს, ლიბიას...

– ვერ დაგეთანხმებით, რევოლუციას არსად სასიკეთო შედეგი არ მოუტანია. გნებავთ ლიბია აიღეთ. ლიბია დღეს გაცილებით უარეს მდგომარეობაშია, ვიდრე იყო, რადგან გარეშე ძალების მხარდაჭერით ლიბიაში რევოლუცია იმ ემიგრანტებმა და დაქირავებულებმა მოახდინეს, რომლებიც არ იღებდნენ უმუშევრობისთვის განკუთვნილ 750 დოლარს, ექთნისთვის განკუთვნილ 1000 დოლარს, მასწავლებლისთვის განკუთვნილ 2000 დოლარს; გამიგეთ, უამრავი შედავათი ჰქონდათ ადგილობრივ ლიბიელებს, მაგრამ ეს უპირატესობა არ ჰქონდათ ემიგრანტებს. სწორედ ამან გამოიწვია ეს ტალღა და არა იმან, რომ თურმე ლიბიელებს არ უნდოდათ რეჟიმი. აბა, ვის ებრძოდა ცხრა თვის მანძილზე საერთაშორისო ძალების ეს უშველებელი, კოალიციური ჯარი?! მათ შორის, ნატოს ჯარები? სწორედ ლიბიელებს ებრძოდნენ.

– ხელოვანი ადამიანები ბიძინა ივანიშვილის – ფინანსური შესაძლებლობა რომ არ ჰქონოდა ბატონ ბიძინას, იქნებოდა თუ არა მისდამი ასეთივე მხარდაჭერა? თუნდაც ხელოვანების მხრიდან?

– მე ასე გეტყოდით, თუ ადამიანი იმ პლატფორმაზე იდგებოდა, იმ თეზისების მიხედვით, რომელიც ბიძინა ივანიშვილმა წამოაყენა, აუცილებლად ექნებოდა მხარდაჭერა. ყველას მაგივრად ვერ გეტყვით, მაგრამ ჩემს წრეში, სადაც მხოლოდ პლატფორმის, და არა ფინანსური შესაძლებლობის გამო ვუჭერთ მხარს, სწორედ ასეთი განწყობაა. სწორედ იმ პლატფორმის შედეგია მშვიდობიანი არჩევნები, სწორად გადანაწილებული პრიორიტეტები. ეს სჭირდება ქვეყნას. მეტსაც მოგახსენებთ, მაშინაც კი, თუ ეს „ბრძოლა" ერთი ან მეორე მხარის გამარჯვებით დასრულდება, ვგულისხმობ ბიძინა ივანიშვილს ან ხელისუფლებას, ნებისმიერ შემთხვევაში, ქვეყანა მოგებული დარჩება. ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენა მაქსიმალური ეფექტურობით მუშაობას აიძულებს ხელისუფლებას. კიდევაც რომ დამარცხდეს, დამარცხებული მიხვდება, რომ მხოლოდ და მხოლოდ უკეთესი პროგრამითა და მუშაობითაა შესაძლებელი ხალხის გულის მოგება. ეს კი ძალიან მნიშვნელოვანია. ხელისუფლების საპირწონედ ერთი მძლავრი ოპოზიციური ძალა ქვეყანაში ყოველთვის უნდა არსებობდეს, ბიძინა ივანიშვილში მე სწორედ ხელისუფლების საპირწონე მძლავრ ოპოზიციურ ძალას ვხედავ.

მარიამ მაჭავარიანი

იხილეთ „საერთო გაზეთი"
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

`alpinisti kiwmariSvili~, igive `zoro~ da `vardeni~ qarTul politikaSi

ახალი წელი ახლოვდება. 2003 წელს რევოლუციით მოსულმა გაურკვეველი ორიენტაციის, იდელოგიისა და ტრადიციების მოტრფიალე და პოლიტიკურ ჯგუფმა, მათმა ყოფილმა და ახალმა მეგობრებმაც, ახლა საახალწლო კარნავალის მწყობაც რომ მოისურვონ, არ გაგვიკვირდეთ. კიწმარიშვილიც, ბევრი ვითომ გაოპოზიციონერებული პირის მსგავსად, ამ კარნავალს არ გამოაკლდება და " ქართველი ზოროს" როლში მოგვევლინება. სულით ხორცამდე „ნაციონალი" კიწმარიშვილიც, ოპოზიციონერი არასდროს ყოფილა და ამ პარტიის სახელწოდებაც "ქართული პარტია", ისეთივე ფარსია, როგორც "ნაციონალური მოძრაობის". "ქართველი ხალხის გადამრჩენი" ოქრუაშვილის მარჯვენა ხელმა, ახლა "ქართველი ზოროობა" ალპინისტობის პროფესიას შეუთავსა. (კიწმარიშვილი კარნავალზე "ზორო" იქნება. მართალია, მამაჩემი მას "ბუხარში ჩავარდნილ მაჯლაჯუნას" ადარებს. თუმცა "მაჯლაჯუნაც" შეიძლება კარნავალის პერსონაჟი გახდეს) "მაესტროს გალავანსაც ზოროსავით" ზედ ამიტომ გადაევლო და "ბასტილიაში გამაგრდა".

ბუნებრივია, რომ „მაესტროში" განვითარებული მოვლენები მედიაზე ზეწოლის ფაქტად კვალიფიცირდა. ქვეყანაში შექმნილ ახალ პოლიტიკურ ვითარებაში სიტუაციის გამოყენება და ზეწოლის ქვეშ მყოფი მედიის დაცვაც მომგებიანი თემაა, როგორც პოლიტიკოსისთვის, ისე ჟურნალისტისა და ოპოზიციურად განწყობილი ადამიანისთვის. ამასთან, "სიტყვისა პრესის თავისუფლების დაცვის კუთხით", დასავლური გრანტების მოძიების შესანიშნავი შესაძლებლობაცაა. თუმცა არც ერთი "ცნობადი ჟურნალისტი", ექსპერტი და პოლიტიკოსი არ საუბრობს იმაზე, რომ "მაესტროს" ირგვლივ განვითარებული მოვლენები საზოგადოების ფსიქიკაზე ზეწოლის კიდევ ერთი მცდელობა იყო. "მაესტროს" მოვლენები ისევ ბიძინა ივანიშვილის ფაქტორს რომ უკავშირდება, ამით ახალს არაფერს ვიტყვი. ეს ყველასათვის ცხადია. ისევე როგორც, სააკაშვილისა და ნაციონალების ბოლო დროინდელი გამონათქვამებისადა მათი ყოველი ქმედების უკან ბიძინა ივანიშვილი უნდა ამოვიკითხოთ. მოკლედ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ნაციონალებს "ბიძინა ივანიშვილი დაემართათ" და ამ ახალ სენს, მხოლოდ ნაციონალებისთვის, სასიკვდილო გართულებების დატოვება სცოდნია და მას "ქართული ოცნება ეწოდება". იმასაც ამობენ, ნაციონალებმა, შესაძლოა, ეს ვერც გადაიტანონო!

მიუხედავად იმისა, რომ დამფუძნებელი ღლონტი ახლა დაჩაგრულის პოზიციაში იმყოფება და დაჩაგრულის კრიტიკაც ჩვენთან, რატომღაც, არ "მოსულა", ისიც ფაქტია, რომ ღლონტის მიმართ საზოგადოებაში არაერთგავროვანი დამოკიდებულებაა. თუნდაც მათგან, ვინ მას ჯერ კიდევ მეორე არხიდან იცნობს და იცის, რომ 1500 დოლარის სანაცვლოდ, ეს კაცი გადაცემა "პასეანსის" არხიდან გარეთ გატანისთვისაც იყო მზად. ანუ ფული, კიწმარიშვილის მსგავსად, მასაც ძალიან უყვარს. კიწმარიშვილი იმაში არ ტყუის, რომ ბიძინა ივანიშვილის ფული ღლონტისთვის კიწმარიშვილისაზე მიმზიდველი აღმოჩნდებოდა და ახლა ამიტომ უგანა. ისიც ბუნებრივია, რომ საზოგადოებას "მაესტროს" კიწმარიშვილისგან მმართველობას, ბიძინა ივანიშვილისგან მისი მართვა ურჩევნია. თავად კიწმარიშვილიც საუბრის ცალკე თემაა, მაგრამ არც თავად ღლონტს და არც ერთ "ცნობად ჟურნალისტსა" და პოლიტიკოსს, "რატომღაც" მისთვის არასდროს დაუსვამთ შეკითხვა: კანონიერად თუ ქვეყნის განადგურების საფასურად აღმოაჩნდა ერთ დროს რუსთავიდან ჩამოსულ "ნიჭიერ ახალგაზრდა ალპინისტს" ის ოთხი მილიონი, რომელსაც ასე წარბშეუხრელად აყვედრიდა "მაესტროს" დამფუძნებლებსა და თანამშრომლებს? რას იტყვით, მეგობრებო, ეს "ალპინისტობა" მილიონების შოვნის კარგი გზა ყოფილა თურმე საქართველოში?! ჩემი თუ არ გჯერათ, თორთლაძეს ჰკითხეთ. ფაქტია, რომ კიწმარიშვილისგან "მაესტროს ალპინისტური შტურმი" შემთხვევითი მოვლენა არ ყოფილა და წინასაარჩევნოდ, ნციონალების სასარგებლოდ, გარკვეულ გეგმებსაც ისახავდა.

იმაზე, ალბათ, არავინ იდავებს, რომ ხელისუფლება "მაესტროს" გასაჩერებლად, არც დამფუძნებელებისთვის და არც მისი მმართველისთვის, საჭიროების შემთხვევაში, თანხებს არ დაიშურებდა. ან ეს კიწმარიშვილი ვისი დავალებით "მიუცუცქდა" "მაესტროს" მმართველად, ღლონტმა რატომ არ იფიქრა? ***თუ ბიძინა ივანიშვილს "მაესტრო" საზოგადოებისთვის წინასაარჩევნოდ პოლიტიკური პარტიის პროგრამის გასაცნობად დასჭირდებოდა. დამფუძნებელებსაც თუ ობიექტურობაზე აქვს პრეტენზია, შენობის დატოვებისას, პირველ რიგში, სატელიტური მაუწყებლობის გადამცემ ტექნიკაზე უნდა ეზრუნათ და არა მხოლოდ აპარატურის გამოტანაზე, რომლითაც მხოლოდ თბილისს გადაფარავდნენ. ახლა "მაესტრო" მაუწყებლობს თბილისზე, სატელიტზე კი "ბასტილიაში გამაგრებული" კიწმარიშვილი მაუწყებლობს. კიწმარიშვილის კი, ოქრუაშვილთან ერთად, (გარკვეულ ოპოზიციურ ძალებთან ერთად) თავისი პოლიტიკური ინტერესები გააჩნიათ, რაც "ნაციონალების თამაშის" გაგრძელებას წარმოადგენს. თუმცა დამფუძნებლებისგან, სატელიტის გარეშე, ასე აჩქარებით "მაესტროს" შენობის დატოვებაც, ბევრისთვის ხელისუფლებისთვის გაწეულ სამსახურს წაგავს.** ვერც წიკმარიშვილი და ვერც ოქრუაშვილი, ოპოზიცია ვერადროს იქნებოდნენ, რადგან ნაციონალებთან დანაშაულში თანამონაწილენი მათი ოპოზიცია ვერასდროს გახდებიან. ახლა ნაციონალებისთვის მთავარი, ივანიშვილისთვის (თუ ის "მაესტროს" იყიდდა) სატელიტზე მაუწყებელი რეგონების გადამფარავი ტელევიზიის განეიტრალება წარმოადგენს. ზუსტად ისე, როგორ თავის დროზე "იმედის" საინფორმაციო სამსახურის ჟურნალისტებმა მისცეს ნაცებს ამის განხორციელების შესაძლებლობა. ჯერ ჩუმ-ჩუმად, (თუმცა თანამშრომლებმა მაინც გავიგეთ) ღამ-ღამობით, პარლამენტში გივია თარგამაძესთან ირბინეს "კონსულტაციებზე". ტელეკომპანიის მფლობელისგან ტელევიზიის აქციების 2%-ის მოთხოვნის საბაბით, ე.წ. გაფიცვაც მოაწყვეს საინფორმაციოში. 7 ნოემბერს ხელისუფლებამ დალეწა და დაამტვრია ტელეკომპანიის ქონება და ზუსტად არჩევნების წინ, ტელევიზია სამი თვით დაყადაღდა. თარგამაძე კი ამ ჟურნალისტებით პარლამენტში გრიალით "მოხვდა." შემდეგ ვითომ ტელეკომპანიის მფლობელი და ცხონებული ბადრი პატარკაციშვილის ნათესავი ჯოზეფ ქეიც გამოჩნდა. სასამართლო დავის გაწელვით, საათივით აწყობილი ტელევიზიაც, ხან ერთი, ხან მეორე მფლობელის ხელში საჯილდაო ქვად იქცა. ღლონტისა და კიწმარიშვილის "მაესტროზე" დავასაც ხელისუფლება, რასაკვირველია, დიდი სიამოვნებით შეხვდა. დაპირისპირებაც კომპანიის შიდა დავად "გაფორმა". ახლა კიწმარიშვილი "მაესტროს" ქონების დაყადარებასაც ითხოვს. ზუსტად ისე, ზღაპარში კურდღელმა სახლში მელია რომ შეუშვა და მან გარეთ გამოაგდო. თუმცა ხალხურ ზღაპრებს კეთილი ბოლო აქვთ, "ნაციონალების ზღაპრებს" კი, მათი არისდან გამომდინარე, ყოველთვის ბოროტი. "მაესტროზე" დავაც თუ დაიწყო, ბუნებრივად სასამართლოში გადაინაცვლებს. ასე მოხდა "იმედის" შემთხვევაშიც, მანამ, სანამ, საბოლოოდ პატარკაციშვილის ოჯახს მისი დათმობა არ აიძულეს. ფაქტია, რომ მაშინ საინფორმაციო მაუწყებლობის შეწყვეტის გამო "იმედს" ლიცენზია შეუჩერდა, სწორედ არჩევნების წინ დაყადაღდა. იგივე სიტუაციაშია დღეს "მაესტრო". "იმედის" მსგავსად, თუ "მაესტროც" დაყადაღდა ან რაიმე ფორმით ლიცენზია შეუწყდა – გაითიშება. კიწმარიშვილის ხარბი და ცბიერი ბუნებიდან გამომდინარე, გასაკვირია, მას ღლონტისგან "მაესტროსა" და აპარატურის გატანის უფლებაზე არ სცოდნოდა. ის "გულუბრყვილო" არ გახლავთ, წაგებული თამაში მატერიალური დაინტერესების გარეშე წამოეწყო და საბოლოოდ დაესამარებინა თავი. ეი. რაღაც სხვა სვლაც არის გათვალილი ნაცებთან ერთად, რომელიც, სავარაუდოდ, სატელიტზე მაუწყებლობა იქნება. სხვა შემთხვევაში, "თამაში წაგებული აქვთ. თუმცა ეს, ალბათ "უმაესტროოდაც" ასე იქნება.

ერთმა ღვთისმოსავმა კაცმა, ასიათასი მოწამის ხსენების დღეს მეტეხის ხიდზე ივანიშვილისთვის მოქალაქეობის მინიჭების ხელმოწერების დროს მითხრა: "ნეტავ, ივანიშვილის მოქალაქეობას არ მიანიჭებდნენო". – "რატომ-მეთქი?", – **"იმიტომ, რომ სააკაშვილს არჩევნებს ივანიშვილის პინგვინიც მოუგებსო",** – მიპასუხა. საცოდავი ბელურა პინგვინს პირში რატომ შეუფრინდა, ეს არც ივანიშვილმა იცის და ვერც მე გეტყვით. "მიშავიზიის ჟურნალისტებითვის" ივანიშვილის პინგვინზე მეტად, უფრო საინტერესო უნდა იყოს ის, რომ სააკაშვილს, ბოლო დროს, გაუთავებლად, პირი ისე აქვს მოღებული, რომ ბელურა, ბუზი და კრაზანა კი არა, შეიძლება ვერტმფრენიც კი შეუფრინდეს პირში. შიშისას, ჰალტუხების ასე "მადიანად შემქცევი" პირში შეფრენილისაც გადაყლაპავს და "გადამუშავებს". მიტომ რომ, ახლაც ძალიან შეშინებული სჩანს. მიშამ არჩევნების წინა რამე რომ ჩაყლაპოს, მერე სულ მთლად არ "დაგვექცა" ისედაც დაქცეული ქვეყანა? შეაძლოა, როგორც საკაშვილმა ეკონომიკაზე ბრძანა, ეს ქვეყანაც საბოლოოდ რომ დაიქცევა, "მერე მისი აღდგენის უფრო სწრაფი შესაძლებლობა მოგვეცეს". მერე რა, ბოლო დროს ამ საცოდავმა შიშისაგან სულ მთლად რომ გააფრინა. აღარ დავუჯეროთ? ბატონი თამაზ წივწივაძის წინასწარმეტყველურ ფრაზებს თუ გავიხსენებთ, ის დროც აღარ არის შორს, "ხის ცხენზე გადამჯდარმა" მიშამ, სულ "აჩუ-აჩუ ცხენოს" ძახილით პარლამენტს წრეები რომ არტყას. თანაც კოკაინს ისეთი ენერგიის მიცემა სცოდნია თურმე, რომ ამ "ხის ცხენით", (რომლის ფიგურალურ ფუნქციას ახლა ტრიბუნა უსრულებს) შესაძლოა, ან ახალი პარლამენტის მოსანახულებლად "გაქუსლოს ჭენებ-ჭენებით" ქუთაისისკენ, ან თუ დელფინისთვის "თავის პირში ჩაყოფა მოენატრა" – ბათუმისკენაც. ან ახლა "ლაზიკის მშენებლობაზეც" გაინავარდებს ხოლმე. თქვენ კი, ხალხო, ვისაც "ხის ცხენზე გადამჯდარი" მიშა შემოგეყრებათ, გემუდარებით, ნურავინ გადაეღობებით და გააჩერებთ. ცოტა დარჩა მაგ უბედურს და გაიხაროს. პატრონი, ამ საქართველოსი არ იყოს, მაგასაც დიდი ხანია აღარ ჰყავს. მისივე უსაფრთხოების მიზნით, საზოგადოებისგან იზოლირებას მაინც გაუკეთებდნენ. იმიტომ რომ, კახეთში ერთ-ერთი ვიზიტისას, ხალხში რომ გადაეშვა მთიდან, ხალხი გაიწია და დაცვას რომ არ დაეჭირა, თავით დაერჭობოდა. ერთხელაც დაცვაც რომ გაიწიოს რა მოხდება? შეიძლება მის პატრონსაც ისე მოაბეზრა უკვე თავი, რომ ურჩევნია ხალხიც გაიწიოს, დაცვაც და "სადაც გადასაშვებია" – გადაეშვას. საქართველოს პატრონად უწმინდესი მაინც მოიაზრება, მაგას კი ეგეც არა ჰყავს. მილიონების შოვნას გადაყოლილ დედას, ეტყობა, მაგისთვის აღარ სცალია. ცოლს მიშასთვის ისედაც არასდროს ეცალა. ჰოდა, გაილაღა და დაშლიგინებს ახლა მთვარეულივით და იალაღზე გაშვებული "აწყვეტილი ბედაურივით". დადის და ჰყვება აუხდენელ ზღაპრებს. "არ გამოაღვიძოთ"! შესაძლოა, "ცხენიდან გადმოვარდეს", როგორც ერთხელ ველოსიპედიდან. ამიტომაც დადგა აქეთაც და იქეთაც საჭეებიანი ველოსიპედი და თანაც ორი დასაჯდომით. იმიტომ რომ, მარტო დაჯდომის უკვე ეშინია. მიშასთან ერთად დამჯდომიც ბევრი აღარავინაა. შესაძლოა ან საფერფლე ჩაარტყას, ან ფეხი მოსტეხოს, ან კიდევ "დიდი სიყვარულისგან" (როგორც ამბობენ) რამე მოაჭამოს.

დღეს კი მთავარი "მაესტროს" მაუწყებლობის სატელიტზე ობიექტური ინფორმაციის გავრცელებაა მთავარი და არა ის, ღლონტისაა ის, თუ კიწმარიშვილის. სასამართლო წარმოებაში მყოფ ტელევიზიასაც, "კანონის თანახმად", ბიძინა ივანიშვილსაც არ აყიდინებენ. სასამართლო დავის დასრულებამდე ტელეკომპანიის სხვა მფლობელისთვის გადაცემა მხოლოდ "იმედის" შემთხვევაში იყო "კანონიერი". იმიტომ რომ, "ნაციონალების სასამართლოს" ასე აწყობდა. "მაესტროს" შემთხვევაში დავა გაგრძელდება იქამდე, სადამდეც სააკაშვილს მოაწყობს – ანუ არჩევნებამდე.

ამასობაში კი „დამოუკიდებელი მედიისა და სიტყვის თავსუფლების" დასაცავად „ამხედრდა „დიდი და პატარა"– „ჰალტუხიანი და უჰალსტუხო ხვლიკებიც", ვითომ ოპოზიციაცა და პოლიტიკოსებიც. პოლიტიკური მოძრაობა "ქრისტიან-დემოკრატების" ლიდერის, გიორგი თარგამაძის განცხადებაც: "მაესტროს" მაუწყებლობის შეუფერხებლად მუშაობისა და თანამშრომლებისთვის მუშაობაში ხელის შეუშლელობის თაობაზე, როგორც "იმედის" იმდროინდელი თანამშრომლისთვის, ჩემთვის, სრულებით არადამაჯერებელია. ეროსი კიწმარიშვილის მსგავსად, "ნაცებისთვის გაწეული ამაგი", მასაც, ბევრი სხვა ჟურნალისტის მსგავსად დაუფასდა. "რუსთავი 2"-ის ტელეორგანიზებით რევოლუციაში მონაწილე ყველა ჟურნალისტიც ხომ შესანიშნავად მუშაობდა და დღემდე პრესტიჟულ სამსახურებში მუშაობენ.

ეროსი კიწამრიშვილის კონკრეტული მაგალითი საზოგადოებისთვისაც და ალბათ, ბევრისთვის დამაფიქრებელი უნდა იყოს. კიწმარიშვილს საზოგადოებასა და ხალხში ნდობა არასდროს ჰქონია. საზოგადოებას კი "უნდობლობის ვერდიქტი" ყოველთვის სწორად გამოაქვს. მისგან დაბალი რეიტინგით შეფასებული პოლიტიკურ ფიგურები ვერასდროს ამართლებენ ვერც ქვეყნისთვის და ვერც ხალხისთვის, რადგან "ნაციონალების იდეოლოგიით" მოსულნი, ზნეს" იმ მარტივი მიზეზის გამო ვერასდროს იცვლიან, რომ ასეთი, უბრალოდ, არ გააჩნიათ. "ფერისა და ორიენტაციის" შეცვლა კი თქვენი მოწონებული – სულ "ცისარტყელას ფერებში" და მარტივ

14 gv.

იხილეთ „საერთო გაზეთი"
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

sazogadoebrivi moZraoba `qarTuli ocnebis~ saprezentacio konferencia

საზოგადოებრივი მოძრაობის გამგეობის თავმჯდომარის — ბიძინა ივანიშვილის მოხსენება

11 დეკემბერი, 2011

პირველ რიგში, მინდა მოგესალმოთ ყველას, ვინც მოახერხეთ და დღეს ჩვენთან ერთად ხართ ამ დარბაზში ან დარბაზის გარეთ შეიკრიბეთ. თქვენთან ერთად მივესალმები მათ, ვინც ტელეეკრანებთან და რადიომიმღებებთან ადევნებს თვალყურს ჩვენს შეკრებას.

მივესალმები მათ, ვინც ვერ გვიყურებს და ვერ გვისმენს, მაგრამ ჩვენსავით ფიქრობს. მივესალმები მათაც, ვინც ჩვენსავით არ ფიქრობს, მაგრამ ასევე უყვარს საქართველო და ოცნებობს მის საუკეთესო მომავალზე.

ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ვერ მოხერხდა უფრო ფართო შეკრების მოწყობა, თუმცა წინ კიდევ ბევრი, დიდი თუ პატარა შეკრება გველის და საბოლოოდ მთელ ქვეყანას ერთ მუშტად შევკრავთ თავისუფალი არჩევნების მოსაპოვებლად.

საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნება“ იქმნება როგორც საზოგადოების გამაერთიანებელი ძალა, რათა განხორციელდეს საზოგადოების კონტროლი და გავლენა სახელმწიფოს პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროცესებზე.

ძლიერმა მაღალი პასუხისმგებლობის მქონე საზოგადოებამ უნდა განსაზღვროს ქვეყნის ბედი და მომავალი. ხალხი უნდა მონაწილეობდეს ქვეყნის მართვაში და აკონტროლებდეს არჩეულ ხელისუფლებას.

მოძრაობა შექმნის რეგიონალურ სტრუქტურებს, რომელთა მთავარი ამოცანა იქნება სამართლიანი საარჩევნო გარემოს დამკვიდრებისათვის საზოგადოებისა და პოლიტიკური ძალების კონსოლიდაცია, რათა დემოკრატიული არჩევნების გზით ქვეყნის სათავეში მოვიდნენ ის პოლიტიკური ძალები, რომლებსაც ხალხი დაუჭერს მხარს.

საზოგადოებრივი მოძრაობა მოიზიდავს გამოცდილ პროფესიონალებს ისეთ საკითხებზე სამსჯელოდ, როგორიცაა: მართლმსაჯულება და ადამიანის უფლებები, ეკონომიკური პოლიტიკა, სოფლის მეურნეობა, ეკოლოგია, ჯანდაცვა, სოციალური უზრუნველყოფა, განათლება, მეცნიერება, კულტურა, საგარეო პოლიტიკა, კონფლიქტების მოგვარება, რეგიონალური პოლიტიკა, ადგილობრივი თვითმმართველობა, ეროვნული უმცირესობები, უსაფრთხოება, ახალგაზრდობა და სპორტი.

შესაბამისი თემატური ჯგუფები შეისწავლიან ცალკეულ დარგებში არსებულ ვითარებას და შეიმუშავებენ განვითარების ეფექტიან მოდელებს. ჯგუფებში გაიმართება კონსულტაციები კონკრეტული სფეროების ექსპერტებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დიპლომატიური მისიების წარმომადგენლებთან.

ჩვენი მიზანია სახელმწიფოს აღმშენებლობა იმ დემოკრატიულ სტანდარტებსა და პრინციპებზე დაყრდნობით, რომელსაც ვერ უზრუნველყოფს არსებული ხელისუფლება.

2003 წლის „ვარდების რევოლუციამ“, მიუხედავად თავდაპირველი წარმატებებისა, ვერ გაამართლა საზოგადოების უდიდესი ნაწილის მოლოდინი.

სამოქალაქო საზოგადოება უხეშადაა ჩამოშორებული სახელმწიფოს მართვას. მოშლილია ადგილობრივი თვითმმართველობა. არჩევითი ორგანოები მმართველ ელიტას ემსახურებიან.

აბუჩადაა აგდებული ქვეყნის კონსტიტუცია. მისი გადაკეთებისა და ერთ ადამიანზე მორგების დამკვიდრებული პრაქტიკა ყოველგვარ სამართლებრივ და მორალურ ნორმებს სცილდება.

ნორმად იქცა საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის გაუმჭვირვალობა და არამიზნობრივი გამოყენება. გამეფებულია ელიტარული კორუფცია.

ადამიანის უფლებები პრაქტიკულად ყველა სფეროში ირღვევა. ციხეებში პოლიტიკური, უკანონო თუ მცირე დანაშაულის მქონე ათასობით პატიმარია გამომწყვდეული დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობის პირობებში. ზეწოლა ხორციელდება მათ ოჯახებზე, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ხელისუფლება არჩევნებისათვის ემზადება ან შექმნილი ვითარებით უფლებადამცველები ინტერესდებიან.

მასმედიის დიდი ნაწილი ხელისუფლების მორჩილებასა და საზოგადოების დეზინფორმაციაზეა ორიენტირებული. სამოქალაქო საზოგადოებას უკიდურესად

12 gv.

11 gv.

შეზღუდული აქვს შესაძლებლობა, მიიღოს ობიექტური ინფორმაცია.

ქვეყანაში დამკვიდრდა ე.წ. ნომენკლატურული კაპიტალიზმი, რაც გულისხმობს ბიზნესის ლოიალობას და, ხშირ შემთხვევაში, სრულ ინტეგრაციას ხელისუფლებასთან. ეს გარემოება თავისთავად გამორიცხავს თავისუფალი კონკურენტული ბაზრის ჩამოყალიბებას და, შესაბამისად, სწრაფ ეკონომიკურ განვითარებას.

შედეგად მივიღეთ მონოპოლიებითა და კარტელური შეთანხმებებით მართული ეკონომიკა. ქვეყანაში არ არსებობს საშუალო ფენის, როგორც მდგარდი ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემის მთავარი გარანტის, ჩამოყალიბების წინაპირობა.

შორს ვარ იმ აზრისაგან, რომ არსებული ვითარება მოსწონთ იმ ბიზნესმენებს ან ჟურნალისტებს, რომლებიც ამ მანკიერი თამაშის წესებს ემორჩილებიან. დარწმუნებული ვარ, რომ სულ მალე ისინიც ჩვენ გვერდით იქნებიან საქართველოს უკეთესი მომავლის მშენებლობაში.

უმუშევრობა ინტენსიურად მატულობს. დამახინჯებული ოფიციალური მონაცემების მიხედვითაც კი, ტენდენცია მკვეთრად უარყოფითია. უკიდურესად დამძიმდა ვითარება სოფლად. სოფელი ღატაკდება და იცლება.

დემოგრაფიული მაჩვენებლების ვარდნა ჩვენი შვილების თაობას ნაციონალურ კატასტროფას უქადის. ასიათასობით ჩვენი მოქალაქე, ქართველი თუ არაქართველი, გადახვეწილია ქვეყნიდან და, ხშირ შემთხვევაში, მონური შრომით ახერხებს ფიზიკურ გადარჩენას.

ცალკეული სოციალური პროგრამების მიუხედავად, არცერთი წარმატებული რეფორმა არ განხორციელებულა ჯანდაცვის სფეროში.

მოშლილია განათლების სფერო, ხოლო მეტ-ნაკლებად წარმატებულ სასწავლებლებში დაწესებული გადასახადები მრავალი ოჯახისათვის ხელმიუწვდომელია. უყურადღებოდაა მიტოვებული ქართული კულტურა, ანუ ის, რითაც ჩვენ ყოველთვის ვამაყობდით.

საქართველოს უმძიმესი დარტყმა მიაყენა 2008 წლის აგვისტოს ომმა. უბედურება ეწვია მრავალ ქართულ, აფხაზურ და ოსურ ოჯახს, კონფლიქტებით გავლებული საზღვრების სხვადასხვა მხარეს დარჩნენ ოჯახის წევრები და ახლობლები. საქართველოს ტერიტორიების დიდი ნაწილი ოკუპირებულია. სავალალო პირობებში ცხოვრობს ათასობით დევნილი.

საერთაშორისო ორგანიზაციების მასალების ანალიზი მოწმობს, რომ შესაძლებელი იყო კონფლიქტის ესკალაციის არიდება. უფრო მეტიც, შესაძლებელი იყო სამშვიდობო პროცესების წარმატებით განვითარება, რომ არა ხელისუფლების მიერ დაშვებული მძიმე შეცდომები.

ხელისუფლებას არ გააჩნია კონფლიქტების მოგვარების პოლიტიკური რესურსები. არ არსებობს არც გეგმაზომიერი სტრატეგია, ხედვა მაინც, რომლის განვითარების ხელშესაწყობად მზად იქნებოდა საერთაშორისო თანამეგობრობა.

ხელისუფლების „სტრატეგიის“ ერთადერთ მიმართულებად რჩება აპრობირებული „რუსული საფრთხის პრევენციის“ პრინციპი. ხელისუფლება ამ მოტივით ამართლებს სხვადასხვა ბრალდებით პოლიტიკურად აქტიური პირების დაჭერას, შპიონაჟის და ტერორიზმის ისტერიას, მოქალაქეთა უფლებების შეზღუდვებს.

რუსეთის აგრესიასთან „პერმანენტული ბრძოლის“ მიზეზითვე ამართლებენ 2011 წლის 26 მაისს საპროტესტო აქციის განსაკუთრებული სისასტიკით დარბევას.

სახელისუფლებო პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ შემადგენელ ნაწილად იქცა მართლმადიდებელი ეკლესიის დისკრედიტაციის და შიდა დაპირისპირების გაღვივების მცდელობა. რომ არა პატრიარქის სიბრძნე, გარდაუვალი იქნებოდა კონფრონტაცია კონფესიებსა და ეროვნებებს შორის, რომელთა მშვიდობიანი თანაცხოვრებით ამაყობს ჩვენი ქვეყანა.

როგორც წესი, ხელისუფლებას მხოლოდ წინასაარჩევნო კამპანიის **დროს ახსენდება ჩვენი თანამემამულე ეთნიკური უმცირესობები.** თვალშისაცემია საზოგადოებაში მათი ინტეგრაციის მინიმალური ხარისხი. უკიდურესად დაბალია მმართველ რგოლებში მათი წარმომადგენლობის დონე.

თვითნებურად ყალიბდება საარჩევნო კანონმდებლობა. საგანგებო სახელისუფლებო ჯგუფი მუშაობს გაყალბების უკვე გამოყენებული პრაქტიკისა და მეთოდების დასახვეწად.

ძალაუფლების შენარჩუნებისათვის ხელისუფლებამ მიზნად დაისახა ჩვენი სრული გაუცხოება სამშობლოსაგან. Mმისი იდეოლოგია არის აპათია, მისი გეგმაა — გათიშე და იბატონე, მისი ლოზუნგია — ვინც ჩემთან არაა, ჩემი მტერია.

განსაკუთრებით მინდა შევეხო ახალგაზრდა სახელმწიფოსათვის აუცილებელი რეფორმებისა და, ზოგადად, ცვლილებების თავსებადობას საზოგადოების მოთხოვნებთან. ჩემი ღრმა რწმენით, არაადეკვატური მართვის სტრატეგიის გამო, დღეს რეფორმის ცნება აშკარად დამახინჯებულია.

რეფორმებად წოდებულმა გაუაზრებელმა მოქმედებებმა საზოგადოებრივი

ცხოვრებიდან გარიყა ინტელექტუალური და შრომითი რესურსების დიდი ნაწილი.

რეფორმებმა, რომლებზეც ხელისუფლება გამუდმებით საუბრობს, დიდი ხანია ხალხზე ჩატარებული ცინიკური ექსპერიმენტის ხასიათი მიიღო. რეფორმებით მართლდება უმუშევრობა, სოციალური სიდუხჭირე, ჩამორჩენა განათლებისა და ჯანდაცვის სფეროებში, ეკონომიკასა და სოფლის მეურნეობაში, სავალალო მდგომარეობა სასამართლო ხელისუფლების სისტემაში.

ხელისუფლების წარმომადგენლები თვლიან, რომ მათი ფსევდორეფორმებით აღშფოთების მიზეზი ქართული საზოგადოების მენტალიტეტია, თითქოს ქართული კულტურა ძნელად თავსებადია ლიბერალური დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის პრინციპებთან. მათ მიაჩნიათ, რომ საზოგადოება ბნელია და ეწინააღმდეგება მისთვისვე სასიკეთო ცვლილებებს.

სინამდვილეში საქმე სწორედ რომ პირიქით არის. მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურის უნიკალობა იმითაც გამოიხატება, რომ ქართველი ხალხი შეუცდომლად გრძნობს და მხარს უჭერს ხოლმე ისეთ ნოვაციასა და ცვლილებებს, რაც ქვეყნისა და საზოგადოების ინტერესებშია.

ჩვენს საზოგადოებაში ყოველთვის არსებობდა და დღესაც არსებობს წესრიგის, კანონიერების, სამართლიანობის მოთხოვნა. ვიმეორებ, ხალხი მზადაა მიიღოს და მხარი დაუჭიროს ისეთ რეფორმებს, რომლებიც რეალურად პასუხობს მათ ინტერესებს.

ამის ნათელი ნიმუშია ის ორი პრეცედენტი, რომელიც ამ გაუზრებელი, არსებითად თვითმიზნური რეფორმების პროცესში გამოვლინდა. ერთიანი ეროვნული გამოცდების შემოღებამ კორუფციის სამარცხვინო ლაქა ჩამორეცხა საქართველოს განათლების სისტემას. საზოგადოება ერთსულოვანი მოწონებით შეხვდა ხელისუფლების ამ ნოვაციას, მაგრამ ამ კონკრეტული რეფორმის იქით განათლების სისტემაში უმძიმესი შეცდომებია დაშვებული.

წარმატებული იყო სამართალდამცავი სისტემის რეფორმაც, რომლის შედეგად მივიღეთ არაკორუმპირებული, კრიმინალთან ეფექტიანად მებრძოლი პოლიცია. ამ რეფორმას საქართველოში არ მოჰყოლია რაიმე რყევა, იგი მიმდინარეობდა სწორედ რომ ქართული საზოგადოების გამოკვეთილი მხარდაჭერის ფონზე.

დღეს საქართველოს პოლიციაში ათიათასობით ჩვენი თანამემამულე მუშაობს პროფესიული ღირსების შეგნებით. მით უფრო სამწუხაროა, რომ ასეთ თვალსაჩინო წარმატებას თან მოჰყვა განუკითხავი სადამსჯელო ოპერაციები, გაუმართლებელი ადამიანური მსხვერპლი და, რაც მთავარია, სამართალდაცვის სტრუქტურების დაუფარავი პოლიტიზაცია, როდესაც მათ ხელისუფლება საზოგადოების დათრგუნვისა და დაშინების იარაღად იყენებს. ეს ანგრევს მიღწეულ წარმატებას.

ჩვენ ისეთი სახლმწიფო გვჭირდება, სადაც სახელმწიფო ბიუროკრატია ემსახურება ხალხს და არა მმართველ პოლიტიკურ ელიტას.

საზოგადოების მოთხოვნაა სამართლიანობა და არა რეპრესია, რასაც ყოველ ნაბიჯზე ვხვდებით დაწყებული საშუალო სკოლებიდან, დამთავრებული სასამართლო ხელისუფლებით.

ხელისუფლებისათვის ჩვენ ყველა — სხვაგვარად მოაზროვნეები, ქვეყნის მტრები და მოღალატეები ვხდებით მაშინაც კი, როდესაც უშუალოდ ნაციონალურ მოძრაობას ან მის ლიდერს კი არ ვუპირისპირდებით, არამედ ვითხოვთ სამართლიან სასამართლოს, გამჭვირვალე საარჩევნო სიებს, თავისუფალ მედიას, ანუ უბრალოდ ვიცავთ ჩვენს კონსტიტუციურ უფლებებს. უფლებებს, რომლებმაც ჩვენ და ჩვენი სამშობლო ცივილიზებული სამყაროს ნაწილად უნდა აქციოს.

დღეს ჩვენ ისეთი სახელმწიფოს მოქალაქეები ვართ, რომლის მმართველიც, მის მიერ ჩადენილ შეცდომათა გამო, მიუღებელია საერთაშორისო და საშინაო ასპარეზზე. ხელისუფლებამ სრულად ამოწურა ყველა საშინაო და საგარეო კაპიტალი და იქცა მთავარ ხელშემშლელ ძალად ჩვენი საზოგადოებისა და სახელმწიფოს განვითარების გზაზე.

დადგა დრო, თვალი გავუსწოროთ სიმართლეს და ჩვენს თავს დავუსვათ შეკითხვა: ხომ არ შეეგუა საქართველოს საზოგადოება არსებულ რეალობას — იმას, რომ გვისმენენ და გვითვალთვალებენ, უტიფრად გვატყუებენ, ღირსებას გვილახავენ, ხომ არ შევეგუეთ იმას, რომ „უპურო სანახაობის“ ქვეყანაში ვცხოვრობთ.

დადგა დრო, დავუბრუნოთ საქართველოს წარსული და ავაშენოთ ღირსეული მომავალი, ვიყოთ პირნათელი წინაპრებისა და მომავალი თაობის წინაშე.

მიგვაჩნია რომ:

სახელმწიფოს მართვის სისტემა უნდა დავაფუძნოთ ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებების განუხრელ დაცვაზე;

უნდა აღვადგინოთ ბალანსი აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებას შორის, რაც გამორიცხავს ძალაუფლების თავმოყრას ერთი პოლიტიკური ძალის ხელში და ავტორიტარულ მმართველობას;

ნებისმიერი საკონსტიტუციო ცვლილება ან განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის კანონი უნდა მივიღოთ მხოლოდ საზოგადოებასთან კონსულტაციების საფუძველზე;

მთავრობის საქმიანობა უნდა იყოს მაქსიმალურად გამჭვირვალე და მისი დამქირავებლის — საქართველოს ხალხის ინტერესების გამომხატველი, როგორც საბიუ-

14 gv.

13 gv.

ჯეტო ხარჯების, ისე ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისას;

მედია უნდა გავათავისუფლოთ სახელმწიფო კონტროლისაგან, იგი უნდა იქცეს ხელისუფლების კონტროლის მექანიზმად, რაც საზოგადოებას საშუალებას მისცემს მრავალმხრივი, მიუკერძოებელი ინფორმაციის საფუძველზე გააკეთოს არჩევანი;

სასამართლო უნდა დავიცვათ ნებისმიერი გარე გავლენისგან, ხოლო მართლმსაჯულების აღსრულება უნდა დავაფუძნოთ ერთადერთ პრინციპზე — კანონის უზენაესობაზე.

გვწამს, რომ ამ პრინციპებისადმი საზოგადოების თითოეული წევრის ერთგულება „ქართული ოცნების“ ასრულებამდე მიგვიყვანს.

დღეიდან ჩვენი მიზანია:

ისეთი სახელმწიფოს აშენება, სადაც თითოეული მოქალაქისა და მთელი ქვეყნის კეთილდღეობის წარმატების საწინდარი იქნება პატიოსნება, ღირსება და პროფესიონალიზმი;

ჩვენი აფხაზი და ოსი თანამოქალაქეების ნდობის მოპოვება და ქვეყნის გამთლიანება;

ჩვენი მოქალაქეების დასაქმება და ღირსეული შემოსავლის უზრუნველყოფა;

დასავლური დემოკრატიის ღირებულებათა დანერგვა და ევრო-ატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია;

დამკვიდრება და ჩვენს თანამემამულეებში იმედისა და რწმენის გაძლიერება;

ჩვენი მიზანია საქართველოს გამარჯვება და არა ვინმეს დამარცხება.

ჩვენ არ ვაპირებთ ახალი ისტორიის დაწერას 2012 წლიდან. ჩვენი ვალია აღვადგინოთ კავშირი წარსულსა და მომავალს შორის და ამ ჯაჭვში შევინარჩუნოთ საქმენიც და ადამიანებიც, რომლებიც ამ წლებში ახერხებდნენ და ემსახურებოდნენ არა ხელისუფლებას, არამედ ქართულ სახელმწიფოს. ჩვენ ერთად უნდა ვაშენოთ მომავლის საქართველო.

ჩვენი მიზნების აღსრულება არ არის უბრალოდ ჩვენი არჩევანი, ეს ჩვენი უზენაესი მოვალეობაა.

ერთად ავაშენოთ თავისუფალი, ღირსეული მოქალაქეებით დასახლებული, ყველასათვის საოცნებო საქართველო!

`alpinisti kiwmariSvili~, igive `zoro~ da `vardeni~ qarTul politikaSi

10 gv.

მამრავლებად შეუძლიათ, თუ დასჭირდათ. დღეს კიწმარიშვილის უსინდისობით ასე აღშფოთებული "ცნობადი" ჟურნალისტებისა და პოლიტიკოსებიდან, "ინვალიდთა ფონდით" განუბაჟებლად შემოტანილ "რუსთავი-2"-ის აპარატურისა და კიწმარიშვილის საფინანსო მაქინაციებზე გამოძიების დაწყებაზე ვინმესგან თუ გსმენიათ? ახლა გახდა ეს კიწმარიშვილი გაუმაძღარი და უნამუსო. არა, ბატონებო, ყოველთვის ასეთი იყო. მაშინაც, "რუსთავი-2"-ში შესამოწმებლად შესული კონტროლის პალატის ოთხი თანამშრომლის შესვლისას ჟვანიას სასწრაფოდ რომ დაურეკა, 20 კაციანი "სპეც ბრიგადა" გააზავნინა და მერეც — ბევრი პოლიტიკოსი "ოპოზიციად" რომ თვლიდა.

ცხადია, რომ არჩევნების გაყალბების წინ მოსახლეობის საინფორმაციო ვაკუუმში მოქცევას "ნაციონალ-რეფორმატორები" 2003-ში რუსთავი 2"-ის, 2007-ში "იმედის", ახლა კი "მაესტროს" ხელით ეცდებიან. კიწმარიშვილი კი, როგორც მიშას გვერდით მდგომი ყველა, ამ წელს ფიგურირებს. თუმცა ამჯერად, მგონი, რაღაც ისე ვერ გამოუვიდათ. ხალხი დაჭკვიანდა და "დანებითა და ჩანგლებით" ყველას დაძახილზე აღარ გარბის. თუ ღლონტს დავუჯერებთ და კიწმარიშვილი "მაესტროს" ვალებს დიდი ხანია არ იხდიდა, გამოდის, რომ "მაესტროს" გასაკოტრებლად, ტელევიზიის ნაციონალებისთვის ხელში ჩასაგდებად შეგნებულად აკოტრებდა? რას ელოდნენ, დამფუძნებლებმა კიწმარიშვილს კონტრაქტი აქამდე რატომ არ შეუწყვიტეს? ან "მაესტროს" ფული როგორ არ ჰქონდა, თუ მისი ერთ-ერთი დამფუძნებელი მაკა ასათიანი –გოგელიას მეუღლეა? ბანდიტი და ყაჩაღი კიწმარიშვილის "მაესტროში" შემოშვება რისთვის გახდა საჭირო? მოკლედ, ორივე მხარე, "რატომღაც" სიმართლეს ბოლომდე არ თუ ვერ ამბობს. პასუხისმგებლობასაც, მოთხოვნის შემთხვევაში, კიწმარიშვილი ვალებზე დღესაც ზუსტად ისევე აიცილებს, როგორც "რუსთავი-2"-იდან წამოსვლისას განაცხადა: "ტელეკომპანია გაკოტრებულია და ვერ გადავიხდი ვალებსო". მომკითხავიც, ამ ხელისუფლების ხელში არავინ იქნება. მიუხედავად იმისა, რომ ამ "ჩვენს გაკოტრებულ ალპინისტს", თურმე ოთხმილიონ ნახევარიც ჰქონია "გადანახული შავი დღისთვის". ესეც არაფერი? დაგიდგათ, ბატონებო, უკვე ეგ „შავი დღეები", თუ ხვდებით და ეგ არის. ან ნაციონალებს ვისთვის რა შეურჩენიათ, "ოთხი მილიონის" პატრონ კიწმარიშვილს რომ შეარჩინეს? ფაქტია, რომ სიტუაცია იწელება. ხალხის ყურადღებაც ამ ახალ სკანდალზეა გადატანილი, რა დროსაც სარქისიანის საქართველოში ვიზიტისას, სააკაშვილმა, შესაძლოა, ისეთ საკითხს მოაწერა ხელი, რასაც ძალზე გვიან გავიგებთ და ძვირადაც დაგვიჯდება.

ან უკვე ნაციონალების ხელში, მას შემდეგ, რაც ტელევიზიით მართული ხლახის პროტესტის ფასი მათ ასე კარგად იციან, ახალი ტელეკომპანია "მაესტროს" დაფუძნებას, სიხშირის მიცემას, ასეთი კომპანიის "დაერბოვკების" გარეშე "ნაციონალები" დაუშვებდნენ? თუ იმის გჯერათ, რომ "ანონიმისგან გირაოგადახდილმა" ოქრუაშვილმა 600 000-ზე მეტი ნაყაჩაღარი დოლარი ნაწილ-ნაწილ, „ვანოსა და მიშას კანტორის" ნებართვის გარეშე გაზიდა ნელ-ნელა და მხოლოდ ამის შემდეგ გადადგა პოსტიდან? ჟვანიას სიცოცხლეში, "რეფორმატორთა კასირად" მაჭავარიანი მოიაზრებოდა. თუმცა, როგორ "წყარო" გვამცნობს, არსებობდა "საკაშვილის ფრთის რეფორმატორთა მეორე კასირიც" — ოქრუაშვილიც, რომლის სახელზეც, "წყაროს" ცნობით, "პეტერსონ ბელქანაფთან" ერთად საქართველოს წიაღისეულის გაყიდვით ნაძარცვი მილიარდები ინახებოდა. (ყოველ შემთხვევაში, იქამდე, სანამ ოქრუაშვილი აქედან წავიდოდა პარიზში. სადღაც 15 მილიარდზეა საუბარი) ეს "ობშიაკის ფული" ოქრუაშვილის სახელზე ყოფილა და "ცოცხალი ოქრუაშვილი" რეფორმატორებს სწორედ ამისთვის სჭირდებოდათო. რატომ გაფორმდა ქართული წიაღისეულის გაძარცვის ხარჯზე დაგროვილი "ეს ობშიაკი" მაინცადა მაინც ოქრუაშვილის სახელზე, რამდენს დაჰპირდნენ და რა გარიგებაში იმყოფებიან "ობშიაკის მოწილე დანარჩენი რეფორმატორები" ოქრუაშვილთან დღეს — უცნობია. მაჭავარიანი, თავისი ძმით, ჟვანია, ბარამიძე, მამალაძე, სააკაშვილი და "ბობოლა-ბობოლა რეფორმატორები" ყველა მანდ არის. ისევე, როგორც "თელასის" გაყიდვით ტარიფის 10%-იან წილში. ცნობილია ისიც, რომ "ამ ობშიაკში", თავისთავად არასდროს მოიაზრებოდა ბურჯანაძე. მას ოჯახის ნაძარცვი და "ნაცებისგან გაპრავებულ" მილიონებსაც ამყოფინებდნენ. თუმცა ცნობადი ჟურნალისტების „გულმავიწყობის" არ იყოს, სჩანს "გულმავიწყობა ბურჯანაძესაც დასჩემდა", "საერთო გაზეთის" ნომერში როცა აცხადებს: **"რომ არ ყოფილიყო აგვისტოს ომი, დღეს სააკაშვილი პრეზიდენტი აღარ იქნებოდაო".** მინდა მასაც და საზოგადოებასაც შევახსენო, რომ **ბურჯანაძე 2003 წელს იმ "საპრეზიდენტო სკამზე" რომ არ დამჯდარიყო, რომელიც როგორც გადამდგარ პარლამენტის თავ-რეს კანონით უკვე აღარ ეკუთვნოდა, არჩევნების შედეგები "ბურჯანაძე-დემოკრატების" სასარგებლოდ უკანონოდ რომ არ შეეცვალა, 2007 წლის ნაციონალებისგან პირწმინდად წაგებული არჩევნები არ "გაეპრავებინა", ჩვენ არც აგვისტოს ომს მოგვიწყობდა სააკაშვილი, არც საქართველოს ქონებას გაასხვისებდა, არც ამდენ ახალგაზრდას დახოცავდა ქუჩაში და საერთოდ, არანორმალური პრეზიდენტის მმართველობასაც ასცდებოდა ქვეყანა.**

ბიძიებო და დეიდებო, "გაგიჟდა, გაგიჟდა ვარდენი". ამას აღარც ფსიქიატრი უნდა, აღარც ფსიქოლოგი და არც 2013 წლის არჩევნები. ჩვენ კი მართლა ღვთისმოსავი და გულმოწყალე ხალხი რომ ვიყოთ, კიდევ ორ წელს აღარ დავტანჯავდით საბრალოს. გრძელსახელოებიან, უკანშესაკრავ პერანგს ჩავაცვამდით და იქ წავიყვანდით, სადაც ფილმ "კავკასიელ ტყვე ქალში" "პროკურორი და ნაპოლეონი" ჰყავდათ. იქ ნერონი და კალიგულა არ ჰყოლიათ და ეს იქნება. ჩვენც დავისვენებთ და ეს უბედურიც.

ბაია ამაშუკელი



ivaniSvili unda ganewyos ara politikuri omisaTvis aramed poziciuri brZolisaTvis...

მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებზე გვესაუბრება „სახალხო ფრონტის“ ლიდერი, ბატონი ნოდარ ნათაძე.

— ბატონო ნოდარ, როგორ ფიქრობთ, დღეს საქართველოში არის თუ არა იმის რესურსი, რომ ბიძინა ივანიშვილმა დააკომპლექტოს ვარგისი, ანუ კვალიფიციური და საქართველოს ერთგული მმართველი გუნდი?

— ეს მართლაც სერიოზული კითხვაა და ამაზე პასუხიც დაფიქრებას საჭიროებს. მოვლენებს თუ მივყვებით, შემიძლია შეგახსენოთ, რომ ყველამ თვალნათლივ დავინახეთ დღეს მსოფლიოში მიმდინარეობს პროცესები. საბერძნეთს გაუჭირდა, გამოსავალი ნახა, იტალიას გაუჭირდა, შემცვლელი კადრი ნახეს, ჩვენთან კი დღეს თვალშისაცემია კადრების დეფიციტი. ერთ-ერთი ხელშემშლელი ამ საქმეში ის გახლავთ, რომ მოსახლეობის დიდ ნაწილს ჰგონია, რომ კადრები არიან ისინი, ვინც ეკრანზე ჩანან. სამწუხაროდ, იქიდან თითქმის უმეტესობა, თუნდაც 99 პროცენტი ნაგავია. **კადრები უნდა ეძებონ ეკრანს გარეთ. იმიტომ რომ ჩვენი ამჟამინდელი ხელისუფლება გახლავთ დივერსანტული ხელისუფლება, რომლის დავალებაც არის საქართველოს დანგრევა, რადგანაც რუსეთის აგენტები არიან. მმართველობის ფორმით არიან, უარესია ხელისუფლება. ესენი ეკრანზე გამოსაჩენად ეძებენ უარესზე უარეს ადამიანებს.** ამიტომ მათზე ორიენტირება არაფრით არ შეიძლება. ეკრანს გარეთ რომ კადრი იპოვო, საზოგადოებაში კარგად ჩახედული კაცი უნდა იყო.

დღემდე რასაც ვხედავ, შემიძლია ვთქვა, რომ რესპუბლიკურ პარტიაზე ორიენტაცია არის ძალიან დიდი შეცდომა, თუმცა, იქაც არიან ბევრი კარგი ხალხი, მაგრამ **ძმები ბერძენიშვილები, ძმები ხაინდრავები, თინა ხიდაშელი, უსუფაშვილი და ბევრი სხვები, დასპეციალებული არიან იმაზე, რომ თავისი ქართული გვარები გააქირაონ ანტიქართული დოკუმენტების ხელმოსაწერად. ეს არის მათი პოლიტიკური სპეციალობა, სხვა სპეციალობა მათ არ გააჩნიათ.** ამიტომ მათი მოწვევა შემდგომ ხელისუფლებაში იქნება დიდი შეცდომა.

ალასანიას რაც შეეხება, მე მას ერთი ნაბიჯითაც არ ვანდობდი საქმეს იმიტომ, რომ დღემდე ის არაფერში შემოწმებული არ არის, არც პროგრამულ ამოცანებში და არც პრაქტიკულ საქმეში.

ასე რომ, მე ძალიან გული მწყდება, რომ დღეს ბიძინა ივანიშვილი კადრებს ეძებს მხოლოდ ეკრანული სახეებიდან.

— სად შეიძლება საუკეთესო კადრებს მოძიება ახალი სახეები უნდა გამოჩნდნენ?

— მე, პირადად, უამრავი ხალხი შემხვედრია თუნდაც ქუჩაში, საკმაოდ განათლებულები და რეალისტურად მოაზროვნენი, ალალები და ერთგულები. მათ ვინმე ეძებს? სახარებაში წერია „ეძიებდეთ და ჰპოვებდეთო“, ვფიქრობ, მათი პოვნა იოლია.

— თავად ბიძინა ივანიშვილზე რას იტყვვით, დაინახეთ მასში პიროვნება ლიდერის თვისებებით?

— ადამიანის პიროვნების განსაზაზღვრად არის ორი პარამეტრი? ერთი გახლავთ მისი მიმართულება, მეორე კი ხარისხი. მიმართულება შეიძლება იყოს სიკეთისაკენ ან ბოროტებისაკენ, ხარისხი კი შეიძლება იყოს მაღალი ან დაბალი. წამყვანი ამ შემთხვევაში არის პირველი, ანუ პროგრამული. მე როგორც მოქალაქეს მის წინაშე მაქვს კითხვა — რას მიპირებს? ან ამ ქვეყანას რას უპირებს? ამაზე მას უნდა ჰქონდეს აუცილებლად ცალსახა პასუხი. უნდა გაკეთდეს მთავარი ანალიზი, ავიღოთ თუნდაც რუსეთი, დღეს ის რომ გვიტევს, რატომ აკეთებს ამას? მას დღეს არანაირი შესაძლებლობა არა აქვს, რომ იმპერია აღადგინოს, მაგრამ თავისი რიგითი მოქალაქის მოსაზიდად, პუტინიც და მედვედევიც ისე თამაშობენ, თითქოს ამის იმედი აქვთ, ანუ თავის აგრესიულობას უკეთებენ ერთგვარ რეკლამირებას. მეორეც, ეს ქვეყანა დღეს არის პოლიტიკურად მძიმე სიტუაციაში. მის მოქალაქეს აკავებს მხოლოდ აგრესიული გეგმები. მისი ხალხი ხედავს, რომ პუტინის პოლიტიკა არის ფაქტობრივად, წაგებული. მდგომარეობიდან რომ გამოვიდეს, მან უნდა მოიპოვოს მსოფლიოს მხარდაჭერა და გააკეთოს დათმობა, მის მიერ გადადგმულ აგრესიულ და სარისკო ნაბიჯებში, რასაც ჰქვია აფხაზეთისა და ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება. ამისათვის მას აქვს ერთადერთი გზა, რომ საქართველოს აგენტურული ხელისუფლება დაითანხმოს ამ ნაბიჯის გადადგმაზე. ამის გაკეთების ერთადერთი იურიდიული ფორმა, არის კონფედერაციის შექმნა, ანუ სახელშეკრულებო სახელმწიფო, რომელიც იშლება მაშინვე, როდესაც მისი თუნდაც ერთი მონაწილე იტყვის, რომ არ სურს ამ კონფედერაციაში გაერთიანება. ფორმალურად კი მასში გაერთიანებული იქნებიან დამოუკიდებელი საქართველო, დამოუკიდებელი აფხაზეთი და ოსეთი. ფაქტობრივად, ეს იქნება საქართველოსათვის ყელის გამოჭრა, მოსახლეობის უმრავლესობა არ მოტყუვდება. პუტინმა და მედვედევმა იციან, რომ მათი აგენტი სააკაშვილი ამას გააკეთებს, თუ გაბედა, მაგრამ ის ამას უკვე ვეღარ გაბედავს, რადგანაც მთელ ამ პერიოდში უკვე მხილებულია როგორც სულელი და ერის მოღალატე. შევარდნაძეც რუსეთის აგენტი იყო, მაგრამ შეუძლებელი იყო მას ყველაფერი გაეკეთებინა. ის რაც გააკეთა — აფხაზეთის ჩაბარება მტრისათვის, ოცი წელი საქართველოს განადგურება და სხვა, ამიტომ იპოვეს ახალი კაცი სააკაშვილის სახით. **საქართველოს განადგურება ნაწილდება წლებში, დროში.**

ამიტომ კაცი, რომელიც განაცხადს აკეთებს იმაზე, რომ სურს ხელი დაადოს სახელმწიფო საჭეს, (იგულისხმება ივანიშვილი) არასოდეს არ უნდა დაეთანხმოს რუსეთის ამ მზაკვრულ გეგმას. ის უნდა იყოს მტკიცე თავის გადაწყვეტილებებში. ასევე, ვფიქრობ, ივანიშვილი ჩაუხედავია იმ საქმეში თუ როგორ განვითარდა მოვლენები 2008 წლის აგვისტოში. ის ამბობს, რომ სააკაშვილმა დაიწყო ომი, ანუ თითქოს სააკაშვილმა გაისროლა და დაბომბა ცხინვალი. ამ ომის დაწყების ისტორია ცნობილია. ეს ომი დაიწყეს 6 აგვისტოს და დაამთავრეს 7-ში მანევრით, ანუ ჯარების გადაადგილებით. მანევრი ისეთივე ელემენტია საბრძოლო მოქმედებისა, როგორც ხიშტით ბრძოლა ან ზარბაზნით ბრძოლა. რუსებმა შემოიყვანეს ჯარები სამშვიდობოების გარდა, დაიკავეს საკვანძო პოზიციები და ამ პოზიციებზე მოახდინეს ძალების კონცენტრაცია, მათ ომი დაიწყეს და დაამთავრეს. ასე რომ, მათ სააკაშვილისათვის არ მიუციათ ისეთი რთული ამოცანა, როგორიც არის ომის დაწყება, ეს ომი კი მოიგეს. ამის მერე სააკაშვილს დაუძახეს და უთხრეს, ახლა შენ გაისვრი ცხინვალის მიმართულებით, რადგანაც ქალაქი უკვე ევაკუირებულია, იქ მოსახლეობა არ არის, ესვრი ამა და ამ ტიპის ჭურვს და გააფორმებ დოკუმენტაციას, რომ იმყოფები ომის მდგომარეობაშიო. ომი დამთავრდა 7 აგვისტოს შუადღისას, სააკაშვილმა კი თავისი ფუნქცია განახორციელა შვიდში საღამოს. 23 საათსა და 25 წუთზე ეს დოკუმენტი უკვე შექმნილი იყო. ანუ **მიკროაგენტ სააკაშვილის ამოცანა რუსების მიერ დასახული, რომელიც მან პირნათლად შეასრულა, მდგომარეობდა არა ომის დაწყებაში, არამედ ომის გაპიარებაში.** ამის შემდეგ უკვე რუსეთმა ომი გააფორმა

8 აგვისტოს. დღეს, სამწუხაროდ, არავინ ამბობს იმას, თუ რატომ ახლოდნენ გორის ტერიტორიაზე სააკაშვილს სამოქალაქო პირები? ვინ იყო გიგი უგულავა? — ეს იყო უდიდესი სამხედრო დანაშაული. იმიტომ არ ახლდნენ მას იქ სამხედრო ოფიცრები, რომ მას ჭკვიანი სამხედრო მოსამსახურე იქ **არ სჭირდებოდა, მას იქ სჭირდებოდა ხროვის წევრი! ხროვის წევრობა დააყენა სამხედრო პირზე მაღლა — აი, ეს არის ამ ომის ისტორია!**

ივანიშვილს ვურჩევ, რომ ის განეწყოს არა ელვისებური პოლიტიკური ომისათვის, არამედ პოზიციური ომისათვის და ამ გზით წავიდეს თუმცა, მიმაჩნია, რომ გარკვეული თვალსაზრისით ტაქტიკური შეცდომები დაუშვა.

— რა არის ეს შეცდომა?

— წინასწარ უნდა შეექმნა ორი-სამი ყოველდღიური გაზეთი, რომელიც დაიპყრობდა მკითხველს, გაეყიდა ის შედარებით იაფად და ეს გაზეთები ყოფილიყო ინფორმაციული და ობიექტური, იქვე საჭიროა მოსახლეობას ჰქონდეს ობიექტური დასავლური პრესის დაიჯესტი.

ასევე, კარგი იქნება თუ ბიძინა ივანიშვილი შექმნის ბიბლიოთეკებს, სადაც იქნება დასავლური პრესა და სადაც შეეძლება ინტელიგენციას ან დაინტერესებულ პირებს მისი გაცნობა. აქ ხომ შეიძლება ახალგაზრდობაც შევიდეს და მსოფლიო დაინახოს.

— ინტერნეტი ვერ შეცვლის ამ ყოველივეს?

— ინტერნეტში ის, რაც ღირებულია, არის ფასიანი, ამიტომ ის ხელმიუწვდომელია, ყველას არ შეუძლია ამ ინფორმაციის მიღება, მან უნდა დაიწყოს ხელისუფლების ალყა ასეთი საშუალებებით, და პოზიციური ბრძოლა მოიგოს, რაც შემდგომში საშუალებას მისცემს ხელისუფლებაში მოსვლისას. თუ ის პარლამენტში ამ გზით მოვა, ბევრ ხმას მიიღებს. თუმცა „მარტო „რესპუბლიკელებთან“ ერთად შესვლა პარლამენტში მისთვის ცუდი და არამომგებიანი იქნება. უნდა შეიქმნას ცენტრი იმ ადამიანების სახით, ვისაც ჭკუა აქვს და არა ისეთების ვისაც კარნახობენ, როდის აიწიონ ხელი.

ქველმოქმედება, ცხადია, უნდა გააგრძელოს, მაგრამ თანხის დაბანდება უნდა მოახდინოს წარმოებაში, გასათვალისწინებელია ის, რომ დღეს საქართველოს „გაცოცხლებას“ სჭირდება იაფი კრედიტი, რაც ყველასათვის ხელმისაწვდომია მას შეუძლია შექმნას იაფი კრედიტი, აამუშაოს წარმოებები და საქართველო ამით გადარჩება. თუნდაც სოფლის მეურნეობა რომ ავიღოთ, მას სჭირდება მცირე ინვესტიციები, დიდ ინვესტიციებს ეს დარგი დღეს ვერც აითვისებს.

დაბოლოს, მე ვიტყოდი, ივანიშვილმა ფსიქოლოგიურად და ორგანიზაციულად ორიენტაცია უნდა აიღოს პოზიციურ ომზე და კადრების ადეკვატურ შერჩევაზე.

ემზერ კასრელიშვილი

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

იულია ტიმოშენკოს მხარდამჭერებმა სასამართლოს შენობაში შეჭრა სცადეს

უკრაინის ყოფილი პრემიერ-მინისტრის იულია ტიმოშენკოს მომხრეებმა სააპელაციო სასამართლოს შენობაში შეჭრა სცადეს.

რუსული მედიის ცნობით, ტიმოშენკოს მომხრეებმა სასამართლოს შენობაში შეჭრა მას შემდეგ გადაწყვიტეს, რაც ისინი, ასევე დეპუტატები პროცესზე არ შეუშვეს. ამას კი სასამართლოს შენობასთან, სამართალდამცავებსა და ტიმოშენკოს მომხრეებს შორის ხელჩართული ჩხუბი მოჰყვა.

კიევის სააპელაციო სასამართლოში ამ დროისათვის იულია ტიმოშენკოს აპელაცია განიხილება.

სასამართლოს შენობასთან ყოფილი პრემიერ-მინისტრის ათასობით მომხრეა შეკრებილი. არსებული ინფორმაციით, იულია ტიმოშენკო სასამართლო პროცესს არ ესწრება.

შეგახსენებთ, რომ კიევის პეჩორის რაიონულმა სასამართლომ 2011 წლის ოქტომბერში უკრაინის ყოფილ პრემიერ-მინისტრს იულია ტიმოშენკოს შვიდი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. მას ბრალდ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადაჭარბება ედება.

„მედიანიუსი“

lalimoroSkinas axali revoluciuri koncefcia, romelic saqarTvelos Tavslafdasxmulma mosaxleobam 8 weliaver gaacnobiera

9 დეკემბერს „ნანუკას შოუს“ საახალწლო გადაცემის ჩაწერაზე მომხდარი ინცინდენტის გამო ლალი მოროშკინა 10 დეკემბრის დილის 8 საათზე აიყვანეს. ფაქტი მოხდა, ყველა იქ მყოფის თვალწინ ლალი თმაში სწვდა „პრაიმ ტაიმის“ რედაქტორს თაკო ფხაკაძეს რაც 166-ე მუხლით დაკვალიფიცირდა (წვრილმანი ხულიგნობა) და მოროშკინას 15 დღით თავისუფლების აღკვეთა ისე მიესაჯა, სასამართლო ეჭვმიტანილის ადვოკატის გამოცხადებას არ დაელოდა.

გემახსოვრებათ, „ნანუკას შოუში“ შერიგების მომსწრენი გავხდით, ნანუკამ სახენაირევი გოგონა თავდამსხმელთან სულ პაჩი-პუჩით შეარიგა. რატომ ახლა, ადგილზე არ მოიმოქმედა ნანუკამ იგივე? თაკო ფხაკაძეს მცირედ გაფხაჭნული აქვს კისერი, იმ გოგონას კი, სახე დამახიჯებული ჰქონდა შუშით, სახე! როგორ მოხდა, რომ ყოვლისშემძლე ტელეჟურნალისტმა ქალმა (იმ დროს იქ მყოფმა „იმედის“ ჟურნალისტებმა) ორი ჟურნალისტი, ორი კოლეგა, ორი მოწიფული ქალი რატომღაც კადრსმიღმა ვერ შეარიგა? თუ, არ შეარიგა?

ლალი მოროშკინა: – „მივიღე მოწვევა სამი დღის წინ „ნანუკას შოუში“, რომელიც უნდა იყოს საახალწლო შოუ, დაჯილდოებები გვაქვსო. კიდევ ერთხელ ვიკითხე, მე მაჯილდოვებთ? ადამიანი, რომელიც იბრძვის არსებული რეჟიმის წინააღმდეგ, თუნდაც უკანონობის წინააღმდეგ. მე არ მგონია, რომ ვთქვათ, კოდუების დაფინანსებულ გადაცემაში იყოს ჩემი ადგილი, მაგრამ მიწვევა მივიღე, როგორც ჟურნალისტს, დამაინტერესა.“

ამ სიტყვებით დაიწყო ლალიმ „კავკასიის“ ეთერში განცხადების გაკეთება. მისი ეს განწყობა, ცხადია, იცოდა ნანუკამ და მაინც რატომ მიიწვია გადაცემაში, რატომ დასდო პატივი მოროშკინას?

ლალი მოროშკინა: – „მე პიარ-ტექნოლოგი ვარ და ცხადია, ამ შესაძლებლობას ხელიდან არ გავუშვებდი, მივედი. ეს იმას ნიშნავს, რომ თაკო ფხაკაძე მე მიწყობს პროვოკაციას ნანუკას შოუს დახმარებით. ყოველთვის ვარ მომხრე, რომ მეგობრულად გადაწყდეს კონფლიქტი, – მოდით, მე უბრალოდ, წავალ ამ შოუდან, ერთი ადამიანი თუ მოგაკლდათ არ იქნება პრობლემა-მეთქი. ნომინაციების გამოცხადებამდე მე დავსვი ირმა სტეფნაძე და კიდევ მათი სამი პროდიუსერი (სტეფნაძე რომელია, ის ხომ არა, შალვა რამიშვილის „აყვანის“ დიასახლისი? რა „გასაოცარი“ დამთხვევაა კოლეგების დაპატიმრების საქმეში. – მ.ჭ.) და ვუთხარი, თუ ეს იქნება შეურაცხმყოფელი, მე შემიძლია, რომ მივიღო ზომები? – „როსტოც“ იქ იყო. მითხრეს, როგორ შეიძლება ეს იყოს შეურაცხმყოფელი, როდესაც ეს არის საახალწლო გადაცემა“...

ისევ იბადება კითხვა, ადამიანი რომელიც უარს ამბობს „ბრჭყვიალა“ შოუში მონაწილეობაზე, რატომ არ ეუბნება ნანუკა, სულ კარგად ბრძანდებოდეთო?

ლალი მოროშკინა: – „ალბათ, თაკო ფხაკაძე ვერ შედგა როგორც ჟურნალისტი, ვერ შედგა როგორც პიროვნება, ვერ შედგა როგორც ქალი, ვერ შედგა როგორც ჯანმრთელი ქალი, იმიტომ, რომ მისი სილიკონებით გადაბერილი სახე ლამის გადასკდეს და შურს ყველა ქალის, ჯანმრთელის, მოაზროვნის, რომელიც თავისთ იკვალავს გზას და არა გიგი უგულავას დაფინანსებული გაზეთით, თავისით აკეთებს რაღაცას და არა იმითი, რომ ვიღაც „ჩაუშვას“, კამერით ჩუმად გადაიღონ. ეხლავე მივმართავ სამართალდამცავ ორგანოებს, მე ვცემე თაკო ფხაკაძე. სხვა გამოსავალი არ მქონდა. მე ზუსტად ვიცი, რომ თუ შენ შენი თავმოყვარეობა აღარ გაქვს, შენ ყველაფრის ღირსი ხარ. მირჩევნია ღირსეულად ციხეში ვიჯდე, ვიდრე ასეთ უღირს გადაცემებში და თოქ-შოუებში უღირსი ადამიანების გვერდზე. მე სხვა მეთოდი, როცა ასე ბინძურად მიპირისპირდებიან, არ დამრჩა. მე ვცემე, შეუძლიათ პირდაპირ წამიყვანონ სადაც საჭიროა იქ.“

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

თაკო ფხაკაძე: – „მე დღეს მარტო იმიტომ ვარ ცოცხალი, რომ ეს ჩანგალი, რომელიც მან მე ჩამცხო თუ რა ვიცი რა ჰქვია ამ სიტყვას, იყო ეტყობა შედარებით ბლაგვი და მერე მეორე ჩარტყმა მოხდა უკვე რუსა ჩაჩუას ხელზე – ეს იყო ჩვეულებრივი მცდელობა ადამიანის მოკვლის. ეს ყველაფერი მოჰყვა ძალიან უწყინარ ფაქტს, „პრაიმ ტაიმმა“ ჩაატარა კვლევა, ლალი მაროშკინა ამოვიდა ყველაზე უგემოვნოდ ჩაცმულ ქალთა შორს. ეს გახდა საბაბი იმის, რომ მან გადაწყვიტა, ასე აცხადებთ თქვენ, ჟურნალისტები, რომ ეს იყო ფიზიკური შეურაცხყოფა.“

ძვირფასო კოლეგა, ჩვენ, ჟურნალისტები ვერაფერს გამოვაცხადებთ თქვენთვის ისეთ შეურაცხმყოფელს, რაც თქვენ გაგაოცებთ!

იმედია, არ გადახედავს ინტერნეტში საზოგადოების აზრს თაკო ფხაკაძე, რადგან ისედაც კარგად იცის, – ლალი მოროშკინას მარჯვენას ლოცავენ... განცხადება არ ჰქონდა დამთავრებული ლალის, სტუდიაში რომ ქალბატონებმა დარეკეს, თეა თუთბერიძეც „შეუკვეთეს“, „შენიშვნაც“ მისცეს, ხელი არ უნდა გაგესვარა ამათზეო და დაარიგეს კიდეც, „თუ სასამართლო რამეს მოგისჯის, ასე უთხარი, მე იმას კი არ ვჯავრობ, ხელი რომ დავარტყი, იმას ვჯავრობ, ეს ხელი რითი დავიბანოო“.

თაკო ფხაკაძე: – „თურმე მანამდე შამპანიურის ბოთლსაც სინჯავდა და დანას პირი გაუსინჯა, იყო თუ არა ბლაგვი. თქვენ წარმოიდგინეთ, ჩვეულებრივი დანა რომ ყოფილიყო, ტორტის საჭრელი, ჩვეულებრივად მოკლავდა ადამიანს. თმაში მწვდა და კისერში ესე ჩამარჭო და. ამ ინცინდენტის შემდეგ იდგა, კადრებშიც ჩანს და ამბობდა, მე ეხლა ყველა ნიუსში მოვხვდები და ყველა ნიუსში ვიქნები, ანუ მას ეს გადაწყვეტილება ჰქონდა მიღებული. ნამდვილად იმყოფებოდა ნასვამ მდგომარეობაში, იმიტომ, რომ ეს იყო საახალწლო გადაღება. როგორც ეტყობა, მან ზომაზე მეტი შამპანიური დალია.“

რას ნიშნავს ზომაზე მეტის დალევა, ვინც იქ იმყოფებოდა ზომის ფარგლებში დალიეს, მან კი გადააჭარბა და ტვინი ამოუტრიალდა, ეჩვენებოდა, რომ ფხაკაძე ქირქილებდა? სხვასაც „ზომაზე მეტი“ რომ ჰქონოდა დალეული, ისიც ფხაკაძეს გალახავდა? თუ დალევაზე იმიტომ ამახვილებს ყურადღებას, რომ დამამძიმებელი გარემოება „ჩააწოდოს“?

ნანუკა: – „როდესაც გაიგო რომ „პრაიმ ტაიმის“ დაჯილდოება იყო, მითხრა, რომ „პრაიმ ტაიმთან“ მას არა აქვს კარგი ურთიერთობა და მითხრა რომ, მოკლედ, რას უნდა ველოდეო... შეურაცხმყოფელი სიტყვებით დაიწყო სცენიდანვე, სექსუალურ უმცირესობებს გადაუარა და გადმოუარა“...

რა მოსატანი იყო სექსუალური უმცირესობებს გადაურა თუ გადმოუარა ხულიგანმა ლალიმ, ვერ გავიგე? „საბრალო“ თაკოს ჟეჟეაზეა აქცენტი თუ სექსუალური უმცირესობების შეურაცხყოფაზე?

ნანუკა: – „აღმოვაჩინე მასალა, სადაც ლალი მაროშკინა ესეთი გაცინებული სახით ყვება ესეთ რამეს, ხვალ დილით ნიუსებში ხომ მოვხვდებიო, ცემის შემდეგ ამბობს ესეთ რამეს. ჩემდა სამწუხაროდ, არ მინდა ვიფიქრო იმის, რომ ლალიმ ჩემი გადაცემა გამოიყენა სკანდალისთვის, იმისთვის, რომ კიდევ ერთი საკანდალური წიგნი შექმნას და გაყიდოს, მაგრამ ვიდეომასალა ამას ძაან მკვეთრად უსვამს ხაზს“.

ადამიანის ბუნება ისეა მოწყობილი, დაჩაგრულის მხარეს დგება, ამ შემთხვევაში კი, მიბეგვილი თაკოს ნაცვლად, გულმხურვალე თანაგრძნობა თავდამსხმელმა მიიღო. იმ რია-რიაში ერთი ის ვერ გავიგე მხოლოდ, როდის აიღო ჩანგალი ლალიმ (ნამდვილად ჩანს კადრში რომ ხელში უჭირავს). მისი ორჯერ ნოქნეული მარჯვენას კვალი თაკოს სახეზე ფაქტად ჩანდა სისხლნაჯღენთის სახით, კისერზე ნაფხაჭნიც მარჯვენა მხარესაა და ორი მარჯვენა ხომ არ აქვს?

მოკლედ რომ ვთქვათ, სჯობს, ბევრი აღარ იჭრიჭინოს ფხაკაძემ, თუ ვინმე და რამე გაპიარდა, ეს „პრაიმ ტაიმია“, რომელმაც, მიუხედავად ბევრი მცდელობისა, მკითხველი ვერ შეიძინა, თუმცა, ვეჭვობ, უარესი მოსწია თავს, – მოდი და გაიგე ახლა, რომელმა მხარემ რომელი „წამოიკიდა“.

„არც გლამურული ვარ, არც „სვეტსკი“ ვარ, არც ძალიან მაგარი ტიპი ვარ, უბრალოდ ლალი მაროშკინა ვარ, რომელსაც ჯანმრთელი ცხოვრების წესი უყვარს და როდესაც შეურაცხყოფას აყენებენ, მას შეუძლია ეს კონფლიქტი მუშტით გადაწყვიტოს. მე ვიცი ერთი რამე, როცა ადამიანს სიტყვით ვერ აგებინებ (მე 25% მაქვს რუსული, 75% ქართული), მე ვიცი, რომ ადამიანს ყბაში უნდა მოსდო და ძალიან მარტივად მოვდე თაკოს ყბაში. (და თვალში – მ.ჭ) მაპატიე თაკო, ძალიან ბევრათასიანი სილიკონები დაიღვენთა შენს სახეზე,“ – ეს, თითქოს, ლალის მხოლოდ სიტყვებია. არა, ბატონებო, ეს ჯანმრთელი ხედვაა, ეს იდეოლოგიაა, ლალის პირით შეუცნობლად განცხადებული კონცეფცია, რაც საქართველოს თავსლაფდასხმულმა მოსახლეობამ 8 წელია, ვერაფრით გახსნა საკუთარ „მე-ში“.

ლალიმ თაკო ფხაკაძეზე ორჯერ მოდებული მუშტით, მცირე მასშტაბებში, მაგრამ „მარტივად“ გადაწყვიტა, ერთი მუშტი უგულავას მოხვდა, მეორე – კოდუას, დანარჩენი საქართველო კი ისევ პირდაღებული ზის და არჩევს, რამდენად სწორად მოიქცა ლალი.

საინტერესოა, მთელი საქართველო ლალი მოროშკინას მარჯვენის მოქნევის იმედზეაა დარჩენილი?

მაია ჭელიძე

მსოფლიო პრესის მიხედვით

kalaZe politikaSi: Cemi qarTuli ocneba

საფეხბურთო კლუბ „მილანის“ ყოფილი მოთამაშე მაგნატთან ალიანსში ებმება იმისთვის, რომ სააკაშვილის რეჟიმი შეცვალოს, წერს გაზეთი Corriere della Sera.

„დოლარი და ფეხბურთის ბურთი. საქართველოს ყველაზე მდიდარი ადამიანი და ყველაზე ცნობილი ქართველი ფეხბურთელი. კვირას თბილისში, ფილარმონიის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზში 2.5 ათასი მოწვეულის თანდასწრებით, ბიძინა ივანიშვილმა და კახაბერ „კახა“ კალაძემ ახალი პოლიტიკური მოძრაობის – „ქართული ოცნების“ შექმნის შესახებ განაცხადეს. ამ მოძრაობის მიზანი საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის რეჟიმის შეცვლაა“, – წერს გამოცემა.

ბიძინა ივანიშვილს შეუძლია, დაეყრდნოს საკუთარ ქონებას, რომელიც 5,5 მილიარდ დოლარად ფასდება, ვკითხულობთ წერილში; კახა კალაძე კი ძლიერი მცველია, რომელმაც საფეხბურთო კლუბ „მილანის“ შემადგენლობაში 10-წლიანი თამაშისას ყველა პრიზი და წოდება მოიპოვა. კახამ დარბაზში შეკრებილთ აცნობა, რომ ტოვებს ეროვნულ ნაკრებს, რომლის კაპიტანიც იყო: „15 წლიანი კარიერისა და 83 ნათამაშევი მატჩის შემდეგ მივდივარ დიდი სინანულით“, – იტყობინება კორესპონდენტი.

„სინამდვილეში, ნაკრებიდან წასვლა არის პოლიტიკური კარიერისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი, რომლითაც საკუთარი მომავლის აწყობას გეგმავს. საქართველოში შექმნილ ვითარებას ვერ უწოდებ დამამშვიდებელს, თანაც, 2008 წლის ცხელი ზაფხულის დროს, საკაშვილმა უსუსური წინააღმდეგობა გაუწია რუსებს და მას შემდეგ თავისი ავტორიტარული მართვის კურსი კიდევ უფრო გაამძაფრა. სწორედ იმ ცხელ ზაფხულში, კალაძის წყალობით, ქვეყანა დიდ დანაკარგს გადაურჩა: კახამ მიმართა საფეხბურთო კლუბ „მილანის“ მფლობელ სილვიო ბერლუსკონის, რათა მას თავის მეგობარ პუტინთან მოლაპარაკებები გაემართა. 48 საათის განმავლობაში, საერთაშორისო საზოგადოებრიობის ზემოქმედების შედეგად, რუსებმა გადაიფიქრეს თბილისზე შეტევა, სადამდეც სულ რაღაც 30 კილომეტრი აშორდებდათ“, – წერს მიმომხილველი.

2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში, საპრეზიდენტოშიც, მაგნატი და ფეხბურთელი ხელილხელჩაკიდებული მიდიან. „გული მიწუხს, როცა ვუყურებ, რა სიღატაკეში ცხოვრობს ჩემი ხალხი“, – აცხადებს ფეხბურთელი. ამიტომაც რუსეთთან ურთიერთობის მოგვარება უნდა იყოს პირველი ნაბიჯი. „პროპაგანდა მე პუტინის კაცად მაცხადებს, თუმცა ამას არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, – აღნიშნავს ივანიშვილი. – ხალხს ვერ მოატყუებ, თუნდაც რეჟიმი შპიონობდეს, ხალხს აკონტროლებდეს და შიშს უჩენდეს. ახლა ამერიკელებიც და მთლიანად ევროპაც დარწმუნდა, რომ ჩემი ნდობა შეიძლება და ჩვენთან კონტაქტებს ამყარებენ“.

დარბაზში აღმოჩნდა კიევიდან მოულოდნელად ჩამოსული ანდრეი შევჩენკოც, კახას მეგობარი, – გვიამბობს ჟურნალისტი. – კალაძის გამოსვლამ და მასზე ხალხის რეაქციამ შევჩენკოს ათქმევინა: „ერთი სიტყვაც არ გამიგია, რას ამბობდა კახი, მაგრამ იმას მივხვდი, რომ გულით ლაპარაკობდა“.

Corriere della Sera

REUTERS _ `qarTuli ocnebis~ prezentacia

საინფორმაციო სააგენტო **Reuters** აქვეყნებს წერილს საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნების“ პრეზენტაციის შესახებ. „ქართველი ბიზნესმენი ოპოზიციურ მოძრაობას ქმნის“ – ასეა დასათაურებული წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ მილიარდერისა და ოპოზიციონერი პოლიტიკოსის საჯარო შეკრებაზე დასასწრებად რამდენიმე ათასი კაცი მივიდა.

„ივანიშვილმა, რომლის ქონებას ჟურნალი **Forbes** 5,5 მილიარდ დოლარად აფასებს, პირველი განცხადება თავისი პოლიტიკური ამბიციების შესახებ ოქტომბერში გააკეთა და „ვარდების რევოლუციის“ პროდასავლურ ლიდერ სააკაშვილს გადადგომისკენ მოუწოდა“, – წერს ღეუტერს. წერილის ავტორმა ბიზნესმენის გამოსვლას მიაპყრო დიდი ყურადღება და ივანიშვილის რამდენიმე ციტატა მოიყვანა.

55 წლის ბიზნესმენის თქმით, ხელისუფლებამ სრულად ამოწურა საკუთარი თავი და საზოგადოებისა და სახელმწიფოს განვითარების გზაზე მთავარ დაბრკოლებად იქცა. გარდა ამისა, მან აღნიშნა, რომ დადგა გამოღვიძებისა და ქართული ოცნების ახდენის დრო“, – ვკითხულობთ სტატიაში.

Reuters-ის აზრით, 43 წლის მიხეილ სააკაშვილი, რომელიც ხელისუფლებაში ქუჩის დემონსტრაციების შედეგად მოვიდა, პრეზიდენტობის პირველივე დღიდან მისი ხელისუფლების წინააღმდეგ გამართულ სახალხო გამოსვლებს ახშობს.

ოპონენტები მას კავკასიურ ქვეყანაში თავისუფლების შეზღუდვას სდებენ ბრალად, წერს **Reuters.**

წერილის ავტორს მოჰყავს ანალიტიკოსთა შეფასებები. მათი აზრით, ივანიშვილი რეალურ საფრთხეს წარმოადგენს ხელისუფლებისთვის – როგორც თავისი ფინანსური რესურსით, აგრეთვე იმით, რომ მისი წარსული რეპუტაცია პოლიტიკური მაქინაციებისგან სრულიად სუფთაა.

Reuters

ახლანდელი ვითარება 1929 წლისას ჰგავს: ფინანსური ბაზრები მთელი მსოფლიოს ყურადღების ცენტრშია მოქცეული, ხოლო პლანეტის სხვა წერტილებში ომის საფრთხე იზრდება, ამჯერად – ახლო აღმოსავლეთში. ირანის ბირთვულ გეგმებს ადეკვატური საპასუხო ზომები სჭირდება, წერს Die Welt-ის მიმომხილველი.

„ისტორია არ მეორდება. თუმცა გაკვეთილები, რომლებსაც იგი გვთავაზობს, გასათვალისწინებელია. ეს ეხება გაკვეთილს იმის შესახებაც, რომ მასშტაბური ეკონომიკური და სავალუტო კრიზისები ომის ალბათობას ზრდის“. რამ დაუდო სათავე მეორე მსოფლიო ომს? კითხულობს პუბლიკაციის ავტორი. მისი ვარაუდით, ამ კითხვაზე პასუხის ძიებისას უნდა გავიხსენოთ ეგრეთ წოდებული „შავი პარასკევი“, როცა მსოფლიო ბირჟების 1929 წლის კრახს პროტექციონიზმის აყვავება, მსოფლიო ეკონომიკის დეგრადაცია, სახელმწიფო კრიზისები და საბოლოო შედეგით – არსებული მსოფლიო წესრიგის რღვევა მოჰყვა.

krizisi da iranis omis safrTxe

დღესდღეობით, საეჭვოც აღარ არის, რომ ფინანსური კრიზისი 1929 წლის მსგავს ფორმებს იძენს. ევროპელები გამალებით ბჭობენ ევროპული ვალუტის გადარჩენის მექანიზმებზე, ამერიკის შეერთებული შტატები კი, „ცივი ომის“ ეპოქისგან განსხვავებით, უძლურია სათავეში ჩაუდგეს ახალი მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბების პროცესს. მსოფლიო წესრიგის გარეშე მსოფლიო ვერ იქნება უსაფრთხო იმ მოვლენების გათვალისწინებით, რომლებიც ვითარდება ახლო აღმოსავლეთში: ავღანეთიდან მოყოლებული ლიბიის ჩათვლით, რევოლუციურად განწყობილი ახალგაზრდობისა და რელიგიური ბრძოლის ფონზე; და რაც ყველაზე შემაშფოთებელია: ეს არის ირანის მისწრაფება, გახდეს ბირთვული იარაღის მფლობელი, აგრეთვე ამ იარაღის მფლობელი სახელმწიფოს – პაკისტანის პოლიტიკის ორმაგი სტანდარტების სტრატეგია. რაც შეეხება რეალურ საფრთხეს – ეს არის ირანი, რომელსაც დიდი პოტენცია გააჩნია, გახდეს ბირთვული იარაღის მქონე სახელმწიფო; 2002 წლის ერაყისგან განსხვავებით, ლაპარაკია არა რაღაც ფანტომზე, არამედ საიდუმლო პროგრამის სისტემატურ რეალიზაციაზე.

უკვე გამოკვეთილია, თუ რა პოზიციას დაიკავებს ამ საკითხთან დაკავშირებით ისრაელის სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობა. 1981 წლის ისრაელის დოქტრინა ღაღადებს: სახელმწიფო არ დაუშვებს, რომელიმე მტრულად განწყობილმა სახელმწიფომ, გნებავთ უშუალოდ მეზობელმა ან არამეზობელმა, ხელში ჩაიგდოს მასობრივი განადგურების იარაღი და ებრაულ ერს ახალი ჰოლოკოსტით დაემუქროს. მიმომხილველის აზრით, დრო პრაქტიკულად ყელში გვიჭერს – ისრაელი არ მალავს, რომ მზად არის პრევენციული დარტყმისთვის. მხოლოდ ყველაზე მკაცრი და გადაუდებელი სანქციებით არის შესაძლებელი არმაგედონის თავიდან აცილება. მისი შედეგები – ნავთობის კრიზისი, ტერორიზმი და ომები ყველას შეეხება.

Die Welt

ინტერნეტმიმოხილვა მოამზადა
გულბაათ ჭავჭავაძემ.

facebook xalxis azriT

Facebook Facebook Facebook Facebook Facebook Facebook Facebook Facebook Facebook Facebook Facebook Facebook

დღეს კი შემიძლია გითხრათ რომ ბიძინა ივანიშვილი არის არა მხოლოდ ბიზნესმენი არამედ უკვე საკმაოდ ჩამოყალიბებული პოლიტიკოსი. გაიმარჯვებს თუ არა ქართული ოცნება? გაიმარჯვებს ქართველი ხალხის ქართული ოცნება და ამაში უვკე დარწმუნებული ვარ – იქნება ბევრი წინააღმდეგობა მაგრამ არა იმ ძალის რომ მან შეაფერხოს რომელიმე მოძრაობა. ამერიკის ელჩის გამოსვლა 10 დეკემბერს იყო გზავნილი 11 დეკემბრის ღონისძიების უსაფრთხოების — ანუ მოკლედ რომ გითხრათ მან უთხრა "მაღალს": ხელი არ წაგიცდეს ....

ქართული ოცნების ახდენა დაიწყო!!! უნდა დამთავრდეს ჩვენს საყვარელ სამშობლოში ცილისწამება და ხალხის მოტყუება!!!!! რადგან ჩვენ ფაცებოოკ-ში ვმოღვაწეობთ, აქედან დავიწყოთ ტყუილთან, დაჩაგვრასთან და უბრალოდ უმადურებასთან ბრძოლა! ყველამ ვიცით ამ ხელისუფლების მეთოდები და ერთერთი მაგათი ხაფანგი გვერდი "გავიცნოთ ბიძინა ივანიშვილი" აუცილებელია ყველანი გავემიჯნოთ და დავგმოთ მაგათი უზნეობა! ჩემს 57 მეგობარს აქვს "ლიკე" ამ გვერდის! რამოდენიმე წუთის უკან მე ეგ გვერდი დავტოვე იმიტომ, რომ სიცრუეს და ზიზღს ნამდვილად ვერ გავამარჯვებინებ! ყველანი ქართული რეალობისკენ! უფალი გფარავდეთ თქვენ და საქართველოს!

წარმატებებს ვუსურვებ ამ ადამიანს, რომლის შესახებ მე ჩემი ცხოვრების მანძილზე მხოლოდ კარგი მსმენია...უბრალოდ ძალიან ძნელია რეგიონებში ხმის მიწვდენა ხალხზე სადაც ბევრს ინტერნეტთან წვდომა არ აქვს. აქ მხოლოდ რუთავი 2 და იმედია გაბატონებული სადაც ჩვენი მთავრობის წარმატებებზეა საუბარი...ჩემი აზრით აუცილებელია და რამდენად შესაძლებელია ეგ უკვე მე არ ვიცი შეიქმნას ტელევიზია, რომელიც ხალხს გამოაღვიძებს, თორე რუსთავი 2 ვარდისფერ ფერებში გვაჩვენებს ცხოვრებას და ბატონი ბიძინა უკვე პუტინის და შევარდნაძის მეგობრად აქციეს და გვაფრთხილებენ შევარდნაძის წარსულში დაგაბრუნებთო...აუცილებელია სატელევიზიო პროპაგანდა რადგან პტექნოლოგიები ჩვენ მთავრობას ძალიან კარგად აქვს შესწავლილი

ამ ეტაპზე ბევრად უფრო მნიშვნელოვანია მოქალაქეთა მზადყოფნა ცვლილებების მიმართ, შიშის დაძლევა და ხელჩაკიდებული სვლა სამართლიანი საქართველოს მიმართულებით. ამ ადამიანის წარმატება დამოკიდებული ცვლადია. ყოველი ჩვენთაგანის ჩართულობა განსაზღვრავს ჩვენი ქვეყნის მომავალს. საკმარისი არაა უბრალოდ აზრის გამოხატვა, საკმარისი ალბათ არც არაფერი არარის სანამ მიზანი არარის მიუღწეველი, მაგრამ ჩვენი თანადგომა და საჭირო დროს საჭირო ადგილას ყოფნა იმ ადამინების ვალდებულებაა, რომელებსაც დემოკრატიულ და სამართლებრივ საქართველოში

მადლობა მინდა გადაგიხადოთ ჩემი ოჯახის,ახლობლების,მეზობლების სახელით ასეთი ლამაზი და მაგარი შვილების გაზრდისათვის.ბერას პატარა,მართალ გულში თქვენი და თქვენი არაჩვეულებრივი, მშვენიერი მეუღლის მიერ ჩადებული სამშობლოს სიყვარულის მარცვალი ღვივის და ამისათვის დაგლოცოთ უფალმა მადლობა იმ იზარმაზარი მსხვერპლისათვის, რაც გაიღეთ და იდილია დაირღვიეთ სამშობლოს სიყვარულის გამო. ამას ისტორია დააფასებს...

ცხოვრება სურს.....მე მხარს ვუჭერ "ქართული ოცნება"-სთავრობას ძალიან კარგად აქვს შესწავლილი

რამდენადც მე მახსოვს - არც ერთ კანდიდატს ან პარლამენტარს ან უბრალო პოლიტიკოსს ან სახელმწიფო მოხელეს... არ მიუმართავს საკუთარი ხალხისა და ერისათვის, არ უთქვამს ამდენი სიმართლე და არ გამოუმჟღავნებია ასეთი სიყვარული, ტკივილი... არ მიუცია ამხელა ნუგეში ..... მე მგონი ეს ადამიანი წრფელია...

`iverielebi~ `qarTul ocnebas~ uerTdebian

ბიზნესმენი ბიძინა ივანიშვილი ახალგაზრდული ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეხვდა. მათ შორის იყო მოძრაობა „ივერიელების" ხელმძღვანელი ლევან კოჭლოშვილიც, რომელიც ძალზე კმაყოფილია ამ შეხვედრით და აცხადებს, რომ აუცილებლად ითანამშრომლებს საზოგადოებრივ მოძრაობა „ქართულ ოცნებასთან".

ლევან კოჭლოშვილი: „ეს იყო გაცნობითი სახის შეხვედრა, რომელსაც უამრავი ახალგაზრდა ესწრებოდა.

თავიდან ბატონმა ბიძინამ ისაუბრა, გაგვაცნო თავისი ხედვები ახალგაზრდებთან მიმართებაში და ჩვენი აზრიც მოისმინა საქართველოს მომავალთან დაკავშირებით. მან განგვიმარტა, რომ ის ქართული ოცნება, რომელზეც თვითონ და მის გვერდით შეკრებილი საზოგადოება ფიქრობს, ჩვენი ასაშენებელია. შემდეგ შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა. იქ ჩემთვის უცნობი ბევრი ახალგაზრდა სახე ვნახე, რომლებმაც კარგი შთაბეჭდილება დატოვეს. ძალზე სწორი ხედვები ჰქონდათ და კითხვებიც სწორად ჰქონდათ შერჩეული და ჩამოყალიბებული.

ამ შეხვედრას ესწრებოდნენ თავის დროზე ერთმანეთთან დაპირისპირებული ახალგაზრდული მხარეებიც, რომლებიც ასე თუ ისე მივიდნენ იმ გადაწყვეტილებამდე, რომ ერთსულოვნებაა საჭირო. ღიად გაკეთდა მოწოდება, რომ ერთიანობაა საჭირო, რაზეც შეთანხმება მიღწეული იქნა. ერთსულოვნება ახალგაზრდებში ნამდვილად არის, უბრალოდ, ისაა სამწუხარო, რომ აქამდე ვერ მოვახერხეთ გაერთიანება და სააკაშვილის რეჟიმთან ბრძოლის მაგიერ ერთმანეთს ვებრძოდით.

— რა კითხვები დასვით და თუ მიიღეთ სასურველი პასუხი?

— კითხვები ბევრი იყო და ბატონმა ბიძინამ სრულფასოვანი და შეძლებისდაგვარად ამომწურავი პასუხი გასცა. დროის სიმცირე მეტი დაკონკრეტების საშუალებას არ იძლეოდა. როგორც გითხარით, ეს მაინც გაცნობითი სახის შეხვედრა იყო. მე სამი კითხვა დავსვი. ერთი პოლიტპატიმრებს შეეხებოდა. ვთქვი, რომ ჩემი ბევრი მეგობარიცაა პატიმარი. დღეს უამრავი ახალგაზრდა თუ არაახალგაზრდაა პოლიტპატიმრის სტატუსით ამ სისხლიანი რეჟიმის ტყვეობაში. ბატონ ბიძინას ისიც ვუთხარი, რომ იმ შეხვედრაზე მსხდომებიც პოტენციური პოლიტპატიმრის სტატუსის მატარებლები ვიყავით და არ იყო გამორიცხული, რომ გამოსვლისთანავე დავეჭირეთ. მან განაცხადა, რომ მარტო პოლიტპატიმრებზე კი არა, უკანონო პატიმრებზეც აქვს ნაფიქრი. შექმნილი ყოფილა ფონდი, რომელიც ცდილობს ყველა კატეგორიის პატიმრს დაეხმაროს.

ეს საკითხი მეტად აღარ დაუკონკრეტებია, თუმცა ეს პასუხიც მისაღები იყო ჩვენთვის. ძალზე მესიამოვნა, როცა პოლიტპატიმრებთან ერთად უკანონო პატიმრებიც ახსენა. საუბარი იყო იმაზეც, რომ დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლო ჰაერივით გვჭირდება, რათა უკანონობის თარეში ერთხელ და სამუდამოდ დამთავრდეს საქართველოში.

ჩვენმა ორგანიზაციამ თავის დროზე გამოკითხვები ჩაატარა ქუთაისის, თელავის და თბილისის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებში. სხვათა შორის ოცამდე უნივერსიტეტის სტუდენტია ჩვენს ორგანიზაციაში გაწევრიანებული და ერომანეთის უფლებებს იცავენ. მე ბატონ ბიძინას ამ გამოკითხვის შედეგები გავაცანი და ავუხსენი, რომ დღეს არსებულ მძიმე სოციალურ პირობებში, სტუდენტობის უპირველესი პრობლემაა სწავლის გადასახადი, რომელიც საშუალოდ 2.000 ლარამდეა. მათ ძალზე უჭირთ ამ გადასახადის გადახდა. მაინტერესებდა, როგორი იყო მისი ხედვა ამ საკითხთან დაკავშირებით. მან მიპასუხა, რომ ახალგაზრდობის განათლება ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია მომავალი საქართველოს მშენებლობაში. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ეს სოციალური პრობლემა სუბსიდიის თუ სხვა სახით მოგვარებული იქნება.

იქ კითხვა დაისვა მედიასაშუალებებთან დაკავშირებითაც. ახალგაზრდების ინიციატივა იყო, რომ შესაძლებელია ინტერნეტტელევიზია გაკეთდეს. მათ პროექტიც გამზადებული ჰქონდათ. იქ ერთმა ახალგაზრდამ სოფლის მეურნეობის განვითარებაზეც ისაუბრა. მოგეხსენებათ ჩვენი პროდუქცია არაკონკურენტუნარიან გარემოშია ჩაყენებული საეჭვო ხარისხის იმპორტთან მიმართებაში. ეს განცხადება ძალზე მოეწონა ბატონ ბიძინას და აღნიშნა, რომ ამ თემაზე დიდი ხანია მუშაობს. სოფლის მეურნეობის ღორძინებასთან დაკავშირებით არაერთხელ გამიკეთებია განცხადება და ჩემს პირველ წერილშივეც ვისაუბრეო. მისი საუბრიდან გამოვიტანე დასკვნა, რომ ეს დარგი მისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტულია და მისი მხრიდან დიდი ყურადღება მიექცევა სოფლის მეურნეობის განვითარებას. მან ამ ახალგაზრდას შესთავაზა, რომ მეორე დღიდანვე შეეძლო მათთან ემუშავა.

— თქვენი მესამე კითხვა რა თემას შეეხებოდა?

— ყველა განვითარებულ ქვეყანაში და მათ შორის რუსეთშიც არსებობს პოლიტიკური ინსტიტუტები. იმ შეხვედრაზეც ვთქვი და გავიმეორებ, რომ საქართველოში არ არსებობს პოლიტიკური განათლების მიღების საშუალება. შეიძლება ეს ვიღაცას ეწყინოს კიდეც, მაგრამ რეალობას ვერ გავექცევით. შეხვედრაზე მყოფი ახალგაზრდები ნაციონალური რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლები ვართ და არ არის გამორიცხული, ხვალ-ზეგ რომელიმე ჩვენთაგანი მომავალი მთავრობის წევრი გახდეს. არადა — ჩვენ არანაირი პოლიტიკური განათლება არ გვაქვს. ეს განათლება ძირითადად ზოგიერთი ოპოზიციონერის ქმედების ანალიზით შემოიფარგლება, რომ ვიღაცამ სადღაც გაერთიანება არ მოინდომა, ვიღაცამ სხვებს ჭორები გაუვრცელა, ვიღაცამ ფული აიღო, ხოლო სხვამ ხალხი მიატოვა და ბუჩქებში დაიმალა.

სწორედ პოლიტიკური უცოდინარობის, არასწორი პოლიტიკის წარმოების შედეგია სააკაშვილის რეჟიმის მოშორება რომ ვერ შევძელით, რუსეთთან დიპლომატიური ურთიერობა რომ გვაქვს გაწყვეტილი და ა.შ. აქედან გამომდინარე ვთქვი, რომ საჭიროა პოლიტიკური სკოლის გახსნა და მაინტერესებდა, რას ფიქრობდა ამ საკითხზე ბატონი ბიძინა. მან ეს კარგ კითხვად ჩათვალა და აღნიშნა, რომ მართლაც არ გვეძლევა სრულფასოვანი დიპლომატიური განათლების მიღების საშუალება და შესაძლებელია პირველ ეტაპზე ჯავახიშვილის უნივერსიტეტის დონეზე გაკეთდეს შესაბამისი ფაკულტეტი. ახლა მართალია არის რაღაც სოციალურ-პოლიტიკური და სახელმწიფო მართვის ფაკულტეტები, მაგრამ ესეც ცარიელი სახელია.

ეს შეხვედრა სამ საათს გაგრძელდა. უამრავი კითხვა დაისვა და ცხადია, ყველას ვერ გაეცემოდა სიღრმისეული პასუხი. ეს ოყო მოსაზრების დონეზე ხედვების დაფიქსირება, მაგრამ ყველა იქ დამსწრის და თავად ბიძინა ივანიშვილის საუბარშიც ამოიკითხებოდა, რომ დღეს არსებული მდგომარეობით დავიღალეთ და აუცილებლად უნდა შევცვალოთ. ამისთვის ყველა მზად არის და ჩვენთვის მისაღებია ბატონი ბიძინას მიერ შემოთავაზებული ცვლილების ფორმაც. რა თქმა უნდა, არჩევნების გზით ხელისუფლების შეცვლა უკეთესია. არავის სიამოვნებს ქუჩის აქცია, ხელკეტით ცემა და ე.წ. კაპეზეში ნესტსა და ანტისანიტარიაში ყურყუტი, მაგრამ თუ საჭირო გახდა, არც ამაზე დავიხევთ უკან.

მანანა სუხიშვილი

`Tanamemamulis statusi~ politikuri blefia

„საერთო გაზეთის“ სტუმარია საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ДИМИТРИ ლორთქიფანიძე.

— ბატონო დიმიტრი, ახლახან დიასპორას საკითხებში საქართველოს სახელმწიფო სამინისტრომ პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის სხდომაზე წარადგინა კანონპროექტი „უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეებისა და დიასპორული ორგანიზაციების“ შესახებ. განგვიმარტეთ, რას ითვალისწინებს ეს კანონი?

— მთელი არსი ამ კანონისა იმაშია, რომ იგი გარდამავალი ეტაპი უნდა იყოს იმ მნიშვნელოვანი საკანონმდებლო აქტისა, რომელსაც საქართველოს ორმაგი მოქალაქეობის შესახებ ორგანული კანონი ჰქვია, თავისთავად ორმაგი მოქალაქეობის შესახებ კანონში უნდა აისახოს, რომ თუ შენ ხარ დაბადებით ქართველი, გიცხოვრია შენს ქვეყანაში გარკვეული დროის განმავლობაში, შემდეგ გარკვეული მიზეზების გამო დატოვე სამშობლო, მოგიხდა სხვა ქვეყანაში ცხოვრება და, იმ ქვეყნის კანონმდებლობიდან გამომდინარე, პრიორიტეტს ანიჭებ სხვა ქვეყნის მოქალაქეობას, მაგრამ დადგა დრო და შენ სამშობლოსთან გინდა კავშირი აღადგინო და ეს დაასაბუთო იურიდიულად. რამდენიმე ხნის წინ ბრიუსელში ჩატარებულ კონფერენციაზე შეხვედრები მქონდა ჩვენი დიასპორის წარმომადგენლებთან, რომლებიც ჩამოვიდნენ რუსეთიდან, იტალიიდან, საბერძნეთიდან, ბელგიიდან. სტატისტიკურად ყველაზე ბევრი ქართველი რუსეთის ფედერაციაში ცხოვრობს, სწორედ მათ ექმნებათ ყველაზე მეტი პრობლემა ამ მიმართებაში. მოქალაქეობაზე აღარ არის ლაპარაკი, მათ ხშირად გამშვებ პუნქტებზე ვიზას არ უფორმებენ და არცთუ იშვიათად, უკან აბრუნებენ. გვარწმუნებენ, რომ არსებობს სპეციალური შავი სიები, რომლებიც მოწმდება საზღვარზე და ამ მოქალაქეებს არ უშვებენ საქართველოს ტერიტორიაზე. სახელისუფლებო წრეების წარმომადგენლებმა შეიძლება თავი იმართლონ, რომ აქვთ გარკვეული მოსაზრებები ქვეყნის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, მაგრამ მათი მოსაზრებები არ უნდა ლახავდეს ჩვენი თანამემამულეების უფლებებს. მე ვერ გეტყვით, ხელისუფლების წარმომადგენლები როგორ ადგენენ არასასურველ პირთა სიას, ადვილი წარმოსადგენია, რომ მათ შორის იქნებიან ისეთები, ვისაც თავიანთი ინტელექტიდან, მსოფლმხედველობიდან, მამულიშვილური გრძნობებიდან გამომდინარე, შეიძლება ხელისუფლებას შეუქმნან პრობლემები იმ პროექტების განხორციელებისათვის ქვეყანაში, რომელსაც პრეზიდენტმა „სოციალურ რეფორმათა ლაბორატორია“ უწოდა. ამ ლაბორატორიაში მყოფნი, ანუ ქართველები, საცდელ ვირთხებად ვიქეცით, ქვეყანა კი ნადგურდება. „კატასტროფულია მოქალაქეთა გადინების სურათი. პარლამენტის ვიცე-სპიკერის მიერ გამოქვეყნებული მონაცემებით, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროდანაა გამოთ-

ხოვილი, 2010 წელს 160 000 ელექტორალური ასაკის ადამიანმა დატოვა სამშობლო. ამ დროს ჩვენ ბატონი პრეზიდენტისგან ვიგებთ დასავლეთ საქართველოში ურბანული ცენტრის, სახელწოდებით „ლაზიკას“ აშენების გეგმების შესახებ, სადაც არანაკლებ 1 მილიონი ადამიანი იცხოვრებს; რომ ფოთისა და ბათუმის მუნიციპალიტეტები გაერთიანდებიან და იქ იცხოვრებს ნახევარი მილიონი მოქალაქე. სწორედ ეს არის ქვეყნის სინგაპურიზაციის პროექტი, რომელიც პირდაპირ უკავშირდება საქართველოს კონსტიტუციაში შეტანილ ბოლოდროინდელ ცვლილებებს, სადაც მიწაზე საკუთრების რეგულარიზაცია საქართველოს ინტერესების გათვალისწინებით არ არის ასახული. საქრთველოს მიწა არის ბაზარზე რეგულირებადი სუბიექტი, გაყიდვადია, როგორც შიდა ასევე საზღვრისპირა რეგიონებში. ამას არ დაუშვებდა არც ერთი თავმოყვარე ქვეყნის ხელისუფალი, ამას არ დაუშვებდა ჩვენი მეზობელი სომხეთის რესპუბლიკა, სადაც მოქალაქეობის არმქონე პირი ვერ ფლობს უფლებას შეიძინოს რაიმე დანიშნულების მიწა. ასევეა აზერბაიჯანშიც. რატომ გახდა საქართველო ასე ადვილად შესასყიდი მსოფლიოსთვის? საქართველოს პრეზიდენტი ფიქრობს გაუმჯობესოს დემოგრაფიული სურათი საქართველოში მკვიდრი მოსახლეობის შობადობის გაზრდის ფაქტორით კი არა, არამედ უცხო თვისტომთა ინექცირებით ქვეყნის ტერიტორიაზე. რამდენიმე თვის წინ პრეზიდენტს შეხვედრა ჰქონდა ნიგერიის პრეზიდენტთან, რომელიც, სხვათა შორის, არც ერთ მედიასაშუალებას არ გაუშუქებია, შედეგი კი ის იყო, რომ ქვეყნის ტერიტორიაზე აშკარად გამრავლდნენ ნიგერიის მოქალაქეები, რომლებიც ეტაპობრივად ღებულობენ საქართველოს მოქალაქეობას სხვადასხვა საფარველქვეშ. ქუთაისში გახსნილ ინდურ საწარმოს ინდოელები ჩამოჰყვნენ თან; მანამდე აქტიურად იყვნენ ჩართულნი კომერციულ საქმიანობაში ჩინეთის მოქალაქეები, რომელთაც საკუთარი მთავრობისგან წამახალისებელი პროგრამები ჰქონდათ. აამას წინათ **CNN**-მა საგანგებო სიუჟეტიც მიუძღვნა საქართველოს. როგორ აჩვენებს მსოფლიოს პრეზიდენტი დემოკრატიული პრინციპების განვითარების ფორმატში ინოვაციებს საქართველოს სოფლის მეურნეობაში. აღწერილი იყო კახეთის რეგიონი, სადაც 100 ჰექტარი მიწა გადაეცა ბურებს. „ბური“ ჰოლანდიური სიტყვაა და „გლეხს“ ნიშნავს. ჩვენც გვყავს გლეხები, რომლებიც პრაქტიკულად დეგრადირებულნი არიან. როცა ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა შესთავაზა საქართველოს მთავრობას 1 მილიარდი დოლარის ჩადება სოფლის მეურნეობის განვითარებაში, ამას წინ აღუდგა კახა ბენდუქიძე, რომელმაც განაცხადა, რომ ეს ინვესტიცია კორუფციის წყარო გახდებოდა. ამის ფონზე ჩამოჰყავთ ბურები, რომელთაც ევროკომისიისგან ფულად-საკრედიტო პოლიტიკა მოჰყვება. ბეს არ არის კორუფციის წყარო? ამ ამბავს წინ უძღოდა რეადმისიის შეთანხმება, რომელიც ევროკავშირის სამოქმედო გეგმის ნაწილი იყო და განხორციელდა კიდეც, მაგრამ ცოტამ თუ იცის, რომ

რეადმისია მხოლოდ ჩვენი მოქალაქეების დაბრუნებას არ გულისხმობდა, რომელთა დეპორტაციის ხარჯებს, ამ ხელშეკრულების თანახმად, საქართველო იღებს, არამედ ევროკავშირის ქვეყნების ხელისუფალთ არალეგალთა გამოვლენის სტიმული უჩნდებათ. რეადმისიისთვის განკუთვნილ ხარჯებს იღებს საქართველო თუ უცხოელებმა ტრანზიტულად საქართველოს გავლით დატოვეს ევროკავშირი. ამ სახის ლტოლვილთათვის უნდა განვითარდეს ინფრასტრუქტურა, აშენდეს ბანაკები. ფილტრაციის შემდეგ ბევრი, ალბათ, დარჩება საქართველოში და მოქალაქეობასაც მიიღებს. ამ დროს მოქალაქეობას ართმევენ ოჯახს, რომელმაც 20 წლის მანძილზე უამრავი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პროექტი დააფინანსა; ახლახან მოქალაქეობა ჩამოართვეს საქართველოს საპატიო კონსულს ამერიკაში ლაშა დარბაიძეს, რომელსაც განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღოდა აშშ ქართული ემიგრაციის ადაპტაციისათვის.

— კანონის მიღების წინ მთავრობამ განაცხადა, რომ დღის წესრიგში დადგა საქართველოს სახელმწიფოს მიერ მზრუნველობისა და პასუხისმგებლობის აღება უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებზე.

— 2006 წელს ივნისში საქართველოს პრეზიდენტი ათენს სტუმრობდა. ამ წელიწადს მარტო კახეთიდან 36 000 ქართველი ქალი — დედა, ბებია, და, ცოლი — ჩავიდა საბერძნეთში სამუშაოდ. ომონიას მოედანზე 150 000 ქართველის წინაშე სააკაშვილმა ღიად დადო პირობა, რომ იზრუნებდა მათთვის ორმაგი მოქალაქეობის მიცემაზე. ბრწყინვალე პიარი იყო ქართველი პრეზიდენტისათვის, სწორედ ასე უნდა მსჯელობდეს ქართველი ხელისუფალი. ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტში უამრავი წერილი მომდიოდა, მთხოვდნენ, გამეწია შუამდგომლობა იუსტიციის სამინისტროსთან, პრეზიდენტის წინაშე ორმაგი მოქალაქეობის მინიჭების თაობაზე. განსაკუთრებით დამამახსოვრდა საქართველოს დამსახურებული მხატვრის, მხატვრის სახლის დირექტორის, ღვაწლმოსილი პედაგოგის ვახტანგ გეგეშიძის მეუღლის მერი ბერძენიშვილის თხოვნა-წერილი. 70-წელს მიღწეული ქართველი ქალბატონი, რომელმაც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება გაატარა აქ, იშრომა, იღვაწა და ოჯახის სარჩენად გადახვეწილმა სთხოვა ხელისუფალს დააბრუნოს საქართველოს მოქალაქეობაში. მან უარი მიიღო ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე. აპასუხს არ იძლევიან, რადგან **ჩვენი ორგანული კანონი საქართველოს მოქალაქეობის შესახებ არ იცნობს ორმაგ მოქალაქეობას, არამედ იცნობს უცხო ქვეყნის მოქალაქის შემოყვანას, საგამონაკლისო წესით, საქართველოს მოქალაქეობაში**. ეს არ არის ორმაგი მოქალაქეობის სტანდარტული პრინციპი, მასში მზაკვრობაა ჩადებული. ერთ ადამიანს ხელეწიფება ათი ათასობით ადამიანის სამართლებრივი დაბრუნება სამშობლოში. ამავე დროს ეს ტერიტორია თავისუფლდება უცხო ტომელებისთვის, რომლებსაც მიეცემათ მიწა, ბიზნესსაქმიანობის უფლება, მოქალაქეობა, სამაგიეროდ, ეს იქნება ელექტორატი, რომელთანაც აღარ იქნება საჭირო არჩევნების ტოტალური გაყალბება.

— საზღვარგარეთ დიასპორული ორგანიზაციები ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებია, რა სახის სამართლებრივ ურთიერთობებზეა ლაპარაკი?

— დიასპორული ჯგუფები იურიდიულ-სამართლებრივი ფორმის მქონე ორგანიზაციაა. არალეგალურად მყოფთა ინტერესში არ შედის ამ კავშირში გაერთიანება, რადგან აქ უკვე რეადმისია ჩაერთვება და დამსმენი შეიძლება გახდეს ჩვენი საელჩო და საკონსულო. ამ კანონით ჩვენ მესიჯს ვუგზავნით ქართველებს გაერთიანდნენ საელჩო-საკონსულოების, დიასპორული ორგანიზაციების გარშემო, მიიღონ იურიდიულ-სამართლებრივი ფორმა, ან გახდნენ რეგისტრირებული კავშირის წევრი. ისინიც გაებმებიან მახეში, გახდებიან რეადმისიის მსხვერპლნი. გარდა ამისა, ეს გაერთიანებები საარჩევნო ელექტორატის მოპოვების კარგი საშუალებაა. ემიგრანტი ქართველები ხომ ძალზედ განიცდიან, როცა არ აქვთ საშუალება დააფიქსირონ თავიანთი საარჩევნო უფლება.

— მაინც რაში გამოიხატება „თანამემამულის სტატუსი“, რა უფლება-მოვალეობები ექნება ემიგრანტებს?

— ეს სტატუსი ფორმალურად არავითარ პრივილეგიას არ აძლევს. თუ არ არის საქართველოს მოქალაქე, ეს კანონი არ აძლევს უფლებას აპრიორი, რომ საქართველოს მოქალაქეობას მიიღებს, მაგალითად, ჩემს მეუღლეს ყველაზე ახალგაზრდა მრავალშვილიანი დედის სტატუსი მიანიჭეს, არც სოციალური შეღავათი, არც დახმარება. „თანამემამულის სტატუსი“ პოლიტიკური ბლეფია, რომ საქართველო ზრუნავს თავის მოქალაქეებზე. ქვეყნიდან გადახვეწილი ნებისმიერი ქართველისთვის შეღავათი ის იქნება, რომ დაუბრკოლებლად შემოვიდეს საქართველოს მოქალაქეობაში, თუ მას იმ ქვეყნის კანონმდებლობა აძლევს ამის უფლებას. ეს არის სტატუსი, რომელიც ადამიანს მხოლოდ მორალურ კმაყოფილებას ანიჭებს ყოველგვარი ფიზიკური, მატერიალური, კანონისმიერი უფლებების გარეშე, ქონების შეძენის უფლების გარეშე. საქართველოს კონსტიტუციით, მიწა არ გასხვისდება უცხოელ მოქალაქეზე, მაგრამ ეს არ ზღუდავს მას ფორმალურად დააფუძნოს აქ შპს და ამ გზით მიიღოს საკუთრების უფლება არასასოფლო და სასოფლო-სამეურნეო მიწაზე. 17 000 უცხოეთის მოქალაქე მხოლოდ ბათუმში დაეპატრონა მიწებს, მათ შორის თურქეთისა და სომხეთის მოქალაქეები. სინგაპურიზაციის პროექტი უკვე დაწყებულია, მთავრობა ყველაფერს ყიდის. გახსოვთ, რა თქვა კახა ბენდუქიძემ: ჩვენ გავყიდით ყველაფერს, სინდისის გარდა. სინდისს ვერ გაყიდიან, რადგან არ გააჩნიათ. დასკვნა ასეთია. დაბადებით, სულით, წარსულით, მენტალობით, ჟამთა სიავის თუ სხვა მიზეზთა გამო ქვეყნიდან გადახვეწილი ქართველების სტატუსი გათანაბრებულია უცხოელებთან. დღევანდელი კანონმდებლობა აბსოლუტურად ვერ უზრუნველყოფს, რომ საქართველო ჩვენი მკვიდრი მოსახლეობის მიწა-წყალია.

ნათია გოგიტიძე

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

adamians SeiZleba qarTuli pasporti CamoarTva, magram samSobloS ver CamoarTmev!

„ქართული ოცნება“ მალე ყველა ქალაქში და სოფელში დაფუძნდება და სრულიად საქართველოს მთავარი ღირებულებების დასაბრუნებლად ბრძოლაში გააერთიანებს. არ შეიძლება კახი კალაძეს არ დაეთანხმო – ადამიანს შეიძლება ქართული პასპორტი ჩამოართვა, მაგრამ სამშობლოს ვერ ჩამოართმევ. ბიძინა ივანიშვილს ხომ მხოლოდ სამშობლოს დაკარგვით განცდილმა ტკივილმა გადაწყვეტინა პოლიტიკაში მოსვლა და ქართველ ხალხთან ერთად ძლიერი, ერთიანი, გამთლიანებული საქართველოს შენება. „ქართული ოცნება“ დაიბადა. როგორ უყურებენ საზოგადოებრივი მოძრაობის დაფუძნებას, რა პერსპექტივები და მოლოდინები არსებობს ოცნების ხორცშესასხმელად, ამის შესახებ აზრი მოძრაობის დაფუძნებაზე შეკრებილ საზოგადოებას ვთხოვეთ:

ირაკლი ალასანია, „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი:

დღევანდელი დღით ძალიან კმაყოფილი ვარ. ჩემი აზრით, ეს მართლაც ახალი ეტაპია ქართულ პოლიტიკაში, საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მინდა ბიძინა ივანიშვილს, როგორც ამ მოძრაობის ხელმძღვანელსა და ლიდერს დიდი წარმატება ვუსურვო. ჩვენი, პოლიტიკური ძალების მხრიდან მაქსიმალური მხარდაჭერა იქნება. ვფიქრობ, „ქართული ოცნების“ დაფუძნებით საქართველოს თითოეულმა მოქალაქემ პასუხისმგებლობა ავიღეთ, რომ უკეთესი, სამართლიანი ქვეყანა გვექნება. დარწმუნებული ვარ მედიაც გამჭირვალე იქნება, სასამართლო დამოუკიდებელი და ბევრად უკეთესი ქვეყნის აღმშენებლობაში ყველანი ერთად მივიღებთ მონაწილეობას. უკვე დაწყებული გვაქვს მუშაობა სამუშაო ჯგუფებთან ერთად. ასე, რომ საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნების“ დაფუძნება, ვთვლი, რომ თითოეული მოქალაქისთვის ბედნიერი დღეა. სამოქალაქო მოძრაობა საფუძველი გახდება იმისა, რათა ყველა მოქალაქის კონსოლიდაცია მოხდეს. ყოველმა ჩვენგანმა 11 დეკემბერს ერთმანეთის წინაშე პასუხისმგებლობა ავიღეთ, რომ ვიქნებით მზად ქვეყანას და მის ინტერესებს ბოლომდე ვუერთგულოდ და გვერდში დავუდგეთ, ეს ძალიან კარგი დასაწყისია.

– ბატონო ირაკლი, თუ შეუერთდება ერთ სტრუქტურად ჩამოყალიბებული – ბიძინა ივანიშვილის, „თავისუფალი დემოკრატებისა“ და „რესპუბლიკელების“ ერთობა საზოგადოებრივ მოძრაობა „ქართულ ოცნებას“?

– „ქართული ოცნება“ იქნება საზოგადოებრივი მოძრაობა, რომელიც საქართველოში მცხოვრები ყველა მოქალაქის ოცნების ასახდენად დაფუძნდა. ბატონი ბიძინა, ალბათ შექმნის პარტიას და სამომავლოდ უკვე ჩამოყალიბდება მრავალპარტიული ალიანსი და მრავალპარტიული პარლამენტი.

დიმიტრი ლორთქიფანიძე, პარლამენტარი: ქართული იდეისადმი თანადგომის გამოსახატად მოვედი. ჩვენი ფრაქციის ნაწილი საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნების“ დაფუძნებაზე გახლდით. ჩვენი საპარლამენტო ფრაქცია ყოველთვის ამბობდა და დღესაც ვაცხადებთ, რომ მზად ვართ ნებისმიერ საზოგადოებრივ, პოლიტიკურ ორგანიზაციასთან ვითანამშრომლოთ, რომელიც ქვეყანაში რეალურ ცვლილებებს განახორციელებს. ამჟამად, ქვეყანაში დემოკრატიული პროცესი ჩიხშია შესული, დემოკრატია, როგორც პროცესი საერთოდ ვეღარ ვითარდება და საჭიროა ჩიხიდან დროული გამოსვლა. ამიტომ, ჩვენი ფრაქცია მოწოდებულია ითანამშრომლოს ყველასთან, ვინც ქვეყნის ამ ჩიხიდან

გამოსაყვანად მზად არის. ყველა ქართველს ვულოცავ ძალიან მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი მოძრაობის დაფუძნებას. „ქართული ოცნება“ დაიბადა. მან ხორცი უნდა შეასხას იმ იდეას, რასაც ქართული იდეა ჰქვია. მთელი საზოგადოება, ქართული პოლიტიკური სპექტრი ამ იდეის გარშემო უნდა გაერთიანდეს.

სოსო ცისკარიშვილი, პოლიტოლოგი: ყოველგვარი, უზარმაზარი ორგანიზაციული რესურსის გარეშე, ხელისუფლების მხრიდან ღია დაპირისპირების ფონზე „ქართული ოცნება“ დაიბადა. ახლა უკვე ხელისუფლების მხრიდან მისი გახედვნა შეუძლებელია. „ქართული ოცნება“ გაძლიერდება, საკუთარი

თავის გარშემო უფრო და უფრო მეტ თანამოაზრეს გაიჩენს, რისი საფუძველიც სწორედ ის გულწრფელობა, თავმდაბლობა და შინაარსობრივი დატვირთვა გახლავთ, რაც პრეზენტაციას ახლდა თან. ეს ღონისძიება 10-ათასკაციან სპორტის სასახლეში რომ ჩატარებულიყო, ალბათ მართლაც გულგახეთქილ ხელისუფლებას ვიხილავდით ამავე საღამოს. მათ საკუთარი სასიცოცხლო რესურსის შენარჩუნებისთვის იბრძოლეს, როდესაც „ქართული ოცნების“ დასაფუძნებლად შედარებით პატარა სივრცე გამოუყვეს ღონისძიების ორგანიზატორებს. საზოგადოების ყველა ფენის, რეგიონების მზაობა, ანუ ქვეყნის გვერდით საერთო ოცნების ასასრულებლად ერთიანი დგომა, რასაკვირველია უზარმაზარი ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა.

– როგორ შეაფასებთ, როგორც პოლიტოლოგი ბატონი ბიძინას გამოსვლას?

– ჩვენ მოვისმინეთ, რისი მოსმენის სურვილიც უკვე ორი დღეა დიდი მოლოდინით სუფევდა ქართულ საზოგადოებაში. ანუ მოვისმინეთ მისი კონკრეტული ხედვა, როგორც არსებული პოლიტიკური ვითარების, ასევე იმ შედეგებისა და მიზნების განმარტება, თუ საით უნდა წავიდეს ქვეყანა, რათა სიტუაცია რადიკალურად შეიცვალოს. რა საკვირველია, რაც თავის გამოსვლაში ბატონმა ბიძინამ ბრძანა ეს არის სტრატეგია, დარწმუნებული ვარ სამოქმედო გეგმის ჩამოყალიბებისას ეს სტრატეგია კიდევ უფრო დაიხვეწება, ამ საკითხების დასამუშავებლად მოზიდული იქნება უფრო ფართო ინტელექტუალური პოტენციალი, მაგრამ ერთი რამ ფაქტია – ყინული აშკარად დაიძრა.

– თქვენ ბრძანეთ, „ქართული ოცნება“ დაიბადაო. რამდენად თანხვედრაშია? იგი თქვენი, თითოეული ქართველის ქართულ ოცნებასთან?

– ყველა გამომსვლელის სიტყვაში მარგალიტების კრიალოსანი იყო, რომელთა ამოკრება ერთად, ქართული ოცნების დეფინიციას წარმოშობს. ჩემთვის გაჩნდა იმედი იმისა, რომ შეიძლება საქართველოს მოსახლეობის უმეტესობა ეროვნული თანხმობის დიდი მოძრაობის თანამონაწილე გახდეს, რისი შედეგიც საუკუნოვანი ქართული ოცნების ახდენა იქნება.

ნონა გაფრინდაშვილი, „სახალხო კრების“ თავმჯდომარე:

– ქალბატონო ნონა, ცოტა ხნით ადრე, თქვენ თავად იყავით ერთ-ერთი მონაწილე სახალხო მოძრაობის დაფუძნების, თუმცა, სამწუხაროდ შედეგმა არ გაამართლა. რამდენად იმედიანად უყურებთ „ქართული ოცნების“ დაფუძნებას და როგორ შეაფასებთ ივანიშვილის მესიჯებს ქართული საზოგადოებისადმი?

– ეს მესიჯები ჩემთან ძალიან ახლოსაა იმიტომ, რომ „სახალხო კრება“ როცა შეიქმნა, ჩვენც სწორედ ანალოგიური მესიჯები გვქონდა. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ როცა ბატონი ბიძინა პოლიტიკაში მოვიდა, პირდაპირ განაცხადა – ხელისუფლებაში არჩევნების გზით მოვალო. ანუ განსხვავება ისაა, რომ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლამდე არჩევნების გზით ხელისუფლების შეცვლის შანსი არ არსებობდა.

– რატომ, რა უშლიდა ამას ხელს?

– ეს შანსი არ არსებობდა იმიტომ, რომ სახელისუფლებო, ძალოვანი სტრუქტურები ყოველთვის ჩართულნი არიან არჩევნების შედეგების გაყალბებაში. ჩვენ მხოლოდ დემოკრატიული არჩევნებისთვის ვიბრძოდით და სხვა არაფრისთვის. ივანიშვილი იმდენად მძიმე წონაა, იმდენად აღიარებული პიროვნებაა და იმდენი სასიკეთო საქმე აქვს გაკეთებული საკუთარი ქვეყნისთვის, მას საზოგადოების მხრიდან უზარმაზარი ნდობა აქვს.

– ქალბატონო ნონა, „ქართული ოცნების“ დაფუძნებაზე „სახალხო კრების“ სახელით მოხვდით?

– არ ვარ მოწვეული, როგორც „სახალხო კრების“ თავმჯდომარე, არამედ აქ ვიმყოფები როგორც ნონა გაფრინდაშვილი. თუმცა, ჩვენი აღმასრულებელი საბჭოს ყველა წევრი ბატონი ბიძინას პოლიტიკაში მოსვლას მიესალმა და თანადგომის სურვილი გამოთქვეს ამ საქმეში.

– ნინო ბურჯანაძე არ დამინახავს, არ იყო იგი მოწვეული „ქართული ოცნების“ პრეზენტაციაზე?

– ქალბატონი ნინო მართალია აღმასრულებელი საბჭოს წევრია, მაგრამ ამასთანავე იგი პოლიტიკოსია, აქ კი პოლიტიკოსები არ იყვნენ მოწვეულნი.

– „რესპუბლიკელები“, „თავისუფალი დემოკრატები“ იყვნენ. სხვა პოლიტიკური გუნდის წარმომადგენლებიც შევნიშნე.

–„რესპუბლიკელები“ ბიძინა ივანიშვილის გუნდში არიან და ამიტომაც ესწრებოდნენ პრეზენტაციას.

ვიქტორ დოლიძე: „თავისუფალი დემოკრატების“ ერთ-ერთი ლიდერი:

– „ქართული ოცნების“ დაფუძნებით ჩემთვის მოულოდნელი არაფერი მომხდარა გამომდინარე იქედან, რომ ზუსტად ანალოგიური საკითხები უკვე განხილული გვაქვს, როგორც ბატონ ბიძინასთან, ასევე პარტნიორ, პარტიასთან. აქედან გამომდინარე, სამუშაო ჯგუფები უკვე ჩამოყალიბებულია. ვმუშაობთ – უსაფრთხოების, ევროატლანტიკური ინტეგრაციის, სოფლის მეურნეობის, ეკონომიკური, ჯანდაცვისა და სოციალური საკითხების პრობლემების მოგვარების კუთხით. ბუნებრივია, ამ მხრივ მუშაობა პერმანენტულად გრძელდება, რის შესახებაც ინფორმაცია მიეწოდა სრულიად საქართველოს. უახლოეს პერიოდში მოსახლეობას საშუალება ექნება პროგრამულ ვარიანტებს გაეცნოს. და რაც ყველაზე მთავარია „ქართული ოცნების“ დაფუძნებისას ყველა გამომსვლელმა ისაუბრა პიროვნების თავისუფლებაზე. ეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია, რადგან იდეოლოგიურად სწორედ პიროვნების თავისუფლების უფლების დაცვაზე ვართ დაფუძნებული. დამერწმუნეთ, პიროვნების თავისუფლების უფლებაზე დაფუძნებული სახელმწიფო, ყოველთვის, უფრო კეთილსინდისიერად, დემოკრატიულად, პრაგმატულად აშენდება, ვიდრე ეს საკაშვილის ხელისუფლების პირობებშია.

– თუ არის ცნობილი კონკრეტულად რა ფორმას მიიღებს „ქართული ოცნება“, ვინ და რა ფორმით შეიძლება მასში გაწევრიანდეს?

– რამდენადაც ვიცი „ქართულ ოცნებაში“ სხვადასხვა სეგმენტის საკმაოდ ბევრი ადამიანია გაწევრიანებული, ანუ „ქართული ოცნება“ – ეს არის საზოგადოებრივი მოძრაობა და, ბუნებრივია ამ მოძრაობის ჩამოყალიბების პირობებში პოლიტიკოსებს უფრო მეტი საშუალება აქვთ ხალხის თანამონაწილეობით, სახელმწიფო განვითარებასთან დაკავშირებით სამომავლო

ხედვა ააგონ. ამიტომ ამგვარი მოძრაობის დაფუძნება, არსებობა, აქტივობა, ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყნისთვის. სწორედ ამიტომ გადაწყვიტა ბატონმა ბიძინამ „ქართული ოცნების“ დაფუძნება. ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ ხალხის, საზოგადოების თანამონაწილეობით ვაპირებთ სამომავლო პოლიტიკურ განვითარებას. გარდა ამისა, რა თქმა უნდა ასევე ვფიქრობთ პარ-

→

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

ტიულ, სტრუქტურულ განვითარებაზე როგორც რეგიონებში, ასევე დედაქალაქის ყველა რაიონში. ამ კუთხით მუშაობა დიდი ხნის დაწყებულია. ბოლო პერიოდში „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერმა ირაკლი ალასანიამ 200 სოფელზე მეტი მოიარა. ზუსტად, ამგვარი ძალისხმევით ვაპირებთ მუშაობის გაგრძელებას.

— როგორ აპირებთ „ქართული ოცნების“ მიწვდენას რეგიონებში?

— „ქართული ოცნების“ დაფუძნება ტექნიკური სახის შეხვედრა არ გახლდათ. ამჯერად გზავნილი მიეწოდა ქვეყნის მოსახლეობას, თუ რას, როგორ ვაპირებთ და რას დაეფუძნება ეს ყველაფერი. რაც შეეხება დანარჩენს, ეს უკვე ტექნიკური მხარეა. ერთი რამ ნათლად შემიძლია ვთქვა — უახლოეს მომავალში „ქართული ოცნება“ ყველა ქალაქსა და სოფელში იარსებებს, ამაზე ორი აზრი არ არსებობს.

— რაც შეეხება ბატონი ბიძინას გამოსვლას, რამდენად გაამართლა თქვენი მოლოდინები მისმა გზავნილებმა?

— ვფიქრობ, მან მოკლედ, კონკრეტულად და ლაკონურად ყველა საკითხზე გაამახვილა ყურადღება, დაწყებული პიროვნების თავისუფლებიდან დამთავრებული ევროატლანტიკურ ინტეგრაციამდე. ეს ძალიან მნიშვნელოვანი გზავნილია — ქვეყანამ იცოდეს თუ საით მივდივართ.

— „ქართული ოცნება“ როგორც ითქვა საქართველოში მცხოვრები თითოეული მოქალაქისაა. პრეზენტაციის დაფუძნებას საკმაოდ ბევრი მოქალაქე ადევნებდა თვალს ფოიეში დამონტაჟებულ ეკრანზე. როგორ მივა ეს ოცნება თითოეულ მოქალაქემდე, რა ფორმით შეეძლებათ მათ ამ ოცნების ახდენაში წვლილის შეტანა?

— უკვე ძალიან ბევრი ადამიანია ამ მოძრაობაში ჩართული. დარწმუნებული ვარ სპორტის სასახლე ან თუნდაც სტადიონი რომ დაეთმოთ ჩვენთვის, ეს ტერიტორიები ხალხით გადაივსებოდა. ხელისუფლების ეს უსუსური პოზიცია, უკვე აპრობირებულ მეთოდად, მანკიერ პრაქტიკად იქცა. ხელისუფლების და მისი გარემოცვის ხასიათს ვეღარ შევცვლით, მაგრამ როდესაც მათი არჩევნების გზით შეცვლა მოხდება, ეს სივრცე ყველსთვის გაიხსნება. ხალხს იმედი უბრუნდება, განსაკუთრებით რეგიონებში იგრძნობა, რომ ის ნიჰილიზმი და შიშის განცდა, რაც აქამდე არსებობდა, აშკარად იკლებს,ეს ბარიერი ისპობა. რეგიონებში ხალხს „ქართული ოცნების“ ახდენის იმედი გაუჩნდათ. მაგალითად, ვიღოთ ჩოხატაური, რომელიც მაღალმთიანი რეგიონია, სადაც ინფორმაცია შეზღუდულია — საზოგადოებრივი მაუწყებელი და ხელისუფლების მიერ სხვა 100 პროცენტიანი კონტროლირებადი ტელევიზიებიც კი სრულად არ მიეწოდებათ. უნდა გითხრათ, რომ იქაც კი, სადაც სახელისუფლებო სააგიტატორო მანქანა მოქმედებს, ძალიან დიდი ოპტიმიზმის საფუძველია. თამამად შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ხალხმა ფართოდ გაახილა თვალები, გონზე მოდის და ყველაფერს რეალურად,პრაგმატულად აფასებს.

ბაღათერ არაბული, პოეტი: ვფიქრობ, „ქართული ოცნების“ დაფუძნებამ, ის მოლოდინი, რაც მოსახლეობას, ქართველ ხალხს ჰქონდა გაამართლა. მოლოდინი ძალიან დიდი იყო, ხალხის ნაწილი საუბრობდა, რომ ბიძინა ივანიშვილი, მისი საბჭო პასიურობს, მაგრამ საზოგადოებრივი მოძრაობის დაფუძნებამ იმედის ნაპერწკალი კვლავ გააღვივა. ღონისძიება აკადემიურად ჩატარდა. რაც მთავარია ბიძინა ივანიშვილის გამოსვლაში ის მიმართულებები პრიორიტეტები გამოიკვეთა, რაზეც საზოგადოებრივმა მოძრაობამ უნდა იმუშაოს. საზოგადოებრივი მოძრაობა არ არის პარტია, მაგრამ ეს არის მთლიანად ქართველი ხალხის ერ-

თიანობა, რომელიც უნდა გაიშალოს. ივანიშვილმა ახსენა, რომ რეგიონებში ამ ორგანიზაციის ფილიალები შეიქმნება, სადაც იმუშავებენ იმ პროექტებზე, რაც პრობლემური იქნება კონკრეტული რეგიონისთვის. ეს აუცილებელია, რადგან ყველა რაიონში, სოფელსა თუ ქალაქში უამრავი პრობლემაა — დაცლილია სოფლები, სოფლის მეურნეობა დანგრეულია და ა.შ. ნგრევის პროცესი უნდა შეჩერდეს, სამართლებრივი სახელმწიფოს კონტურები უნდა გამოიკვეთოს და თანდათანობით ის სტრუქტურები შეიქმნას, რომელიც ჩვენს ქვეყანას მართლა სახელმწიფოდ აქცევს. ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

— როგორ ფიქრობთ, „ქართული ოცნება“ ახდება?

— „ქართული ოცნება“ უნდა ახდეს იმიტომ, რომ ეს თითოეული ქართველის სტიქია, მოლოდინია. ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში. დღევანდელი ხელისუფლების საპირისპირო მენტალობით შემოდის ეს არის ეროვნული ცნობიერების დამკვიდრება, წარსულის, დღევანდელობის და მომავლის გაერთიანება. ხელისუფლებამ წარსულზე აბსოლუტურად უარი თქვა, დღევანდელობას ხაზი გადაუსვა და არც მომავლის კონტურები ჩანს. ბიძინა ივანიშვილი აპირებს წარსულის, დღევანდელობისა და მომავლის გაერთიანებას. ეს არის სწორედ ეროვნულ ცნობიერებაზე დამკვიდრებული აზროვნება, რაც საქართველოს მკვიდრთა ოცნებას აახდენს.

ოთარ ხუფენია, სოციალური ეკონომიკის ექსპერტი:

საქართველოს მოსახლეობის უდიდეს ნაწილთან ერთად, მეც ველოდებოდი „ქართული ოცნების“ დაფუძნებას და მქონდა გარკვეული მოლოდინები. ჩემი საუკეთესო მოლოდინები გამართლდა. ბიძინა ივანიშვილი უმაღლესი კლასის მენეჯერია და ამაში ახალი არაფერია. მაგრამ ღონისძიებაზე იგი წარმოჩნდა, როგორ ლიდერის ბუნებრივი თვისებებით აღჭურვილი პიროვნება. მის საუბარში ნათლად ჩანს, რომ იცის რა უნდა და როგორ უნდა მიაღწიოს ამას. ასევე, ბუნებრივი ნიჭია, რომ მას შეუძლია ძალიან მოკლე გამოსვლით ათასობით ადამიანი თანამონაწილე გახადოს, ანუ საკუთარი მიზნის სინათლეში, მართებულობაში და მიღწევადობაში დაარწმუნოს. მოხარული ვარ, რომ ამ თვალსაზრისით ჩემი მოლოდინი აბსოლუტურად გამართლდა. პოლიტიკაში მოდის ადამიანი, რომელსაც ძალუძს ურთულესი პროცესები მართოს, მას ამის შინაგანი ძალა, კულტურა და გამოცდილება გააჩნია.

— ბატონო ოთარ, ბიძინა ივანიშვილმა თავის გამოსვლაში იმ ძირითად მიმართულებებზე ისაუბრა, რამაც „ქართული ოცნების“ ასრულებამდე უნდა მიგვიყვანოს. რას გამოყოფდით, რა იყო თქვენთვის მნიშვნელოვანი ამ გამოსვლიდან?

— ჩემთვის საინტერესო იყო ის, რომ ძირითადი აქცენტი ხელისუფლებაში მოსვლის მზადების ერთ-ერთი მნიშვნელოვან მდგენელზე გაკეთდა, ანუ რითი მოდიხარ, რას სთავაზობ საზოგადოებას სწორედ ასე აღვიქვი იმ თემატური ჯგუფების ჩამოყალიბება, რაც გაჟღერდა. გამიხარდა, რომ ამ ჩამონათვალში ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სფერო მოხვდა, ანუ ის სფერო, რომელიც ქართული სახელმწიფოებრიობის აქილევსის ქუსლია, სწორედ ეს არის პირველი ნიშანი იმისა, რომ სახელმწიფო შემდგარი არ არის. ყურადღება იმანაც მიიქცია, რომ ამ ჯგუფების დანიშნულება იმ მოდელების შემუშავება იქნება, რომელიც ქვეყანაში უნდა დაინერგოს. ძირითადი აქცენტი პროფესიონალი ექსპერტების საექსპერტო მოსაზრებებზე კეთდება. ბატონი ბიძინას გამოსვლა დასტურია იმისა, რომ მას და მის გუნდს შესანიშნავად ესმის — სოციალური პოლიტიკა ნებისმიერ ქვეყანაში კონსესუსის პროდუქტია ხელისუფლებას, საზოგადოებასა და საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის. აქედან გამომდინარე აშკარაა, რომ ბიძინა ივანიშვილის განცხადება — სამშობლო მეკარგებოდა და პოლიტიკაში მოსვლა გადავწყვიტე, მხოლოდ ლამაზი სიტყვები არ არის, არამედ აბსოლუტური სიზუსტით გაცნობიერებული რეალობა და აუცილებლობაა იმისა, რომ ეს ნაბიჯი უნდა გადაიდგას, რათა ქვეყანა ამ ავადობიდან გამოვიდეს.

— როგორ წარმოგიდგენიათ თითოეული ქართველის ჩართულობა „ქართულ ოცნებაში“?

biZina ivaniSvilma Tavisi mokle gamosvliTaTasobiTadamiani `qarTuli ocnebis~ Tanamonawile gaxada

— მომსწრე ვარ ეროვნული მოძრაობის გარიჟრაჟისა და პირველი ეროვნული ხელისუფლების. მაშინ პროფესიონალები პროცესების თანამონაწილენი ხდებოდნენ. სხვა საკითხია, რომ მაშინდელ ხელისუფლებას ამ რესურსის გამოყენება არ დასცალდა. ვფიქრობ, ქართული საზოგადოება შეცდომას აღარ დაუშვებს, კომბლებით აღარ გამოვედევნებით ერთმანეთს. სწორედ ასე ვხედავ ოცნების ასრულებას — კარი ღია უნდა იყოს ნებისმიერი აზრისთვის. კატეგორიული წინააღმდეგი ვარ კაბინეტური, ჩინოვნიკების მიერ დაგეგმილი რეფორმებისა, რაც ახლა ხდება. კაბინეტებში, ყურში ჩურჩულით და ვიღაცის განდიდების მანიის შესაქმნელად განხორციელებული რეფორმების ხანა უნდა დასრულდეს. პრეზიდენტობა არ ნიშნავს, რომ მხოლოდ მას მოსდის თავში ჭკვიანური აზრები. კარგად ვხედავთ, რომ მისმა ჭკვიანურმა აზრებმა რესპუბლიკის მოედანზე ველოსიპედის ძეგლამდე მიგვიყვანა, რაც ქართული ეკონომიკური რეფორმების სახეა — ველოსიპედი, რომელიც ვერ დადის.

ერთიც მინდა ვთქვათ, სახელმწიფოს ფანატიკოსები და რომანტიკოსები ქმნიან. ნაციას სწორედ რომანტიზმისა და ფანატიზმისკენ მოვუწოდებ. ეს ის ძალაა, რომელსაც ამ ქვეყნის ჭაობიდან ამოყვანა ძალუძს. ეს შეიძლება ქართული სახელმწიფოებრიობის შენების ბოლო შანსი იყოს.

თამარ ფველიძე



ცხინვალში ანატოლი ბარანკევიჩის ავტომობილი დაწვეს

ცხინვალში ე.წ. სამხრეთ ოსეთის „პრეზიდენტობის“ ყოფილი კანდიდატის ალა ჯიოევას ნდობით აღჭურვილი პირის ანატოლი ბარანკევიჩის კუთვნილი ავტომანქანა „ნივა“ დაწვეს. ამის შესახებ „რია ნოვოსტი“ იუწყება. „მანქანა, რომ იწვოდა მეზობლებმა შემატყობინეს. ეს დღეს დილით 05.50 საათზე ჩემს სახლთან მოხდა“-აღნიშნა ბარანკევიჩმა. მისი თქმით, მან განცხადება სამართალდამცავ ორგანოებში უკვე შეიტანა.

რუსეთის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას ვლადიმირ ჟირინოვსკიც მიიღებს



რუსეთის ლიბერალ-დემოკრატიული პარტიის წევრებმა ქვეყნის მოახლოებულ საპრეზიდენტო არჩევნებზე კანდიდატად ვლადიმირ ჟირინოვსკი დაასახელეს. როგორც ცნობილია, საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას ჟირინოვსკისთან ერთად "ედინაია როსიას" კანდიდატი ვლდიმირ პუტინი, "სპრავედლივაია როსიას" წარმომადგენელი სერგეი მირონოვი და ბიზნესმენი მიხეილ პროხორვი მიიღებენ. გავრცელებული ინფორმაციით, კომუნისტები არჩევნებში გენადი ზიუგანოვის კანდიდატურის წამოყენებას აპირებენ.

ტომ კრუზმა ქართველი სამხედროები მოინახულა

ჰოლივუდის კინოვარსკვლავმა ტომ კრუზმა გერმანიის სამხედრო ჰოსპიტალში ქართველი ჯარისკაცები მოინახულა. ჰოსპიტალში მკურნალობას ამჟამად 5 ქართველი სამხედრო მოსამსახურე გადის. ქართველი ჯარისკაცები ISAF-ის (საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძალები) სამშვიდობო მისიის ფარგლებში ჰელმანდის პროვინციაში ამერიკული კონტინგენტის შემადგენლობაში მსახურობენ. როგორც საქართველოს თავდაცვის სამინისტრო იუწყება, ტომ კრუზმა ჰოსპიტალში ყოფნისას მესამე ქვეითი ბრიგადის 33-ე ბატალიონის რიგით ახმედ საფაროვთან სამახსოვრო ფოტოც გადაიღო. მესამე ქვეითი ბრიგადის 33-ე ბატალიონმა, სადაც საფაროვი მსახურობს, უკვე დატოვა ავღანეთი, მას 31-ე ბატალიონი ჩაენაცვლა. თავად საფაროვი საქართველოში მკურნალობის პირველი ეტაპის სრულად ჩატარების შემდეგ დაბრუნდება.

„მედიანიუსი“

`aTengenidan~ _ yvavT aRvsebamde~...

fxovis sakraluri dro

ორი მზის მისტერია... (წერილი XI)

კოზა არაბული

რა საოცარი სამყაროა: დროში-დრო, მითში – მითი, მოვლენაში მოვლენა! და ცაზე „ორი მზის“ დგომა! ბეჭედან ამოსული მთვარე! „ვეშაპის ნაჩუქარი“ ჯაჭვის პერანგი წყალს რომ მოაქვს და თავადაც წყალივით იღვრება... ქაჯების ხელით „წაღმა-უკუღმა ნაქსოვი სამოსელი – „ბებერათ ქსელასაებრ“ საფარველს რომ სდებდა ხოგაის მინდიას!...

მეც შევედი და გავედი ამ სამყაროში: ხოგაის მინდიასა და თორღვა ძაგანის თემში, მისტიურ, საკრალურ დროთა საუფლოში...

შევედი და გავედი... ზოგჯერ რაღაცას ვწერდი, ზოგჯერ ხელცარიელი ვბრუნდებოდი...

ბოლოს, როდესაც შევედი, „იქ ჩავრჩი“... რაღაცა გამეხსნა, რაღაცნაირად „მიცნეს“ კოპალა-იახსარის და ბერი ბაადურის საყმოში მდგარმა ნიშებმა, ციხე-კოშკებიდან, „მზის ტაძრებიდან“ ჩამოცვენილმა ქვებმა... და თავისთან (იქ) დამტოვეს...

რა თქმა უნდა, ეს სრულიად ცალკე თემაა – მაგრამ მე მაოცებს ის გარემოება – რომ თამაზ ჩხენკელმა ამ დიდებულმა არისტოკრატმა – ქალაქში გაზრდილმა „ორაკულმა“, როდის და როგორ შეძლო ფხოვის მითთა წიაღში – ანუ საკრალურ დროში შედწევა?!

მე 30 წელი ვუძღვებოდი აქ, ამ ხეობებში, აკადემიის მთიანეთის შემსწავლელ ექსპედიციას: დავდიოდი მწერალთა კავშირის და კინო-სტუდიის მივლინებით: სცენარის ან წიგნის დასაწერად... ვესწრებოდი არქეოლოგიურ გათხრებს ჟინვალში – ფხოვის კართან... ვხედავდი, როგორ იძირებოდა ისტორია წყალთა წარღვნაში, ანუ ქადაგის ენით თუ ვიტყვით – „სიმურში“– რომელსაც ქვესკნელში ჩაჰქონდა –„მზის ტაძართა“ და წინაპართა „გარეცხილი ძვლების“ მუსიკა...

მაგრამ მან, ბატონმა თამაზ ჩხენკელმა, – როდის მოვლო ეს სამყარო, როდის „შევიდა და შეიცნო“ მან ის, რაც შეიცნო და იცის: რომელიც დგას მისი იდუმალი მისტიური წიგნის – „მშვენიერი მძლევარის“ – „პალატთა“ შიგნით...

მე ერთხელ კიდევ გადავავლე თვალი ამ წიგნს, ახლა, ამ დროში და სახტად დავრჩი! – როგორი ახალი – თანამედროვე და, თუნდაც, ხვალინდელი ხედვაა იგი.

ჩვენ არ ვიცით ვინ ვართ და საიდან მოვდივართ?! არც ვცდილობთ რომ ვიცოდეთ! ეს არც სემიტს, არც ბერძენ-„აქაველს“, არც სომეხს, მით უფრო არც რუსს, არც მასონს-არ აინტერესებს: არავის სჭირდება სხვისი ცივილიზაცია, რომელიც „ხელს უშლის“ მათ...

ბატონმა თამაზმა იცის (და იცოდა), ვინა ვართ და საიდან მოვდივართ: იგი მიწვდა „ნოეს კიდობნის“ განძს, რომელიც „დამარხულია“ – ფხიტუს, კარატეს, ცროლის, ანატორის, მუცოს იდუმალი „მაგენდავითის“ რკალში: მან ჩამოიტანა „ფხოვის მზეთა“ ნათება: „დღე-დღესინდელის“ „დამცხრალი მზის“ შუქი, ამიტომაც იგი უცნაურად, შიგნიდან, „გაბრწყინებული“ დადიოდა დედაქალაქის ქუჩებში...

ახლა ვგრძნობ ამას და ვნანობ – მაშინ რატომ არ ვიცოდი და ვიცნობდი მის „გველისმჭამელისეულ სევდას“, რომ ახლოდან შემეცნო იგი...

მე ვერ მოვასწარი ბატონი თამაზის მოწვევა საპატრიარქოს რადიო „ევერიაში“ – რომ ჩამეწერა და გვესაუბრა იმაზე, რაც მას ჰქონდა „დამარხული“ სულის „ლაბიდოში“, და ისე წავიდა რომ მე მას „სულთაკრეფის“ „რძისცვრიანი“ ჯამები ვერ დავუდგი...

(„ვნანობ და როგორ მენანება... ჩემი ნაქმარი... ლექსი ჩემს მიერ მოგონილი „ქვებზე გამრჩალი“, როგორც თილისძის ტალავარი სისხლში გამშრალი“...).

ხოგაის მინდიას მხოლოდ რძიან („მზისცვრიან“) ჯამს უდგამდა დედა მისი „გაუცხოვების“ (მარხულობის) ჟამს... რძე უსისხლო (მცენარეულ) საკვებად ითვლება ფხოველთა (ხევსურთა) ანდრეზული ცოდნით: სწორედ ამიტომ დგამდნენ რძეს ანუ („მზის ცვარს“) სულთა სამარხო ტაბლაზე...

რძე მზის შუქის მონაწურია, მზე –„ზესკნელისა და ქვესკნელისა“ – გადის ფხოვის საკრალურ დროში, მაგრამ ზოგჯერ „ორი მზე“ დგება ცაზე (ერთად) და ეს სულ სხვა მოვლენაა: კოსმიური კატასტროფის ნიშანი!

თამაზ ჩხენკელმა დაინახა „მზეთა“ მოძრაობა ფხოვის ცაზე და „ორი მზის“ დგომაც და „მზე-წვეროვანიც“, როცა ადამიანები ჩერდებიან და წყვეტენ ყოველგვარ საქმეს...

„დიდება მზესა – მზის მყოლთა ანგელოზთა!

დიდება დღესა დღესინდელსა, დიდება დიდს კვირაესა ღვთის კარზე მოკარვესა“!!! – ხუცობენ ისინი...

ეს საკრამანტული ტექსტი საკრალური ცოდნის ღერძია, რომელიც საყმოს სივრცეზე მდგარ ასტრალურ მოვლენას ასახავს.

მზე „დღესინდელი“ დღეა! მზე უფალია! „მზე უფლის ბრწყინვალებაა“– ღმერთი ვარსკვლავთა ელვარებაა“ – ასეთი განმარტებანი ფიგურირებს სოლომონის ტექტებში...

ხოლო კვირაე ქრისტეა, რომელიც „კარავს დგამს“ ხვთის კარზე: ანუ მამა ღმერთის გვერდით!

. . .

თამაზ ჩხენკელმა, დროთა ახალმა მედიუმმა, ფხოვის „ანდრეზთა სახლებთან“ – ნიშებთან და „ზიკურატებთან“ – დადგა თავისი „კარავი“: და აქედან უჭვრიტა ამ სამყაროს, „ამ კარვიდან“ გარეთ გამოსული ზოგჯერ ჩრდილსაც კარგავდა (ხოგაის მინდისებრ!), რადგან „ორ მზეზე“ დგომისას ჩრდილი ქრება! და ზოგჯერ „ჩრდილდაკარგული“ მოძრაობდა ქალაქის გახუნებულ ქუჩებში...

. . .

უეცრად რაღაცას იგრძნობდი, გაიხედავდი და თამაზ ჩხენკელი გედგა შორი – ახლო: გაუცხოებული, პალიმფსესტური – ეტრატული სახით, მისი მზერა გაჩერებდა...

მე მაშინ არ ვიცოდი, რატომ იყო ის ასეთი – ახლა ვგრძნობ და ვიცი!...

* * *

მზის ბუდეში შესვლა და გამოსვლა ცვლის სამყაროს მდგომარეობას და ფხოველთა რწმენით გვიყენებს მომავალი წლის (ჯერ არ დამდგარი დროის) პროგნოზსაც: „სითბოთი ბუდეში შესული მზე გვაუწყებს, რომ გაზაფხული გრილი და მქსინვარე იქნება“...

მზე მიგვანიშნებს იმაზე, სამყაროში რაც იყო და რაც უნდა იყოს...

ხოგაის მინდის სიკვდილის დროს ცაზე „მზე წითლდებოდა ცხრებოდა“, ან „ორი მზე“ იდგა! „ორი მზის დგომა“ და „წითელი მზის“ დგომა ხევსურთა რწმენაში: სამყაროში მოვლენათა საბედისწერო ცვლაზე მიანიშნებს ასეთი მოვლენაა ხოგაის მინდის სიკვდილი, რომელიც ერთიანი თემის (საყმოს) ტრაგედიად იქცევა...

თამაზ ჩხენკელი თავის კვლევაში წერს: „ხევსურულ ლექსებში „მზის შუქის ჩაბრძანებად“, „ვარსკვლავის მაწილვად“, „მზის უკუღმა ჩახდომად“ განიხილება კაცის სიკვდილი...

„მზეო დადეგ და დაგვიანდიო,
მზე სდგეხარ უკენობისაიო“...

ამ ხევსურული ნატირალით (რომლითაც შვილს დასტირის დედა), ისეთი შთაბჭდილება იქმნება, თითქოს „მზე ღმერთის“ ქვესკნელში ჩასვენებას მისტირიან ქალები“...

„მზე წითლდებოდა ცხრებოდა: ხოგაის მინდი კვდებოდა, ჩამოდიოდა ვარსკვლავი მთვარე უკუღმა დგებოდა“ – ხოგაის მინდის ამ ლექსში ასტრალური ხვთაების გარდაცვალებასთან დაკავშირებული, ციური სხეულების ქვესკნელს ჩახდომის გრანდიოზული სურათია გადმოცემული! „დამცხრალი წითელი მზე“– მკვდართა მზეა და „უკუღმა მდგარი მთვარეც“ უნდა ვიგულისხმოთ, რომ ქვესკნელს ჩასახდომადაა გამზადებული“...

„ორმზიანია“ ხევსურული მითოსის მინდიც და ეს „ორი მზე“ – ზესკნელისა და ქვესკნელის, ცოცხალთა და მკვდართა, ზაფხულისა და ზამთრის, დილისა და მწუხრის მზეა“...

„თრაკიელთა და პამფლაგონიელთა წარმოდგენით – გაზაფხული დაბრუნება, ან გამოღვიძებაა, შემოდგომა წარხდომაა, ან მიცვალება მზე-ღმერთისა;

სვანურად შემოდგომას „მუჟღვერ“ – „მზის წასვლა“ ჰქვია.

ორფეოსელთა რელიგიის თანახმად (რომელიც მცირე აზიური წარმოშობისად იგულისხმება), ზაფხულის მზეში ღმერთი ცოცხლად არის დავანებული... ზამთრის მზე, რაკი იგი მკვდართა საუფლოშია წასული, ცოცხლებს თავის ორეულს უტოვებს – იგი უნათებს როგორც ცოცხალთ, ასევე მიცვალებულთ!

თრაკიელებმა, განსაკუთრებით კი ჰეროდოტეს მიხედვით „თრაკიელმა გეტებმა, რომელთაც „სწამდათ სულის უკვდავება“ – იცოდნენ რომ იგი დიდებით ეფინება ნეტარ სულებს“... აი თამაზ ჩხენკელისეული ანალიტიკური სენტენციები!

თამაზ ჩხენკელის ხსოვნას

(ის მიუახლოვდა მითებს და მითებმა „იცნეს“ იგი... კ.ა.)

* * *

უნდა ავდნიშნოთ, რომ ეს თემა ურთულესი მითოლოგიურ-თეოლგიური თემაა და აქ თამაზ ჩხენკელი შესანიშნავად ფლობს მოვლენებს. როგორც „თევზი წყლიდან“, ისე ხედავს მზისა და მთვარის დგომას არა ოდენ ქართული – არამედ მსოფლიო მითოსის საკრალური დროის ცაზე...

იგი შესანიშნავად ხედავს „დროში შედედებულ“ მოვლენებს და მოჰყავს პარალელები და ანალოგიები ბერძნულ-შუმერულ-ეგვიპტურ-ხეთურ-თრაკიული მითოსიდან და რელიგიური წარმოდგენებიდან, რაც მჭიდრო კავშირშია კოლხურ-იბერიულ-კავკასიური რასის ცივილიზაციათა შორეულ ფესვებთან...

* * *

აქვე უნდა დავძინო, რომ ხარი და ცხენი მზის იმაგინალური ხატია ქართულ მითოსში: ხახმატის ჯვარს ქაჯავეთიდან მაღალრქიანი ხარის და ძროხის ნახირი მოუდის: „მოაქვს „ცალა რქა“ ხარის საწყაურიც: („სულეთს ხარი ხნავს ცალა რქა“) რომელიც 1-ჩხუტს იტევს და, სალუდე ქერი იწყევბა!

გერგეტი (გერგ.გეორგ) – საკრალური მწვერვალია, რომელსაც პირველად შემოადგება დილის მზის შუქი. აქედან ჩამოვიდნენ ხვთიშვილნი ფხოვის საყმოში და დაიჭირეს „დევ-დედაბერთა“ ადგილები...

ცხენი მზის საკრალური ცხოველია

ბერთათვის (მათ ცხენებით გადალახეს იბერიის საზღვრები და ინდო-ევროპელთა უწინარეს შევიდნენ ევროპის კონტინენტზე!).

ხევსურნი მიცვალებულს „სულის ცხენით“ მიაცილებენ სამზეოდან სულეთში, მას შუბლზე რგვალ სარკეს უყენებენ, როგორც „მზის თვალს“ – მანამდე კი ცხენს „ნათლავს და აწმინდებს“ სულის ხუცესი! ეს უძველესი საკრალურ-საკრამანტული რიტუალია, რომელიც დღემდე შემორჩა ფხოვის საყმოში...

ასევე „ათენგენა“ – ფხოველთა უძველესი საკულტო დღესასწული, მზის რიტუალია!

ათენა – მზის კულტია და მისი დასაბამი და გენეზისი ასეთია: შუმერულ-კოლხურ-იბერიული-პანთეონიდან შედის ეგვიპტეში XIV ს.ძ.წ. ამენხოტეპ-IV-ის დროს, და შემდგომ უფრო გვიან (VIII-VII -ძ.წ.აღ) მკვიდრდება საბერძნეთში... თვით ფარაონი ამენხოტეპ- IV ნეფერტიტის ქმარი, „ექნათენას“ ირქმევს!

ფხოვურ „ათენგენას“ უძველესი დასაბამი აქვს, რადგან იგი „ბიბლიამდელი“ მოვლენაა და უძველესი თემის ჩაკეტილ-საკრალურ დროსა და სივრცეში დაკონსერვდა...

ბატონი თამაზ ჩხენკელი სკრუპულოზურად იკვლევს ამ თემებს და ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, თუ როგორ „ბურთაობენ“ მზის ბურთებით გიორგი ნაღვარმშვენიერი და „კოპალა ლაღი ლახტიანი“, ასევე „ქრისტე ღმერთიც „ბურთაობს“ ბურბულეთის მთაზე“(!!) – და მისი აზრით, აქ ქრისტე მზის წარმართულ ხვთაებას ენაცვლება.“

საცრისოდენა თვალიც, რომელსაც კოპალა „წამოთხრის დევს“ ასევე ცეცხლის და მზის სიმბოლო ჩანს, რაც მოვლენათა (რწმენათა და რელიგიათა) ცვლაზე მიუთითებს.

* * *

ბატონი თამაზ ჩხენკელის შესვლა და „მოძრაობა“ ამ სივრცეში („მფრინავი ხატივით“) მოულოდნელი იყო იმ დროისთვის – ერთგვარ სტერილურ, ერთგვარ მითო-რელიგიურ ვაკუუმში... თუმცა მას ეს „ვაკუუმი“ ვერ „იჭერდა“: „გადიოდა“, როგორც მდინარე ცხრილში, ან – ნაქსოვ-ჯაჭვის პერანგში.

მან იცოდა უცხო ენები და კულტურები: და ის მყისიერად მიწვდა ამ მოვლენებს, როგორც ბიბლიური ხილის ნაყოფს...

მან იცის გიორგი ნაღვარმშვენიერი და „უხორცო გახუას“ შესვლის ანდრეზი ქაჯავეთში:

„გახუა მეგრელაურს „კბილ-სავარცხელნი“ დაედევნებიან: სკივა (სკივი) (ნაპერწკალი) რამ შემოჩნდისო, ბურთს გვესრევდიანავ, თქვისავ გახუამავ, მერე

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

გაათდისავ ცის გიდელ-გიდელნივ (კიდე-კიდენი)“!...

ეს მისტიური ომის სურათია ქაჯებთან, რომელიც ერთგვარი ფსიქოტრონული, ლაზერული იარაღის შთაბეჭდილებას ტოვებს...

* * *

„დობილნი“, რომელნიც მზის ქალღმერთის, ბარბარეს, (იგივე ნანას), შვილებს განასახიერებდნენ ამომავალ, ან ჩამავალ მზის სხივებს დაჰყვებოდნენ და მინდორში „ბურთის სათამაშოდ“ გადიოდნენ – ესეც მისტიური ხილვაა!

ქადაგის ენით (ხატის ენით), ხევსურთა საკრალური ენით, ვაჟი „ოქროს ბურთია“ და მზეს უკავშირდება (ისევე, როგორც, ბერძნულ მითში – ოქროსთმიანი ჰელიოსი).

მზე ღმერთია!

* * *

კაცნი მზის შვილები, ანუ ღვთის შვილები არიან!

„მზის წილის მფლობელს „ნაწილიანი“ ეწოდებოდა, ხევსურთა ღრმა რწმენით, „ნაწილი“ ბეჭებს შუა ჰქონდა კაცს და იგი მზის ნათელს გამოასხივებდა“...

ნაწილიანს სიცოცხლეშიც და, მერეც, სდევნიან გველნი, რომელნიც ნაწილის წართმევას უპირებენ!“ – ბრძანებს თ. ჩხენკელი.

ეს მეტად რთული პასაჟია და შესაცნობად (ასახსნელი) არც თუ ადვილი: თუ გველს რატომ მიაქვს მზის თვალი, ანუ თვით გველი ვინ არის ამ დროს?

ეტყობა იგი ქვესკნელის იდუმალი არსებაა, „ვეშა წყაროდან“ გამოსული: რომელსაც სურს მნათობის შთანთქმა („გამოეშვა მთვარე გველსა“...)

„ნაწილს“ „მზის თვალთან“ ასოციაციით „თვალიც“ ეწოდებოდა – „თვალი ჩასულა მტევანში“ – აქაც მზე იგულისხმება...

თამაზ ჩხენკელი დასძენს: „მზე და თვალი ერთიანი სუბსტანციის ორ პოლუსს წარმოადგენდა, რაც მიკრო და მაკრო კოსმოსების ურთიერთგანმსაზღვრელი ერთიანობა იყო, სადაც კაცის ღმერთთან წილნაყრობის ოდინდელი თანაზიარობის იდეა იყო გამოსახული“...

* * *

ხევსურთა რწმენაში ღვთიშვილნი ციდან ჩამოდიან და ხორციელთან კავშირში შედიან (როგორც „ანუნაკები“ შუმერთა მითში), ისინი ერთად მიდიან ქაჯავეთის დასალაშქრად: და ა.შ. ე.ი. ხდება ციდან მოვლენილთა რამდენადმე „გამიწრიელება“...

მაგრამ დგება შებრუნებული, ხორციელთა ხვთიურ რანგში გარდასახვის ჟამი: ამის ცხადი მაგალითია პირქუში: რომელიც ფშავ-ხევსურეთის (ფხოვის) უძლიერეს სალოცავად იქცა! რაზედაც მიანიშნებს თამაზ ჩხენკელი.

ზოგადად, ფხოვის საკრალურ სივრცეში შედედებული მითები (ანდრეზები): მრავალ პლასტს (წახნაგს) მოიცავენ და ურთულეს მოვლენად „ცხადდებიან“.

მითში პარადოქსული მოვლენანი ერთმანეთში დგანან: „და დიდი-მცირეს და მცირე-დიდის, (უხილავი – ხილულის) სუბსტანციად გვევლინება!“

„ჟამნიც“ რწყილისხელა ვირებზე სხედან, ზოგჯერ ბუერის ფოთლებში იმალებიან, მაგრამ დამანგრეველ, ხორციელთათვის სახიფათო ენერგიას ფლობენ!...

მათ უპირისპირდება მხოლოდ გუდანის ჯვარი და ხადუს „სამება„ და საკმოს გარკვეულ არეალში არ უშვებენ...

* * *

რამდენადაც რთული და პარადოქსულია აქ, ხევსურთა ცნობიერებაში სამყაროს აღქმა, იმდენადვე მარტივად წარმოიდგინება: ერთმა კითხულმა, რჯულის კაცმა ასეთი რამ მითხრა: „კი, მაგრამ, ესენი მთვარეზე დაჯდომას რომ აპირებენ, მთვარე წელიწადში 12-ჯერ რომ გაილევა და გაქრება, მერე რას შვრებიან. ხომ ჩამოიყრებიან იქიდანო?! მთვარეზე რა გინდათ აქ დაეტიეთ უფლის მოცემულ მიწაზეო!“

თითქოს ამ გულუბრყვილო ხედვაში ქვეცნობიერი, ანდრეზულ – ბიბლიური საიდუმლოც იფარება:

ფხოველმა იცის, რომ იქ „მთვარეს და მნათობთ“ ხიფათი ელის არც წყალია სანდო: წყალთა წარღვნა, ანუ „სიმური“ („მზე წითლდებოდა ცხრებოდა, მთვარე უკუღმა დგებოდა“, ანუ „მზე შავი იყო, ვითარცა ძაძა ბალნისა და ვარსკვლავნი ცვიოდნენ ციდან“...) და უფალმა ადამიანთა სადგომად და ტაძართა ასაგებად „მიწა-ხმელი“ გააჩინა... („ამარუ“-შუმერ.) ხიფათის შემცველია კაცთა მოდგმისთვის... საიდანაც იშვებიან „ვეშა-წყაროები- და ვეშაპნი, ანუ „მიგრის“-მიერი ხიფათი...

ბატონმა თამაზ ჩხენკელმა – ახალი სიტყვის და აზროვნების ჭეშმარიტმა არისტოკრატმა – ჩვენ დროთა უწინარეს შეაღწია ამ მისტერიათა საკრალურ სახლში და იქიდან გამოიხედა: სწორედ აქედან შეხედა მან ვაჟა-ფშაველას და ყველა იმ მოვლენას, რომელიც ქართული კულტურისა და ცნობირების პირისპირ დადგა! მისი თარგმნები, მისი წერილები და ესსეები, თვით მისი სტილი და ენა, პიროვნების პოზიცია სანიმუშოა... და რამდენადმე შეუფასებელი! და თვით მისი პოეზია, რომელიც „ლიტ. საქართველოში“ დაიბეჭდა მაშინ მოულოდნელი იყო ჩვენთვის...

* * *

თამაზ ჩხენკელი ისე ეზიარა ანდრეზულ – მითოსური ცოდნის საიდუმლოს, როგორც ფხოველი ქადაგნი და ხუცესნი ეზიარებიან ხოლმე: ვერაფერს მიხვდები და გაიგონებ თუ ფხოვის საკრალურ დროთა გზაჯვარედინზე არ შეხვალ და იქ „სასმინაოდ“!? არ დაჯდები სახიფათო „კვრივთა ნაკრძალში“, ანუ „მზის სოლარულ წრეში“, და უფალი არ მოგცემს ადამიანთა „ბედისწერის წიგნს“, ანდაც ერთ წვეთ სისხლს (როგორც ხოგაის მინდის), რომელიც საკმარისი იქნება ასტრალური სამყაროს დასანახად... „ის ჭეშმარიტად დაჯდა სასმინაოდ“ ანდრეზთა გზაჯვარედინზე და შეიძინა უცნობი ცოდნა!

მან შეძლო ეს და ეზიარა „ანდრეზთა“ საიდუმლო წიგნს, რომელიც „ბიბლიაზე უწინარესია“...

* * *

ერთ მომენტში ხოგაის მინდიც კარგავს ჩრდილს: კარგავს წონას და ისე გადის საომრად... თამაზ ჩხენკელი ისევე, თითქოს ხორციდან გასული – გახუასაებრ დგას „აკრძალულ –წაშლილ დროში“ და გამოაქვს „საიდუმლო განძი“ ანდრეზთა წიაღიდან, იგი ადვილად იცდენს „ჟამთა ნატყორცნ ისრებს“, მკითხველს „ასულფონებს“ მისი ეს ტექსტები: „რომელთა დიონისურ ხვთაებრივ, სიგიჟეს ხევსურულად „ღაბუშობა“ ეწოდება“. (თ.ჩ).

და ბოლოს: მე, ამ უჟამო-ჟამთა შორის მდგარი ნაგვიანევ მადლობას ვეუბნები მას – ბრწყინვალე ქართველს, და ბოდიშს ვუხდი ამ „რიოში“ ვერ ფარსაგი „სულთანობისთვის“!

აქვე ვიტყვი, რომ „სულთანობა“ – სულის ხუცესთა იდუმალი ტექსტია. „ჟამის წირვა“ – და „კურთხევანი“ – ჯვარის ხუცესთა სადიდებელი, ხოლო ნაქადაგარი – ქადაგთა საკრალური ტექსტი, „ხატის ენით“ გამოთქმული! – ამ ხმებს კარგად უსმენს და ხსნის თამაზ ჩხენკელი.

და კიდევ:

ერთი ანდრეზული ლექსის მიხედვით: ქურაზიშვილთ „სამი მზე“ უდგას ცაზე:

„კარგნი ხართ ქურაზიშვილნო
სამი მზე გიდგათ ცაზედა:
ერთი მზე პურადობისა: სტუმარი
გიზისთ ჯარზედა,
მეორე – გულადობისა მტერ ვერ
შეგიდით კარზედა,
მესამე – ნადირობისა, ჯიხვნ ვერ
გაგივლენ მთაზედა...
პურადობის, გულადობის და მონადირობის, ანუ სამი ქველობის მზე
უდგას ქურაზიშვილთ და მათ შორის
უწინარესი პურადობის მზეა!
მასაც – თამაზ ჩხენკელს – კაი
ყმობის სამი მზე უდგას:
ქართული სიტყვა უზის ჯარზე;
სიტყვის სიხარული, ნიჭის მადლი და
მაღალ ზნეობაა მისი სტუმარი!!!

ღმერთმა უნათოს მას „სამი მზე“ სულეთის ცაზე.

P.S. თუ როდის „ჩამოდგა“ ქრისტეს დრო ფხოვში და, როგორ მოხდა მისი შერწყმა – „პაგანიზაცია“ – ფხოვის საკრალურ დროსთან, ამაზე მომდევნო წერილში გვექნება საუბარი.

კოგა არაბული

`saerTo gazeTis~ iuridiuli konsultacia

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

მთვარისა კევლიშვილი.
ტელ.: 2 79 63 91;
8 790 60 64 69;
5 93 78 64 69

* * *

– შეიძლება თუ არა, ნაფიცი მსაჯული იყოს ფსიქოლოგი?

– არა.

* * *

– შეიძლება თუ არა, ბრალდებულმა თვითონ მოიპოვოს მტკიცებულება?

– ბრალდებულს უფლება აქვს, საკუთარი ხარჯით, თვითონ ანდა ადვოკატის დახმარებით მოიპოვოს მტკიცებულება. ბრალდებულის მიერ მოპოვებული მტკიცებულებას ბრალდების მხარის მიერ მოპოვებული მტკიცებულების თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

* * *

– ჩემი შვილი, რომელიც ბრალდებულია, სასამართლომ წესრიგის დარღვევის გამო გაძევა სხდომის დარბაზიდან? როგორ ჩატარდება შემდგომი პროცესები?

– სასამართლო პროცესი გაგრძელდება თქვენი შვილის დასწრების გარეშე, ადვოკატის სავალდებულო მონაწილეობით. თუ თქვენი შვილის ინტერესებს არ იცავდა ადვოკატი, სასამართლო მას დაუნიშნავს ადვოკატს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე (სახაზინო ადვოკატს).

* * *

– ჩემი შვილი არის 15 წლის და არის მოწმე ერთ-ერთი დანაშაულის ფაქტზე. გამომძიებელი მას იბარებს დასაკითხად. როგორ მოხდება დაკითხვა?

– ზოგადად, არასრულწლოვანი შეიძლება დაიკითხოს იმ შემთხვევაში, თუ მას შეუძლია სიტყვიერად ან სხვა ფორმით გადმოსცეს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაცია.

არასრულწლოვანის დაკითხვა ტარდება კანონიერი წარმომადგენლის ან ფსიქოლოგის დასწრებით.

თქვენ თქვენი შვილის კანონიერი წარმომადგენელი ბრძანდებით. გამომძიებელი თქვენს შვილს თქვენი თანდასწრებით დაკითხავს.

* * *

– რა ვადაში უნდა გამოიტანოს განაჩენი სააპელაციო სასამართლომ?

– სააპელაციო სასამართლომ განაჩენი უნდა გამოიტანოს სააპელაციო საჩივრის დასაშვებად ცნობიდან 2 თვის ვადაში.

ასევე, სააპელაციო საჩივრის განმხილველი სასამართლო უფლებამოსილია საჩივრის დასაშვებად ცნობიდან 2 კვირის ვადაში, ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილოს მხარის საჩივარი ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე, ასევე, საჩივარი მხოლოდ სასჯელის შემცირების თაობაზე. სასამართლო უფლებამოსილია, დანიშნული სასჯელი ზეპირი მოსმენის გარეშე შეამციროს არაუმეტეს ერთი მეოთხედით.

* * *

– შეიძლება თუ არა მეუღლეთა საერთო ქონება გაიყოს ქორწინების განმავლობაში?

– მეუღლეთა საერთო ქონება შეიძლება რომელიმე მეუღლის მოთხოვნით გაიყოს, როგორც ქორწინების განმავლობაში, ისე მისი შეწყვეტის შემდეგ. გაყოფა ხდება მეუღლეთა ურთიერთშეთანხმებით. ხოლო თუ მეუღლეები ვერ შეთანხმდნენ ერთმანეთში, მაშინ – სასამართლოს გადაწყვეტილებით.

* * *

– გთხოვთ, განგვიმარტოთ საქორწინო ხელშეკრულების არსი და მისი დადების პირობები.

– როგორც ჩანს, საზოგადოებას აინტერესებს ყველაფერი საქორწინო ხელშეკრულების შესახებ, რადგან ამგვარი ხასიათის შეკითხვები ხშირად შემოდის „საერთო გაზეთის“ რედაქციაში.

კანონი განსაზღვრავს იმ უფლებებსა და მოვალეობებს, რაც მეუღლეებს ერთმანეთის მიმართ გააჩნიათ, თუმცა მეუღლეებს უფლება აქვთ, როგორც დაქორწინებამდე, ისე ნებისმიერ დროს, ქორწინების განმავლობაში დადონ საქორწინო ხელშეკრულება და მათი ქონებრივი უფლებები კანონიერისგან განსხვავებულად დაარეგულონ.

გთხოვთ, მიაქციოთ ყურადღება, რომ საქორწინო ხელშეკრულებით მხოლოდ ქონებრივი უფლება-მოვალეობების განსაზღვრა შეიძლება. ხელშეკრულებით არ შეიძლება შეიცვალოს მეუღლეთა პირადი უფლებები და მოვალეობები.

საქორწინო ხელშეკრულება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შეიძლება დაიდოს, როგორც ქორწინების რეგისტრაციამდე, ისე რეგისტრაციის შემდეგ, ნებისმიერ დროს. თუ ხელშეკრულება ქორწინების რეგისტრაციამდე დაიდო, იგი ძალაში შევა მხოლოდ რეგისტრაციის მომენტიდან.

საქორწინო ხელშეკრულება იდება წერილობით და უნდა დადასტურდეს ნოტარიულად.

ხელშეკრულებით მეუღლეებმა შეიძლება განსაზღვრონ, როგორც უკვე არსებული, ისე მომავალში შეძენილი ქონების ბედი. მათ შეუძლიათ, გააერთიანონ მთელი ქონება ან დაადგინონ თითოეულის წილობრივი ან განცალკევებული საკუთრება ქონებაზე.

ხელშეკრულებით ასევე შეიძლება გათვალისწინებული იყოს თითოეული მეულლის მიერ შემოსავალში მონაწილეობის პირობები, საოჯახო ხარჯების გაწევის წესები და, ასევე თუ ვინ რა ქონებას მიიღებს განქორწინების შემთხვევაში.

დაიმახსოვრეთ:

საქორწინო ხელშეკრულებით არ შეიძლება შეიცვალოს:

1. მეუღლეთა ურთიერთრჩენის მოვალეობა;
2. მშობლების უფლება-მოვალეობები შვილების მიმართ;
3. საალიმენტო მოვალეობანი;
4. დავის შემთხვევაში-სასამართლოსადმი მიმართვის უფლება.

ასევე, ხელშეკრულებით არ შეიძლება გათვალისწინებული იქნეს ისეთი პირობები, რომლებიც მძიმე მდგომარეობაში აყენებს ერთ-ერთ მეუღლეს.

საქორწინო ხელშეკრულების შეცვლა დასაშვებია, თუკი მეუღლეები ამაზე შეთანხმდებიან. გარდა ამისა, შესაძლებელია, ასევე, დაინტერესებული მხარის განცხადების საფუძველზე, სასამართლომ შეცვალოს საქორწინო ხელშეკრულების ის პირობები, რომლებიც უკიდურესად არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს რომელიმე მეუღლეს.

საქორწინო ხელშეკრულება წყდება მეუღლეთა ურთიერთშეთანხმებით ან განქორწინებით.

* * *

– რა შემთხვევებში შეიძლება გავთავისუფლდეთ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან?

– კანონი მოქალაქეებს სარჩელის წარდგენისას რიგ შემთხვევაში ათავისუფლებს სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან. კერძოდ:

თუ ალიმენტის გადახდას ითხოვთ, თავისუფლდებით ბაჟის გადახდისაგან. ბაჟის გადახდისაგან მთლიანად თავისუფლდებით, თუკი რეგისტრირებული ხართ სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და იღებთ საარსებო შემწეობას.

გარდა ამისა, შეგიძლიათ სხვა გარემოებების საფუძველზეც შუამდგომლობით მიმართოთ სასამართლოს და მოითხოვოთ ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლება, ბაჟის ოდენობით შემცირება ან მისი გადახდის გადავადება. ამისთვის სასამართლოს უნდა წარუდგინოთ უტყუარი მტკიცებულებები იმის დასადასტურებლად, რომ მართლა არ შეგიძლიათ ბაჟის გადახდა, რაზეც სასამართლო იმსჯელებს და გადაწყვეტილებას თავისი შინაგანი რწმენითა შეხედულებით მიიღებს.

სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან, გარდა ზემოთ აღნიშნულისა, თავისუფლდებიან:

– მოსარჩელეები – დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით, აგრეთვე მარჩენალის სიკვდილით მიყენებული ზიანის ანაზღაურების სარჩელებზე;

– მოსარჩელეები – დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურების სარჩელებზე;

– მხარეები – უკანონო მსჯავრდების, სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის, აღკვეთის ღონისძიებად დაპატიმრების უკანონოდ გამოყენების ან გამასწორებელ სამუშაოთა სახით ადმინისტრაციული სახდელის უკანონოდ დადების შედეგად მოქალაქისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურებასთან დაკავშირებულ სარჩელებზე.

– მოსარჩელეები – არასრულწლოვანთა უფლებების დარღვევასთან დაკავშირებულ სარჩელებზე;

– მხარეები – წინასწარი (შუალედური) გადაწყვეტილების სააპელაციო და საკასაციო წესებით გასაჩივრებისას.



„ქართული ოცნება“ ეკუთვნის ყველას!

ყველას, ვინც განიცდის საქართველოში არსებულ მძიმე პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, ვინც ადეკვატურად აფასებს გამომწვევ მიზეზებს და აცნობიერებს ვითარების შემდგომი გაუარესების პერსპექტივას, ვინც გამოსავალს ხელისუფლების სამართლიანი, დემოკრატიული არჩევნებით შეცვლაში ხედავს.

ქართული „ოცნების სახელმწიფო“ იქნება ქვეყანა, სადაც მართვის სისტემა დაეფუძნება ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებების განუხრელ დაცვას.

აღდგება ბალანსი აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებას შორის, რაც გამორიცხავს ძალაუფლების თავმოყრას ერთი პოლიტიკური ძალის ხელში და ავტორიტარულ მმართველობას.

ნებისმიერი საკონსტიტუციო ცვლილება ან განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის კანონი მიიღება მხოლოდ საზოგადოებასთან კონსულტაციებისა და კონსენსუსის პირობებში.

ხელისუფლების საქმიანობის მაქსიმალური გამჭირვალეობა როგორც ბიუჯეტის, ისე ეროვნული უშიშროების პოლიტიკის განსაზღვრისას, უზრუნველყოფს ხელისუფლების ერთადერთი წყაროს, საქართველოს ხალხის ინტერესების დაცვას.

მედია გათავისუფლდება სახელმწიფო კონტროლისაგან და თავად იქცევა ხელისუფლების კონტროლის მექანიზმად, რაც, თავის მხრივ, საზოგადოებას მრავალმხრივი, მიუკერძოებელი ინფორმაციის საფუძველზე არჩევანის საშუალებას მისცემს.

სასამართლო დაცული იქნება ნებისმიერი გარე გავლენისგან. მართლმსაჯულების აღსრულება დაეფუძნება ერთადერთ პრინციპს – კანონის უზენაესობას.

ქვეყნის გამთლიანება ჩვენი ოსი და აფხაზი თანამემამულეების ქართული სახელმწიფოსადმი ნდობის აღდგენით დაიწყება. გვწამს, რომ ამ პრინციპებისადმი საზოგადოების თითოეული წევრის ერთგულება, მიუხედავად ეთნიკური წარმომავლობის, რელიგიური აღმსარებლობის და პოლიტიკური მრწამსისა, „ქართული ოცნების“ ასრულებამდე ოცნების საქართველოს. საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნების“ მიზანია უზრუნველყოს საზოგადოების გავლენა საქართველოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაზე და მაქსიმალურად ჩააბას იგი ჩვენი ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი პრობლემების განსაზღვრასა და განხილვაში.

„ერთად ავიხდინოთ ქართული ოცნება!“

ბიძინა ივანიშვილი

საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნება“ გამოცდილ სპეციალისტებთან ერთად განსაზღვრავს და მათი დახმარებით შეიმუშავებს კონკრეტულ სამოქალაქო გეგმას სამართლის, ადამიანის უფლებების, მართლმსაჯულების, ეკონომიკური პოლიტიკის, სოფლის მეურნეობის, ეკოლოგიის, ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, განათლების, მეცნიერების, კულტურის, საგარეო პოლიტიკის, კონფლიქტების მოგვარების, რეგიონალური პოლიტიკის, ადგილობრივი თვითმმართველობის, ეროვნული უმცირესობების, უსაფრთხოების, ახალგაზრდობისა და სპორტის აქტუალურ საკითხებზე. საზოგადოებრივ მოძრაობასთან არსებული თემატური ჯგუფები შეისწავლიან ცალკეულ დარგებში არსებულ ვითარებას და შეიმუშავებენ განვითარების ეფექტიან მოდელებს. ჯგუფების წევრები კონსულტაციებს გამართავენ კონკრეტული სფეროების ექსპერტებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დიპლომატიური მისიების წარმომადგენლებთან.

ჩამოყალიბდება რეგიონალური სტრუქტურები, რომელთა მთავარი მიზანი იქნება საზოგადოებისა და პოლიტიკური ძალების კონსოლიდაცია სამართლიანი საარჩევნო გარემოს შესაქმნელად, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს სახელმწიფო მმართველობაში ხალხის ნდობით აღჭურვილი პოლიტიკური ძალების მოსვლას.

საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნების“ მხარდამჭერთა სარეგისტრაციო ბლანკი

სახელი ----------

გვარი ----------

მამის სახელი ----------

დაბადების თარიღი ----------

მისამართი (პირადობის მოწმობის მიხედვით) ----------

(რაიონი, ქუჩა)

მისამართი (ფაქტობრივი) ----------

ტელეფონი (მობილური) ----------

ტელეფონი (სახლის) ----------

ელ.ფოსტა ----------

თანახმა ვარ გავხდე საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი

ხელმოწერა ----------

Tbilisi, erekle II Sesaxvevi #3

tel.: +995 32 260 47 67; +995 32 260 44 17; +995 32 260 44 07

www.georgiandream.ge; info@georgiandream.ge